ვუძღვნი ჩემი სახელოვანი პაპის
ლადო კოტეტიშვილის ხსოვნას

ნათია ხორნაული

„ქრისტოვნი ფონვჰირთონი"

ჯახური ისტორიები

თბილისი
2002 წ.

ამ წიგნში თავმოყრილია ნათია ხორნაულის ესეისტური წერილები, რომლებმაც ქართველი მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა. მათში გამომზეურებულია გასული საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ბრწყინვალე ინტელიგენციის, არისტოკრატიული ოჯახების ტრაგიზმით სავსე ცხოვრება, ვისაც თავს დაატყდა საბჭოთა იმპერიის მიერ საქართველოს ვერაგული ანექსიის სისასტიკე. ისინი არ დაემონნენ უხეშ ძალას, რადგან ტრადიციულად ახასიათებდათ ერისათვის თავდადება, დიდი სულიერება, მაღალზნეობრივი მაგალითის მიცემა. ამ ოჯახებში იყო და არის დღესაც ჩაბუდებული საქართველოს უკვდავი სული, რომლის ამოძირკვა საუკუნეების მანძილზე ვერცერთმა იმპერიამ ვერ შესძლო. ამ იდუმალ ძალას კავკასიის მთებში შეშორჩენილი „ფუძის ანგელოზი“ და „ადგილის დედა“ ჰქვია.

The book by Natia Khornauli represents a collection of essays which has gained great approval and praise of Georgian readers.

It exposes the tragedy of Georgian public men, excellent intellectuals and aristocratic families of the first half of the previous century. The best representatives of the society underwent much suffering from the cruelty of perfidious annexation of Georgia by the Soviet empire.

They did not submit to the wild power because they possessed, great innate virtues such as: devotion to their nation, heroism, humanity and were able to set a good example of high morals.

The immortal soul of Georgia used to dwell and still dwells in these families, that couldn't be uprooted by any empire for centuries. This mysterious power hidden in lofty mountains of the Caucasus is called a garden angel and a patron saint of one's home.

რედაქტორები: თამარ ერისთავი
ვახუშტი კოტეტიშვილი

ღრმეს მადლობას ვუხდი მედია უშუალოს, რომლის ხელშეწყობითაც გამოიცა ეს წიგნი.

ავტორი

დე, მწვერვალამდე იმ ოცნებით და ტკივილით გევლოს, რომლითაც ალმართს შეუდექი, ნათია!

არათუ მთელი ეპოქას, დროის ცალკეულ მონაკვეთსაც თავისი განსაკუთრებული მახასიათებელი აქვს – ადამიანის ქცევის და ზნეობის თავისებური მოდელი – გარკვეული ინტერესების, მისწრაფებების, რწმენის თუ ურწმუნოების დამლით რომაა აღბეჭდილი... ამავე დროს, საზოგადოების ამა თუ იმ ფენისთვის ნიშანდობლივია გარეგნობის, გამომეტყველების, მიხვრა-მოხვრის თუ ჩაცმულობის შერწყმით გამოკვეთილი სილუეტი, რომელიც ცხოვრების ნესს ნარმოაჩენს.

ხშირად გარდასულ თაობათა ავ-კარგი საუნაური და ყურადსაღები უფრო მომავალი თაობისათვის ხდება – უკვე ამა ქვეყნიდან ნასულ მოღვაწეებს თუ ოჯახებს უათკეცდებათ ხიბლი ძირითად ადამიანურ ფასეულობათა დევალვაციის პერიოდში... ვისაც ამის დასანახად და შესაცნობად თვალი, გული და გონება მიანიჭა განგებამ და ამავე დროს, კალამიც უჭირის, მას ნამდვილად შეუძლია მოგვითხროს რაიმე ფასეული და დასამახსოვრებელი.

ეს ფიქრები ახალგაზრდა ჟურნალისტის, ნათია ხორნაულის, დასაბეჭდად გამზადებული ნიგნის ნაკითხვამ აღმიძრა. ამ პატარა ნიგნის ძირითადი ნანილი სხორედ გარდასულთა გაკრულხლების სურვილითაა დანერილი, – ადამიანური ღირსებით და სამშობლოს ერთგულების ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებებზე, მათ ოჯახურ გარემოზე, მათ ძნელბედობაზე; მათზე, ვინც თავისი შემოქმედებით, მეცნიერული მოღვაწეობით თუ ზნეობრივი მაგალითით ღირსსახსოვარი კვალი დატოვა (კოტე მაყაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ლადო კოტეტიშვილი, დავით ანდღულაძე, ბაბო დადიანი.)

ნათია ხორნაულის მონათხრობი მრავლისმეტყველი დეტალებით, მათ სულთან და მინიერ ყხოვრებასთან ფაქიზი მიახლებით, ქმნის რეალურ პერსონაჟთა სიტყვიერ პორტრეტებს, რასაც ავტორი ავსებს ასევე სათუთად შერჩეული ფოტოსურათებით, რომლებიც მონმობენ, რომ მოვლენათა აღნერის რომანტიკული მანერა სულაც არ არის მათი რომანტიზაციის ნდა; ესაა, უბრალოდ, ამ ადამიანთა ყხოვრების ნესით განპირობებული, ანუ რეალობასთან მისადაგებული სტილი.

ეს რომ ასეა, ამას ხაზს უსვამს „საბერძნეთიდან გამოგზავნილი წერილების" მკაცრი რეალიზმი, რომელსაც აკისრია ჩვენსავე სამშობლოში ჩვენი დღევანდელი უღიმღამო არსებობის ნარმოჩენა და ლუკმა პურისთვის სახღვარგარეთ გახიზნულ ქართველთა დამამცირებელი მდგომარეობის შეულამაზებელი ჩვენება... ოღონდ ეს არ არის სატირა, ეს არის მნარე გულისტკივილი.

იმასაც დავძენდი, რომ ნიგნის მასშტაბური სათაური „ქროლვანი უნაპირონი" მის ავტორს ავალებს ასეთივე შემოქმედებითი პასუხისმგებლობით და გატაცებით გააგრძელოს კარგად დანყებული საქმე ღირსეულთა (დიდთა და მცირეთა, გარდასულთა და თანამედროვეთა) უანგარო ღვანლის თუ უკომპრომისო ზნეობის გამოსამზეურებლად. ეს ნამალივით სჭირდება XXI საუკუნის მიჯნაზე სასპარეზოდ გამოსული ახალგაზრდა თაობის არცთუ მცირე ნანილს, რომელსაც ეროვნული ნიჰილიზმი მოსძალებია.

თამარ ერისთავი
2001წ 17/XII

ძველი ოჯახები

ძველი ოჯახები, მიუხედავად თავ-თავიანთი გამორჩეული ინდივიდუალობისა, რაღაცით თითქოს მაინც ჰგვანან ერთმანეთს: ტრადიციებისადმი ერთგულებით? რელიქვიებისადმი განსაკუთრებულად სათუთი დამოკიდებულებით? ან იქნებ ნოსტალგიით იმ სულიერი ფასეულობების მიმართ, რომლებიც უკვე ყავლგასულად და არამოდურად არიან ქცეულნი ახალი დროის ორომტრიალში.

ეს ოჯახები, შეყუჟულნი თავიანთ სურომოდებულ, აივნიან სახლებში, ჯიუტად უმკლავდებიან მათ ირგვლივ შემოჯარულ ახალ, მრავალსართულიან, უსახურ ნაგებობებს, რომელთაც სახლები, ალბათ, არცკი ეთქმით, ვინაიდან მათ ოთახებში შუაღამისას იატაკის ფიცრები არ ჭრაჭუნობენ და მათ კედლებზე იდუმალ აჩრდილებს არასოდეს უფათურიათ.

ძველ ოჯახებში საპატიო ადგილას ასვენია ხავერდისყდიანი ალბომები, სადაც დროის დაღდასმული, ოდნავ გაცრეცილი, გამოხუნებული ფოტოებიდან საოცრად მშვიდი თვალებით იმზირებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც დღეს ქალაქის ქუჩებში ველარსად შეხვდებით, არა მხოლოდ ჩაცმულობის გამო. ისინი თითქოსდა სხვა მასალისანი არიან ან, უფრო სწორედ, - სხვა სულისანი.

მათი შთამომავლები, რასაკვირველია, თანამედროვე ადამიანები ბრძანდებიან, მაგრამ მაინც არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ რომელიმე მათგანმა უცებ გამოაღოს დარაბებიანი ფანჯარა, გამოყოს თავი და პასტერნაკისებურად მორიდებით გკითხოთ: - უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით, რომელი საუკუნეა გარეთ? - თქვენ შეგიძლიათ, არც უპასუხოთ, მხოლოდ გაუღიმოთ. იგი ამისთვისაც მადლობელი დაგრჩებათ და უკანვე შებრუნდება თავის უჟამო მარადისობის სიმყუდროვეში.

დიახ, ძველი ოჯახებისათვის ერთ განზომილებაშია მოქცეული წარსული, აწმყო და მომავალი. აქ ადამიანები არ

კვდებიან, მხოლოდ მიდიან სადღაც. მათი სულები კი აქ რჩებიან. საღამოობით, ვახშმობის დროს, სუფრასთან ყველანი ისევ გროვდებიან, ცოცხლებიც და გარდაცვლილნიც. ქალები მიირთმევენ ჩაის ალუბლისა და კომშის მურაბით. კაცები კი წითელი ღვინის წრუპვას ამჯობინებენ წელშიგამოყვანილი ჭიქებით.

და როდესაც პატარა გოგონა გაყვითლებულსა და ოდნავ აციცქნილ კლავიშებიან ფორტეპიანოს მიუჯდება შოპენის ეტიუდის გასამეორებლად, ბებიები კედლებიდან გოროზად დაჰყურებენ და ნერვიულობენ: - რა ემართება, ერთსა და იმავე ადგილას რატომ წაიბორძიკებს ხოლმეო?!

ძველ ოჯახებში რაღაც სხვაგვარი სურნელი დგას: ხმელი პიტნისა და მიხაკ-დარიჩინის ნარევი ვალერიანის წვეთებთან და წიგნების მტვერთან. აქ ნივთები თავიანთ ოდინდელ სიზმრებში თვლემენ. წაფერდებულ გრამოფონს ძველი გობელენების მონადირესავით გაუშვერია თავისი სამარადისოდ დადუმებული საყვირი, ხოლო კრიალმივიწყებულ, მიბინდულ სამოვარს მათრობელა ოხშივარი ეზმანება.

ქუჩიდან შემოჭრილი ტექნიკური პროგრესის ხმაური ვერ აფრთხობს ძველი ნივთების ელეგიურ სუფევას. აქ ვერ აღწევს პლასტმასისა და სინთეტიკის ესთეტიკა და ამ სიმყუდროვეში ყველაფერს თავისი იერი აქვს და არა დიზაინი.

ასეთი ოჯახები ჯერ კიდევ არსებობენ, როგორც ქალაქის ისტორიული ყოფის მოწმენი, როგორც ქალაქის ტოპონიმიკის არქივარიუსები. მათთვის ქუჩებს, მოედნებს, ხიდებსა თუ შესახვევებს ისევ ძველი სახელები ჰქვიათ: „სასახლის ქუჩა,“ „ბოლო აღმართი,“ „ვერის ხიდი,“ „ზემელი,“ „ოტენის აფთიაქი.“ „ვარდისუბანი,“ „თათუზას ფურნე,“ „პლატონას დუქანი“... ეს ოჯახები რომ არ გადარჩენილიყვნენ, ქალაქი თავის თავს ვეღარ იცნობდა.

ამ ოჯახებში არ იზრდებიან პარტიული ბოსები და შოუმენები, დიდი ბიზნესმენები და ნუვორიშები, ტოპმოდელები და სუპერვარსკვლავები... ამ ოჯახების სადარბაზოებს არავინ

იცავს, ვინაიდან მათ ტერაქტებს არ უწყობენ. მათ მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებით დროდადრო გამოხშირავენ ხოლმე საზოგადოების „გაჯანსაღების“ მიზნით, რადგან ისინი ქუჩაში დასანახავად არ აფრიალებენ სახელმწიფო დროშებს და არასტანდარტულად აქვთ შედგენილი ეროვნული კულტურის ღირებულებათა რეესტრი.

ამ ოჯახებში ფულს არა აქვს მინიჭებული ამქვეყნიური ბედნიერების საპატიო ფუნქცია. იგი მხოლოდ არსებობის ერთ-ერთი უბრალო საშუალებაა და არა სანუკვარი მიზანი. ამიტომ ისინი მის საშოვნელად თავს არ იკლავენ. უკიდურესი გაჭირვების დროს, მათ, შესაძლოა, მშრალ ხიდთან გამართულ ბაზრობაზე გაყიდონ საქსის ლანგარი ან სადაფებით ინკრუსტირებული სპარსული ყალამდანი, სპილოსძვლის-ტარიანი ქაღალდების საჭრელი დანა ან კოპენჰაგენის ფაიფურის ძაღლების კოლექცია, მაგრამ იმ უბრალო ზარდახშას ვერ შეელევიან, რომელიც საგულდაგულოდ აქვთ ჩაკეტილი, და რომელსაც მკაფიო ასოებით აწერია: „ზნეობა“. მისი გასაღები მათ გულზე აქვთ ჩამოკიდებული და ყოველთვის თან დაატარებენ.

ისინი სულიერი არისტოკრატები ბრძანდებიან და როდესაც ვინმე ზნედაცემული მდაბიო, უგუნურ ხელისუფალთა მიერ აღზევებულ-გათავხედებული კარიერისტი რომელსამე მათგანს უშვერად აუწივწივდება და ნაგავს შეაყრის, იგი იმ არარაობის დონემდე არასოდეს დაეშვება, პასუხსაც არ აკადრებს, ხელთათმანებით უხმოდ ჩამოიბერტყავს ტანსაცმელს და წაბილწულ ხელთათმანებს კი ქუჩის კიდეში მდგარ ნაგვის ურნაში ჩაუძახებს.

თანამედროვენო, ნუ შეიბრალებთ ეროვნული სახატის ხევისბერთა ამ უკანასკნელ შთამომავლებს. მათ თქვენი შესაბრალისი არაფერი სჭირთ! პირიქით: „ფეხი დაადგით, გულზე დაადგით ფეხი ყოველმან!“ ისინი ამით მეტ ძალას შეიძენენ, ვინაიდან სხვა მასალისანი არიან.

დიახ, ეს ასეა, რადგან ძველი ოჯახების სული ასე იოლად

არ კვდება, იგი მარადისობასთან არის წილნაყარი და იმ იდუმალ ძალასთან, რომელსაც ქართულად „ფუძის მფარველი ანგელოზი“ და „ადგილის დედა“ ჰქვია.

ამ ძალის წყალობით, ეს ოჯახები ჯერ კიდევ მაინც ჯიუტად განაგრძობენ არსებობას და მაცხოვრის კვართის ნაფლეთივით წმიდათაწმიდად უნახავენ შთამომავლობას იმას, რასაც ოდესღაც სამშობლო ერქვა.

ქვეყანა მხოლოდ ლანდშაფტი არ არის და ქალაქი მარტოოდენ შენობებისა და ქუჩების გეგმარებით არ ამოიწურება. მთავარია, შიგ ვინ ცხოვრობს და რა სული ტრიალებს.

ლამაზი ფოთლები რომ ლალად ირწევიან და ზეცას ელტვიან შრიალით, ეს იმ დაგრეხილი ფესვების სიმღერაა, რომლებიც დედამიწის ბნელ წიაღს არიან ჩაბღაუჭებულნი.

* * *

სასიამოვნოა, რომ ჩვენს დღევანდელ ახალგაზრდებში, რომელთა უმრავლესობა, ჩვენდა სავალალოდ, მონუსხულია თავის ფესვებს, აღმოჩნდა ერთი, რომელიც დადის, ეძებს და აგროვებს მივიწყებულ ამბებს, გაყვითლებულ ფოტოსურათებს, ანგარდასულ პიროვნებათა ბედისა თუ უბედობის ნამსხვრევებს, სიყვარულით აკონინებს, რათა აღადგინოს ქართული კეთილშობილური სულის ერთი დიდი და მთლიანი მოზაიკა.

მადლობა ვუთხრათ ახალგაზრდა ავტორს, ნათია ხორნაულს, ამ უაღრესად საინტერესო ნიგნისათვის და ვუსურვოთ ნარმატებები ამ რთულ, მაგრამ მოულოდნელობებით აღსავსე გზაზე.

ვახუშტი კოტეტიშვილი



ლადო კოტეტიშვილი
და დათიკო იაშვილი.
1917 წ.

„ქროლვანი უნაპირონი

ლადო კოტეტიშვილი - პიროვნება და შემოქმედი

„მიჰქრიან საუკუნეები,
მიჰქრის დაუნდობელი ბედისწერა,
ვინ შეაჩერებს ამ ქროლვას უნაპიროს...“

ლადო კოტეტიშვილი

„ყოველივე დიდებული საქმე, რითაც კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისიმე სხვისაგან, ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით“ - (ილია ჭავჭავაძე). სწორედ ასეთი იყო ლადო კოტეტიშვილი მტკიცე ხასიათის, პრინციპული, მაღალი ზნეობის. „ადამიანი ისე სწორედ უნდა იყოს აშენებული, - წერდა იგი, - რომ რანაირ პირობებშიც არ უნდა იბრუნოს, არცერთი ნაკვთი გონებისა და ზნეობისა არ უნდა დაკარგოს - არსად არ უნდა გაიბზაროს, მაგარი უნდა იყოს, რო-



ლადო კოტეტიშვილი

გორც ძველი დამასკის ქაშანური“ (მეგობარისადმი მიწერილი წერილიდან).

პროფესიით ექიმი იყო, ნევროპათოლოგი, ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი... ჭეშმარიტი ქართველი, ქართული გარეგნობითა და ხასიათით. მაღალი, ახოვანი, შავგვრემანი, ღრმა, უძირო, შავი თვალებით, ვაჟკაცური იერ-სახით და კუშტი გამოხედვით. საოცრად მეტყველი სახე ჰქონდა, ჭკვიანური, დაფიქრებული.

,,...დაბერტყილ და დაცარიელებულ ჩონჩხის მეტს მე მიწას არაფერს მივცემ. რაც კი არის ჩემში გონებრივი, ზნეობრივი თუ ადამიანური, აქ უნდა დარჩეს, ამ ქვეყანაზე. ეს იმიტომ კი არა, რომ ან სახელი მაინტერესებს, ან ხარისხი, ან კეთილდღეობა სრულიადაც არა. მე ვცდილობ მხოლოდ ვიყო ადამიანი, სრულქმნილი, როგორც მიქელანჯელოს ქანდაკება, რომელიც მაღალ კლდიდან რომ დააგორეს, ძირამდის ისე ჩაგორდა, რომ არამც თუ არ გატყდა, ერთი ნაკვთიც არ შეშლია რატომ? იმიტომ რომ სწორად იყო გაკეთებული... აი, ეს არის მიზეზი ჩემი წყვეტებისა კუთხიდან კუთხემდე. ,,არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“. ასე თქვა პოეტმა ჭეშმარიტებაა სრული“ (ლადო კოტეტიშვილი). მისი უახლოესი მეგობარი, ბენო გორდეზიანი ასე მიმართავს ლადოს ერთ-ერთ წერილში: ,,გაგახაროს ღმერთმა. როგორც შენ გამახარე ამ წერილით. ვიყნოსე კაცის სუნთქვა (ეს ყველაფერი ყოფილა) და დავმშვიდდი.“

ლადო კოტეტიშვილი თავის თავში იტევდა მთელ იმ ტრაგედიას, ახალმა დრომ რომ მოიტანა. პირქუში, მდუმარე კაცი იყო, არ უყვარდა ზედმეტი ლაპარაკი, მეგობარიც ცოტა ჰყავდა. თანამედროვეთა ასეთი ხუმრობაც არის შემორჩენილი, თითქოს ლადო მხოლოდ სამ ადამიანს ესალმებოდა - უახლოეს მეგობარს ბენო გორდეზიანს, ფერშალ გრიშა ხახანოვს, რომელიც წლების მანძილზე მასთან თანამშრომლობდა, მისი მარჯვენა ხელი იყო, და მეარღნე სიკოს, თავის პაციენტს.

ეს თავისებურება იმ მძიმე ცხოვრების შედეგი იყო, საქართველოში და, კერძოდ, თბილისში რომ დაისადგურა რუსეთის წითელი იმპერიის ბატონობის წლებში. სილაღე და სრული ბედნიერება მოაქვს საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას, ხოლო, როდესაც სამშობლოს დათვის მძიმე ტორი ადევს, მხიარულად მხოლოდ მედროვენი არიან...

ლადოს, ამ გულჩათხრობილ კაცს - დიდი წუხილი მძიმე ტვირთად აწვა, თუმცა, მის ძლიერ პიროვნებას ადვილად ვერავინ დააჩოქებდა. ასეთებისთვის უფრო ძნელია მკაცრი, ულმობელი სინამდვილის ატანა... „დევის ნაბრძოლზე დათხრილი და დაცარიელებული ადგილიღა რჩება სხვა არაფერი, და ნამუხლარი, თუ სადმე წაიჩოქა“ - წერდა იგი.

ლადო კოტეტიშვილის შემოქმედებითი ნიჭი და ბობოქარი სული ერთი პროფესიის საზღვრებში ვერ ეტეოდა და ამოხეთქვას ლამობდა. წერა დაიწყო. მისი მთავარი საწუხარი, საფიქრალი იყო სამშობლო, ძველი და ახალი თბილისი, ყველაფერი ქართული... ისიც ფიქრობდა და ქაღალდზე გადაჰქონდა თავისი განცდები. ბევრი მოთხრობა და ჩანახატი ეხება იმ ავბედით წლებს, რომლებმაც საქართველოს დიდი ტკივილი დაუტოვა - („გოჩმანა“, „საგიჟეთში“, „ფარნა“, „კეთროვანთა ზღაპრები“, „ღვთის სახელით“, „გველიანდარის მოდგმა“, „ქროლვანი უნაპირონი“, „მიმქრალი ჩრდილები“, „მზისავარ“ და სხვ.).

ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა ოჯახურ არქივში ინახება და, სამწუხაროდ, დღემდე უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის... გთავაზობთ ნაწყვეტს მოთხრობიდან „მიმქრალი ჩრდილები“: „თქვენ, ალბათ, გინახავთ ძველი ალბომი. დანგრეულ და გარდასულ დროთა მატიანე. ძველი ტაძრის სიჩუმე და ბურუსი გიგრძენიათ ალბათ. დაჟანგებულ და ჩაყვითლებულ ყდისთვის გიხლიათ როდისმე ხელი. ნოტიო აკლდამის სუნსაც იგრძნობდით უთუოდ. ნუშის ზეთის სუნსაც, რომელიც მუდამ სდის დაფშვნილ და დაცარიელებულ სიცოცხლეს... მეტად უცნაურია სურათების დალაგება ძველ

ალბომში... შაქარმოყრილი სახეები როგორც ყვითელი სანთლის ნამწვავები, მიკრული და დავიწყებული ძალიან შორს გადასულ სალოცავის კედლებზე... ტფილისიც ისეთია როგორც ძველი ალბომი... დანგრეულ და გარდასულ დროთა მატიანე. ძველი ტაძრის სიჩუმეს და ბურუსს იგრძნობთ მუდამ, თუ გაჰყვებით შუა ბაზრის ვიწრო ფოლორცს. ქუჩები აქ ბებერ ვაზის ტოტებივით არის დაგრეხილი, დაწნული, დაჟანგებული და ჩაყვითლებული. სახლები ასი წლის მოხუცებულებივით სხედან ამ ქუჩებზე და სთვლემენ... სახლი თუ ორსართულიანია, მეორე სართული შიშით და კანკალით ზის პირველ სართულზე და ტოკავს. წელში მოღუნულ ბოძებს გაჭირვებით უჭირავთ გაზმორებული აივნები. ქუჩები ბებერ დედაკაცის თითებივით არის მოკაკული. მოღუნული, აკანკალებული, საკვირველია, ძველ ტფილისში ქუჩას ბოლო არა აქვს, თუ ქუჩა თავდება, იქ ტფილისიც თავდება. ნარიყალაზე წყალი რომ დაასხათ, მთელ ქუჩებს შემოირბენს ეს წყალი და სიონთან ჩამოვა. ასე გამორბის ყოველი ქუჩა სიონისაკენ. ალბათ, უწინ სჯეროდათ, რომ დიდი წყალობა რაღაც ჩამოიღვრებოდა ნარიყალადან სიონზე და ისე ალაგებდნენ ქუჩებს და სახლებს, რომ ეს წყალობა ყველა ოჯახს რგებოდა, იმიტომ თუ ეკვრიან სახლები ერთმანეთს, ვინ იცის... ნარიყალა და სიონი ორი ურყევი ბოძია, რომელთა შუაც ქანაობს შნო და ადათი ძველი ტფილისის...“

ძველი თბილისი მრავალი შემოქმედის შთაგონებად იქცა ნარიყალათი და სიონით, ძველი უბნებით და ძველი ყოფით, რომელშიც თითქოს წინაპართა სულია ჩაქსოვილი და დიდი სიყვარულითა და სასოებით არის შექმნილი.

„...აი, აქ, ამ ტფილისში, მეტისმეტი სიბერით აკანკალებულ სახლებს შუა, მედგრად არის ავარდნილი ძველი სიონი. იმისი განიერი და მაღალი ჩრდილი თითქმის შუამდე სწვდება მთელ ტფილისს. სიპი კედლების სიმტკიცე და სიმკვრივე ჩაკირულია ათას საუკუნეთა ქროლვებით. ღმერთი თუ როდისმე დადიოდა ქვეყანაზე, ალბათ, ღმერთსა და ხალხს შორის ისეთივე

განსხვავება იყო, როგორც ამ სახლებსა და სიონს შორის. ამ განსხვავების გარდა, სასწაულიც იყო, ალბათ. სახლები რომ ძველდებიან, უსათუოდ ინგრევიან. სიონი კი რამდენიც ძველდება, იმდენი მტკიცდება და მაგრდება. ალბათ, შორი მზერა ძველი ტფილისის მოქალაქეებისა ქმნის ამ უხილავ სასწაულებს, მაგრამ ყველაზე ძლიერი და ბუმბერაზი ისევ სიონის ზარის გუგუნია. ყოველ დილით მიწა რომ ინძრევა, სახლები რომ ზრიალებენ შიშით და სიყვარულით, ყველამ იცის, რომ ეს სიონის ზარია...“

დიდი სულიერება ლადო კოტეტიშვილს ოჯახიდან ჰქონდა შესისხლხორცებული. ბავშვობიდანვე წირვა-ლოცვა იყო მისი ცხოვრების თანაზიარი. მღვდლის ოჯახში იზრდებოდა. მამამისი, მამა ილია, მსახურობდა დიდ თონეთში (სადაც ლადო დაიბადა), სვეტიცხოველში (აქ გაატარა ლადომ ბავშვობა), ნიჩბისში, ხურვალეთში და თბილისში (წმ. სამების, პეტრე-პავლეს და, ბოლოს, მამა დავითის ეკლესიებში.)

ლადოს წერა-კითხვა დედამ, ეკატერინე ბიძინაშვილმა ასწავლა, ოთარაანთ ქვრივს რომ ეძახდნენ. ხასიათის სიმტკიცეც სწორედ მისგან გამოჰყვა. ეკატერინემ კარგად იცოდა ქართული ლიტერატურა. პირველად მან აზიარა შვილები: ივლიტა, ვახტანგი, გიგო და ლადო ხალხური შემოქმედების მადლს. ლადო ჯერ მცხეთის სამრევლო სკოლაში მიაბარეს, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1914 წელს ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე. „ლადომაც გაიმარჯვა! აი, სწორედ ეხლა გავიგე, რომ მე საექიმოზე გადამრიცხეს... ჩემი ტიტული დღეიდან ასეთია - სტუდენტი-მედიკოსი. ამასთანავე უნდა მოგწეროთ, რომ წიგნების ფული დამჭირდება. თუმცა ფულზე ლაპარაკი სირცხვილიც არის, მაგრამ რას ვიზამ. ყველა წერილის მოწერის დროს ვწითლდები... საექიმო ფაკულტეტი ძნელი ფაკულტეტია, იმდენი დროც კი არ მრჩება, რომ საცხოვრებელი ფული ვეძიო. პურის საჭმელი დროც კი აღარ არის... საქმის სიყვარულმა ეგრე იცის...“



მამა ილია და ფოფოლია ეკატერინე ბაძინაშვილი შვილებთან (მარჯვნიდან): იულიტა, ვახტანგი, გოგო, ლადო.



დეკანოზი მამა ილია კოტეტიშვილი

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქნე მუშაობდა ნერვულ კლინიკაში. 1922-24 წლებში უკვე საქართველოშია და თელავის რაიონში მოღვაწეობს, ახალსოფელში. ერთხელ მასთან მეკუბოვე მოვარდა: „ექიმო, ცოცხლ ქალს მარხავენ, კუბოს ზომას რომ ვიღებდი, ხელი გადმომკრაო.“ ლადო მაშინვე წავიდა იმ ოჯახში და კოკზით გაუღო პირი „მიცვალებულს“ დაინახა, რომ ყელი ჩირქით ჰქონდა საკსე. საჭირო პროცედურის შემდეგ ქალმა თვალები გაახილა და წყალი მოითხოვა. ხმა გავარდა, ჩვენი ექიმი მკვდრებს აცოცხლებსო. მეორე დილით ხმაური მოესმა. ფერშალი ეხხუბებოდა ვილაცას, რომელსაც ერთი თვის დამარხული მკვდარი ამოეთხარა და ექიმთან მოჰქონდა. ძლივს დააშოშმინა თურმე ლადომ სოფელი...

აჭარაშიც უმუშავია, ხულოს რაიონში. 1924-26 წლებში, თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იყო ორდინატორად (პროფესორ ასათიანთან). შემდეგ მე-14 პოლიკლინიკაში მსახურობდა, ბოლოს კი სანჰიგიენის ინსტიტუტში... ლადო კოტეტიშვილმა მიზნად დაისახა ძველი ქართული საექიმო წერილობითი ძეგლების, სატაძრო და მაგიური მედიცინის ნაშთების და ხალხური მედიცინის შეგროვება-შესწავლა. „ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, წერდა იგი, რომ არცერთი ძველი საექიმო წიგნი ან კარაბადინი ჯერ არ დაბეჭდილა საქართველოში“...

ლადო კოტეტიშვილმა სამი უნიკალური სამედიცინო ძეგლი გამოსცა: „უსწორო კარაბადინი“ (XIს.), „წიგნი სააქიმოი“ (XIIIს.), „იადიგარ-დაუდი“ (XVIს.) დასაბეჭდად გამზადებული დარჩა გამოკვლევები „მედიცინა ძველ საქართველოში“ (XVIII-XIX ს-ის დასაწყისი), „სატაძრო და მაგიური მედიცინა უძველეს საქართველოში“. „საექიმო იდეები „ვეფხისტყაოსანში.“ ლადო კოტეტიშვილი შესანიშნავად ფლობდა ფრანგულ და რუსულ ენებს. „წიგნი სააქიმოის“ წამძღვარებული აქვს მის მიერ დაწერილი შესავალი ქართულ და ფრანგულ ენებზე. მანვე თარგმნა რუსულად „წიგნი სააქიმოი“,

რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო და გამოსაცემად რუსეთში გაიგზავნა. სამწუხაროდ, წიგნი ვეღარ გამოიცა მისი მოულოდნელი გარდაცვალებისა და ომის დაწყების გამო.

როდესაც ლადომ „იადიგარ-დაუდი“ გამოაქვეყნა, თანამშრომლებმა აჩუქეს თეთრი მარმარილოს საფერფლე, ზედ შემომჯდარი არწივით. საფერფლეს ასეთი წარწერა აქვს: „ქართული მედიცინის არწივს.“ ეს ნიუთი დღეს მისი ერთერთი ქალიშვილის ოჯახში ინახება. ლადო კოტეტიშვილის წვლილი მედიცინის ისტორიის განვითარებაში სათანადოდ შეაფასა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა: „ექიმი ლადო კოტეტიშვილი ერთადერთი ქართველი იყო, რომელმაც ძველი ქართული სამკურნალო მწერლობის მეცნიერული შესწავლა და გამოქვეყნება დაისახა მიზნად. ასეთი ძნელი ამოცანისათვის საჭიროა ორგვარი ცოდნა: სამკურნალო და ისტორიული. ამასთანავე, ძველი ქართული სამეცნიერო ენა და ტერმინოლოგიაც უნდა ესმოდეს იმ პირს, რომელიც ასეთ მიზანს დაისახავს. ასეთი დიდი და რთული მოთხოვნილების გამო, არც ერთ ჩვენს ექიმთაგანს ამგვარი მოვალეობის თავის თავზე აღების არც ხალისი, არც შეგნება და არც შრომისმოყვარეობა არ აღმოაჩნდა. ამ მხრივ, ექიმი ლადო კოტეტიშვილი ერთადერთს გამონაკლისს წარმოადგენდა... მან ძველი სამკურნალო მწერლობის მეცნიერული შესწავლის თაოსნობაც გამოიჩინა და საფუძველიც დაუდო.“



ნინო მაყაშვილი-კოტეტიშვილისა

1928 წლის 20 ოქტომბერს ლადო კოტეტიშვილმა ცოლად შეირთო უმშვენიერესი თავადის ქალი, ნინო სოლომონის ასული მაყაშვილი - მაღალი,

ტანადი, ხვეული წაბლისფერი თმით, მომხიბვლელი მწვანე თვალებით. ნინო არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო, ხალისიანი, იუმორით სავსე, მუდამ მხნე და გაუტეხელი. სამამულო ომის უმძიმესი დღეები სწორედ მისმა იუმორმა გადაატანინა მთელ სანათესაოს...

ნინოს მამა, სოლომონი, სამხედრო პირი იყო (გენერალ-ლეიტანანტი), ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, კოტე მაყაშვილის ძმა. გასაბჭობის წლებში, სხვა თავადებთან ერთად, მაყაშვილების ოჯახიც გამოაძევეს იყალთოდან, მძიმე დრო იდგა საქართველოში. „მაყაშვილთა გოდებით“ იყო გაჟღენთილი საქართველოს ჰაერი. მათი ოჯახიდან ორი შესანიშნავი ახალგაზრდა შეეწირა ახალ დროს: ბიძაშვილები ლეგენდად ქცეული მარო მაყაშვილი და მიხეილ (მიშა) მაყაშვილი ნინოს ძმა, იუნკერი, რომელიც მამაცობისათვის ჯერ კიდევ 20 წლისა დააჯილდოვეს გიორგის ჯვრით. იგი იუნკრების სასწავლებელზე ბოლშევიკების თავდასხმის დროს დაიღუპა 1920 წელს.



გენერალ-ლეიტენანტი სოლომონ ზაქარიას ძე მაყაშვილი

ლადოს და ნინოს სამი შვილი შეეძინათ: იათამზე (იათო), ელისო და ნანა. დღეს ისინი ნაყოფიერად მოღვაწეობენ მეცნიერების სხვადასხვა

დარგში: იათო ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია, ელისო გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნანა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. მათში გაგრძელდა ის ეროვნული სული, რაც ასე ძალუმად ფეთქავდა მაყაშვილებისა და კოტეტიშვილების საგვარეულოში...

თავისი ქვეყნის ბედით შეწუხებულ ლადო კოტეტიშვილს, მეგობართან საუბრისას ხშირად უთქვამს, საქართველოს მხოლოდ მთა გადაარჩენსო. აქ შემორჩაო ყველაზე მეტად ქართული სული. ხევსურეთში მოგზაურობის შემდეგ, დიდი შთაბეჭდილებებით დატვირთული, გამუდმებით იმაზე ფიქრობდა თურმე, რა ექნათ, როგორ დაეუახლოვოთო მთა ბარს... ეს სურვილი რაღაც განგების ძალით აცხადდა. მისი ერთ-ერთი სიძე, უმცროსი ქალიშვილის ნანას მეუღლე ხევსურია, მწერალი და მეცნიერი - გიგი ხორნაული.



ნანა კოტეტიშვილი

დღემდე ჩვენი ოჯახი (ნანას და გიგის ოჯახი) იმ სახლში ცხოვრობს ძველ უბანში (სოლოლაკში, სულხან-საბას ქუჩაზე), სადაც ლადო ცხოვრობდა, სადაც დადიოდა, ფიქრობდა, თავის ოჯახსა და შვილებზე ზრუნავაში ათენებდა და აღამებდა...

ლადოსათვის ოჯა-

ხი წმიდათაწმიდა იყო. ლენინგრადში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით წასული, დიდი სიყვარულით სავსე წერილებს გზავნიდა სახლში. ,,ნინო, აი, თვეზე მეტია, წერილი არ მიმილია. განა არ იცი, რომ დღე და ღამ თქვენზე ვფიქრობ. ისე კი არა, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ, სრულიადაც არა. ეს ფიქრი სხვანაირია, ხორცშესხმული, ზეადამიანური, ეს კარგად დაიხსომე... რაღაც სულ არეული, ცუდი ფიქრები მომდის თავში, თუ ადამიანი ხარ, ბავშვებს გაუფრთხილდი. ნანას განსაკუთრებით თვალი ადევნეთ. პატარაა, ან ძაღლმა არ შეაშინოს, ან კბილდან არ დაგიგორდეთ, არ გაგიცივდეთ, არაფერმა აწყინოს, ცოდოა, ბავშვია...“ ეს ერთი შეხედვით კუშტი და თავისთავში ჩაკეტილი კაცი, საოცრად ფაქიზი და მგრძნობიარე იყო შვილებთან დამოკიდებულებაში... შემორჩენილია ლენინგრადიდან შვილებისადმი გამოგზავნილი, დიდი სიყვარულითა და იუმორით დაწერილი, დასურათებული წერილები:

,ჩემო იათო, ჩემო პატარა ფასკუნჯო! მოგილოცავ დაბადების დღეს. ეხლა უკვე ათი წლის ქალი ხარ. ვაშა ჩვენს იათოს! პატარა ვარხვო! ეხლა კი უნდა დაჭკვიანდე, ხომ იცი, ათ წელს როცა ქალი გადასცილდება, ის მუდამ ჭკვიანია. დედას უგონებს ყველაფერს, სამაგალითოდ იქცევა, ოჯახს უვლის... კარგად სწავლობს“



იათამზე (იათო) კოტეტიშვილი

...იათოს მოგონებიდან: - ,,მამას თავისებური შეხედულება ჰქონდა სწავლა-აღზრდაზე. იგი საოჯახო აღზრდის მომხრე იყო... ჩვენი სკოლები ბავშვების სულს ამახინჯებენო. ბავშვებს სკოლაში VIII კლასამდე არ შევიყვანო. მამას ჩანაფიქრით, ბავშვების

აღზრდა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო. ლიტერატურას და ისტორიას თვითონ გვასწავლიდა, რუსულს და არითმეტიკას დედა, ხოლო ფრანგულს და მუსიკას მოწვეული პედაგოგები. მისი გარდაცვალების შემდეგ შეწყდა კერძო გაკვეთილები...“

ნანას მოგონებიდან: „დედა გვიამბობდა, რომ მამა ავადმყოფებს სახლში იღებდა. ესენი იყვნენ ძირითადად უბრალო ადამიანები, მეარღნეები, მუშები. როგორც ჩანს, წინათ ნევროზი ასეთ ხალხს ემართებოდა, უკიდურესად გაჭირვებულებს, ცხოვრებაში ხელმოცარულებს. მამა სამკურნალო რეცეპტებთან ერთად, ხშირად წამლის ფულსაც თვითონ აძლევდა ავადმყოფებს. იგი ნამდვილი მკურნალი იყო, ავადმყოფების სულიერ ტკივილებს ითავისებდა... მამამ სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლენინგრადში გაატარა. „უსწორო კარაბადინის“ ვახტანგისეულ ხელნაწერზე მუშაობდა, რომელსაც იქ მიაკვლია. წიგნის გამოცემას კი ველარ მოესწრო...“


ნანა კოტეტიშვილი

ლადო კოტეტიშვილი 45 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებლად ელიარებინათ.

ლადოს ხატვის საოცარი ნიჭიც ჰქონდა, თურმე სამხატვრო აკადემიაშიც კი აპირებდა შესვლას. დიდხანს ინახებოდა მის ოჯახში ლადოს ნაქონი მოლბერტი. თვითნასწავლი მხატვარი იყო. დახატა მამის პორტრეტი, რძლის, ვახტანგის მეუღლის - ნინოს (ნუსიას), და მათი ქალიშვილის, მანანას პორტრეტები. უმცროსი ქალიშვილის ნანას პორტრეტი დახატული აქვს მისივე ფერადი ფანქრებით: „მთელი ჩემი ფიქრი მაგ გოგოსთან

არის პატარაა, მეცოდება... კატეგორიულად გიკრძალავთ, თმა არ გაკრიჭოთ, უნდა დამსვედროთ გრძელი ლოკონებით.“ სწერდა მეუღლეს.

ლადო აპლიკაციებსაც აკეთებდა. შესრულებული აქვს მეუღლის, მეუღლის ბიძაშვილის ნუნუ მაყაშვილ-ერისთავის პორტრეტები.

ლადო კოტეტიშვილის საოცარი ფერწერული ხედვა მის მოთხრობებშიც აისახა, ორიგინალურ მხატვრულ აზროვნებასთან ერთად:

„ტფილისის სხეული ხარის ფაშვივით არის გათრეული და გამოთრეული ათას ხევებში, სინდიყის მძივივით აგორებული და აფერადებული ორი მთის შუა. წელზე შემორტყმული მტკვარი ყარაჩოღლური ვერცხლის ქამარივით მძიმე, მღვრიე, განიერი. დღეს ტფილისში მტკვარი ისევე სასაცილოა, როგორც წითელ სასადილოში იოანე ნათლისმცემლის ფრესკა...

„მთელ ქვეყანაზე ყველა ქალაქს აქვს თავისი წერტილი, საიდანაც ის ყველაზე ლამაზი მოჩანს. ტფილისს ასეთი წერტილი არა აქვს. ყოველი მხრიდან და ყოველი კუთხიდან ლამაზი და საყვარელია, როგორც ძველი სპარსული ხალიჩა, როგორც დამასკის ქაშანურზე გამომწვარი გაფრენილი წერო...


არ ვიცით რათ, თბილისში ყველაზე კარგი დრო ნაშუადღევის ოთხი საათია. ტრფობაში მინაბებულ ქალივით არის გაყვითლებული მზის შუქი ამ დროს. მიმქრალი და მინაზებული ჩრდილები მომწვანო ფერით გამოიყურებიან. მე ისე მგონია, რომ მთელ ქვეყანაზე არსად არ არის ისეთი ჩრდილები, როგორც ძველ ტფილისში. ეკლესიასტეს საარაკო ნადირთა ჯოგი თუ ყოფილა ოდესმე ქვეყანაზე, სწორედ ასეთი ჩრდილები უნდა ჰქონოდა...

მხოლოდ დრო ანგრევს და აქრობს ტფილისის ჩრდილებს. დრო-ჟამთა ვითარება ჰკლავს ტფილისს ტფილისში, ისე უბრალოდ, სადად, დაუტირებლად...“ („მიმქრალი ჩრდილები“).

ლადო მოქანდაკეც იყო. გამოაქანდაკა მეუღლის ბებია მანანა ჭავჭავაძე, იათოთი ხელში. შექმნა ვაჟა-ფშაველას

ბიუსტი. როდესაც ვაჟა-ფშაველა ქაშვეთის ეკლესიაში ესვენა, ლადომ თავის მეგობრებთან ერთად ღამე გაუთენა. იჯდა თურმე და ჩანახატს აკეთებდა. სახლში რომ მივიდა, გამოაქანდაკა. ვაჟა-ფშაველას ბიუსტი ამჟამად ლიტერტურის მუზეუმშია, ხოლო მელანქოლიკის მეტად საინტერესო ბიუსტი მისი ქალიშვილის ოჯახში ინახება.

ელისოს მოგონებიდან: ,,ის დრო, როდესაც მამა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ყველაზე მძიმე რეპრესიების დრო იყო საქართველოში. ახლა ბევრი მაშინდელი მოღვაწე წერს: ,,მაშინ სხვანაირად არ შეიძლებოდაო.“ ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით. მამა არ უშვებდა სახლში კომუნისტური პარტიის წევრებს, თუნდაც ისინი უახლოესი ნათესავები ყოფილიყვნენ. კრძალავდა სახლში რუსულად და განსაკუთრებით შერეულად, რუსულ-ქართულად ლაპარაკს.



ელისო კოტეტიშვილი

დედას თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული რუსულად (მაშინ ქართული სასწავლებლები არ იყო საქართველოში) და მისი ნაცნობ-მეგობრები მიჩვეულნი იყვნენ რუსულად საუბარს. მამას გამოჩენისთანავე, ყველა გადადიოდა ქართულზე. ამის გამო მამა უცნაურ კაცად იყო ცნობილი. საშუალო დამოკიდებულება მისდამი არ არსებობდა. იყო ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც თაყვანს სცემდნენ მას, ზოგს ეშინოდა და ერიდებოდა, ზოგი კი აშკარად მტრობდა.“

საზოგადოების ასეთ არაორდინალურ დამოკიდებულებას ლადოსადმი განაპირობებდა მისი განსხვავებული ხასიათი და მოვლენების თავისებური აღქმა, მოთხრობებში ჩანს მისი მრწამსი, პროტესტი სინამდვილის მიმართ. იგი გროტესკულად გვიხატავს ნიაღვარივით მოვარდნილ ახალ ცხოვრებას.



მამა ილია, ნინო მაყაშვილი-
კოტეტიშვილისა, (აივანზე) სერგი
მაკალათია და ლადო კოტეტიშვილი

,,...ცხოვრება საოცარ სასწაულებს ამზადებდა... მუნჯმა ხალხმა თანდათანობით ენა ამოიდგა და ლაპარაკი დაიწყო. საიდანღაც მოვიდა შავი ხალხი, შეკრული შუბლით, სისხლიანი თვალებით და ქვეყანას დაემუქრა რისხვით, კიდევ რამდენიმე ხანი და საშინელი გრგვინვით დაიმსხვრა ზღუდე და ბორკილი, გაცეცხლებულ ლავასავით მოედო შავი მასა ტფილისის ქუჩებს. ტფილისი აბრუნდა. ყველაფერი სუსტი, ბებერი და უნიათო დაიმსხვრა ამ ბრუნვაში. წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალი. ბევრს გული გაუწეთქა ამ საზარელმა სანახაობამ. ამ გაუთავებელ ბრუნვაში ძველი ტფილისი შუაზე

გადატყდა. ახალგაზრდა ტოტებმა იწყეს ანიავება გამხმარი ფოთლების. ძველი ამ დროს მოჭრილ მუხასავით იდგა, ცივი და შიშველი ახალი ტფილისის ქარხნებით, შუქით, ახალი ხალხით. შრომა როგორც ზეიმი. დასვენება კლუბებში. კლუბებში კიდევ ზეიმი. კინო. რადიო. სიმღერები. გაგიჟება შრომით და შრომაში. მებრძოლი უღმერთოება. აქ ღმერთებს ყოველ ღამ ასამართლებენ. არნახული და არგაგონილი კარნავალები მუშა ახალგაზრდობის. ორად გაწეულ ფილტვების საღი სიცილი. დემონსტრაციები. წითელი დროშების ტყე. გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო. ალმშენებლობა. გეგმები. ხუთწლიანი გეგმა ინდუსტრიალიზაციის ოთხ წელიწადში, სამ წელიწადში, ორ წელიწადში. სოციალისტური წარმატებები. მიჯნების მსხვრევა და განიავება. წითელი ვარსკვლავები წითელ ქარხნებზე. წითელი ფერის საყვირები და გუგუნი...

კიდევ წითელი ფერი, კიდევ კივილი წითელი საყვირების... სოციალიზმი. სოციალიზმის ქარიშხლებში გაჩენა, აღზრდა, შრომა დაკვრითი წესებით, სიხარულით. სიკვდილი, მაინც სიხარულით. ახალი ადამიანი, რომელიც ავად აღარ უნდა გახდეს. აღარ უნდა დაბერდეს. აღარ უნდა დაიტანჯოს, სიამოვნებით სიცოცხლე, სიამოვნებით შრომა და სიკვდილი. ასე ბრძანებს პროლეტარიატი. სმენა! ხალხს ასე უნდა, ეს ასე იქნება. გაუმარჯოს კოლექტიურ სურვილს და ნებისყოფას.

მარტო სიონიღა სდარაჯობს დაკარგულ ძველ დროებას... დამარხული მკვდრის მაინც სიცოცხლეს აგონებს ყველას სიონის ზარის გუგუნი. სხვა მხრივ, მხოლოდ კანკალი... სიბერე... მიწამდის დადაბლება და მიწამდის ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებ ჩამქრალი თვალებით. ამავე თვალების მოხუჭვა სიონის ღვთისმშობლის ხატის წინ, გაუთავებელი ლოცვები სიონის მაღალთაღიან გუმბათის ქვეშ... გაუთავებელი წუწუნი ცოდვების მიტევებაზე, ცხონებაზე. დარდი დიდი ცოდვებით დატვირთულ ახალ თაობაზე. იმათთვის ლოცვა

და სინანული. ღვთის ვედრება მყუდროების და სათნოების დამკვიდრებაზე ამ ქვეყანაზე, ამ ხალხთა შორის...

ახალი და ძველი ტფილისი ისე დგანან ერთმანეთის წინ, როგორც ბუზი და ლომი. მაგრამ მაინც იბრძვიან. თავისებური და საკვირველია ეს ბრძოლა. ერთის მხრივ, ახალი ცხოვრება ახალგაზრდა ხალხით, ახალი ხერხებით, ლოცვით, ბევრი ლოცვით და სინანულით.

ახლის მხარეზეა ათიათასი საწარმო, იარაღი. ძველის მხარეზე კი - ერთი ზარი და ათიათასი იმედი..." (მოთხრობიდან - ,,გოჩმანა").

ლადო კოტეტიშვილი საოცარი ემოციითა და განცდით საუბრობს იბერიისა და ქართველობის შესახებ. თვალწინ წარმოგვიდგება სამშობლოსა და თავის ერზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, რომელიც დიდი ხელოვნებით გვიხატავს იბერიის სურათს, მოთხრობაში ,,გველიანდარის მოდგმა".

,,იბერია, შემოხედვა ვნებიანი და ნაზი - უნაპირო. მუსკის ყვავილივით დამტკბარი და ცხელი... სუსხიანი, როდოდენდრონის ეკალივით ლაზათიანი... იბერია. სიმაგრე ელვის და მეხის... გული, ჰინანდრის ნაყოფი. მწიფე და ნაყოფიერი, ალისფერი. ცა-მოლურჯო, მოფირუზო, მოლალო, მოზურმუხტო. არც ლურჯი, არც ფირუზი, არც ლალი, არც ზურმუხტი... იისფერი.

იბერია! როგორც გაუთავებელი არაკი. ტკბილად მოღუღუნე ჩურჩული. ათი ათასჯერ დაფიცებული სიყვარული. სასოება დაჩოქილი და უსაზღვრო...

მალე გავარდა სახელი მთელს ქვეყანაზე. იბერიის ძალის და ძლიერების. მედგრად სდარაჯობდა მოდგმა, ანუ ქართველობა იბერიის მიწას. ქართველობა, როგორც წმინდა მოვალეობა, ყველამ იგრძნო, ყველამ დაიწყო ქართუ-ველობა..."

პრობლემა, რომელსაც მოთხრობაში ავტორი მთელი სიმკვეთრით აყენებს, ისტორიულად ყოველთვის იდგა ქართველი ერის წინაშე. იგი შეეცადა თავისებურად აესახა ის ფენომენი ქართველი კაცისა, რომელიც დღემდე ამოუცნობია..." - ამბობენ,

რომ გველიანდარის მოდგმა დღესაც ცოცხალია და გაჭირვებით, მაგრამ მაინც ქართველობს, რომ ამ ქართველობაში ჩათესილია საოცარი გაორება ღალატის და თავდადების; რომ დღემდის ვერავის ვერ აუხსნია ეს საოცარი საიდუმლო, რომლის ქვეშაც დამარხულია უფრო დიდი საიდუმლო პირველყოფის - პირველ ქურუმის, პირველ ღალატის, პირველ შეცოდების...“

მძიმე რეჟიმით გამოწვეული შინაგანი პროტესტით აიხსნება, ალბათ, ასე მძლავრად რომ იფეთქა დიდმა ნიჭიერებამ ლადო კოტეტიშვილის მთელ თაობაში, რომელსაც, მისივე სიტყვებით, ოდითგანვე მოსდგამდა ,,სიმაგრე ეშვის, სქელტანიანი მუხის, ათასჯერ ნაწართობი ფოლადის...“ (,,გველიანდარის მოდგმა“).

ლადო კოტეტიშვილი ერთ-ერთი იმათთგანია. ვინც სიცოცხლე შესწირა ეროვნული კულტურის გადარჩენას... გმირობად უნდა ჩაითვალოს თავგანწირვა ადამიანებისა, რომელთაც, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მრავალი პატრიოტული საქმის წამოწყება შეძლეს და საფუძველიც დაუდეს.

ლადო კოტეტიშვილის შვილიშვილები



ლელა ხორნაული



ნათია ხორნაული




გიორგი შალუტაშვილი



ნინო შალუტაშვილი



ელენე შალუტაშვილი



ვახტანგ კუხალეიშვილი

ფიქრები შორეულზე

„ბევრი რამ არის მათ გრძნობაში კეთილშობილი,
მათი მხურვალე ოჟნებებით მსურს ვიამაყო"

გალაკტიონი

,,ქვაზე ნაქანდაკებ ასოებივით გამძლეა ფიქრები შორეულზე...
სულ მუდამ უნაპიროა, როგორც პირველყოფილი სევდა.
სევდა ლოცვებში დარწეული თუ აელვარებული.
თუ შორეულ ნაპირივით გაშლილი...
ძნელად სათქმელი სიტყვები ჯამბაზობენ ამ ქვეყნიდან
იმ ნაპირამდე, იმ ნაპირიდან ზეცამდე თუ ღმერთამდე?
ალბათ ზეცამდე"

ლადო კოტეტიშვილი ,,კეთროვანთა ზღაპრები".

უცნაური გრძნობა გეუფლება ადამიანს, როდესაც ფიქრობ, რომ არაფერია მუდმივი ამ ქვეყანაზე, ყველაფერი ადრე თუ გვიან მიდის, ნელა-ნელა ფერმკრთალდება და ბოლოს დავიწყებას მიეცემა, მხოლოდ რჩეულთა სახელები და ნაღვაწი შემორჩება საუკუნეებს...

ამ წერილში მინდა გავიხსენო ადამიანები, ერთ დროს მთელი საქართველო სიამაყით რომ შესცქეროდა... მათთან ურთიერთობა ყველასათვის სანატრელი რომ იყო...

ყოველივე გაქრა, წაიღო წლებმა, დარჩა მხოლოდ ცრემლიანი მოგონება, მოგონება სევდიანი და დამაფიქრებელი, ლამაზი და დაუვიწყარი... სამაგალითოდ დაგვრჩა სახელოვან წინაპართა ცხოვრების წესი, მათი მიზანსწრაფვა და საოცრად თბილი ურთიერთობები, რაც ასე გვაკლია დღეს.

ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია მთაწმინდის ქუჩაზე (ერთ

დროს ობოლაძისა რომ ერქვა), შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ორსართულიანი ძველებური სახლი, ხის მოჩუქურთმებული აივნით, სახლის წინ, პატარა ეზოში იდგა თეთრი აკაცია, რომელიც არაჩვეულებრივ სურნელებას აფრქვევდა ირგვლივ და საოცარ რომანტიკულ განცდას იწვევდა.



ვახტანგ კოტეტიშვილი

ახლა ეს სახლი აღარ არსებობს... ოდესღაც კი აქ სიცოცხლე ჩქეფდა. იკრიბებოდნენ პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, იმ დროის რჩეული საზოგადოება.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან მასპინძელი ამ სახლისა თავად იყო ხელოვანი, ლიტერატორი და მრავალმხრივ ერუდირებული კაცი - ვახტანგ კიტეტიშვილი (მთაწმინდის ქუჩა დღეს მის სახელს ატარებს), მეტად თავისთავადი და ორიგინალური პიროვნება. „იგი ხელოვნებისათვის იყო დაბადებული და პირადი ცხოვრებითაც ხელოვნებას განასახიერებდა.“

ჯიშიანი გარეგნობის, შავგერემანი, ლამაზი, ამავე დროს, ბრწყინვალე ორატორი, გულისხმიერი მეგობარი და შეუდარებელი თამადა იყო.

დიასახლისი კი გახლდათ საოცრად რაფინირებული ქალბატონი, განსაკუთრებული თავისი გარეგნობითა და ღრმა სულიერებით - ვახტანგ კოტეტიშვილის მეულლე, ნინო (ნუსია) დილევსკაია.



ნინო (ნუსია)
დილევსკაია-კოტეტიშვილი

ამ ოჯახის მრავალრიცხოვან მეგობართა შორის იყვნენ: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო გუდიაშვილი (მეუღლითურთ), პაკლე ინგოროყვა (რომლის მეუღლე, ქეთო, ნუსიას და ვახტანგის შვილის - მანანას ნათლია იყო), გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, და სხვანი. აგრეთვე ირაკლი ამირეჯიბი და მისი მეუღლე მარიამ (მაკა) ნაკაშიძე (მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის მშობლები), ქრისტეფორე რაჭველიშვილი და ნინო ხარატიშვილი (ექიმ ბაადურ რაჭველიშვილის მშობლები), ბიძინა ღამბაშიძე და მისი მეუღლე ნინო გვასალია (როგნედა, ლეილა და საურმაგ ღამბაშიძეების დედ-მამა). ესენი იყვნენ არაჩვეულებრივი გარეგნობის (მაკა ნაკაშიძეს სამჯერ ჰქონდა სილამაზის პრიზი მიღებული თბილისსა და პეტერბურგში), დარბაისელი, განათლებული, კეთილშობილებითა და კდემამოსილებით აღსავსე ქალბატონები. ამ სახლის ხშირი სტუმრები იყვნენ ჯანო ბაგრატიონი და მისი უმშვენიერესი და თამარი, რომელიც ვახტანმა გამოაქანდაკა და უკვდავჰყო მისი სილამაზე.

დაუვიწყარი იყო აქ გატარებული საღამოები...

დღეს მათი ოჯახი აღიქმება, როგორც საქართველოს

ერთგვარი სიმბოლური გამოხატულება. აქ თითქოს მინიატურულად იყო წარმოდგენილი მთელი ჩვენი ქვეყანა თავისი მდიდარი წარსულითა და აწმყოთი, დიდი კულტურით, მთელი თავისი დიდებულებითა და აღზევებით, უცაბედი დაცემითა და განადგურებით მაგრამ საბოლოოდ მაინც უდრეკი და გაუტეხელი.

ვახტანგ კოტეტიშვილს კარგად იცნობს საზოგადოება, მის მეულლეს კი შედარებით ნაკლებად. ამიტომ მკითხველს მინდა შევთავაზო რამდენიმე ბიოგრაფიული ცნობა ნინოს ცხოვრებიდან (მისი ძმის, გიორგი დილევსკის ქალიშვილის, მხცოვანი ქალბატონის - ია დილევსკაია-ავალიანის ნაამბობი) და გავიხსენოთ ზოგი რამ ვახტანგის პიროვნების შესახებაც.

დილევსკების გვარი პოლონური წარმოშობისაა, მათი წინაპრები. ადრევე ჩამოსახლებულან რუსეთში. ნინოს მამა - ევგენი ვალერიანის ძე დილევსკი - სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა, იყო იუსტიციის გენერალი. აღსანიშნავია, რომ ამ გვარში თითქმის ყველა იურისტი იყო და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ევგენიმ თბილისში ყოფნის დროს გაიცნო და ცოლად შეირთო ალექსანდრა (საშენკა) მიხეილის ასული ქართველიშვილი. საშენკა არაჩვე-



პატარა ნუსია

ულებრივი ქალი ყოფილა, დიდი ტრადიციების მქონე ოჯახიდან. იგი გამოირჩეოდა სასიამოვნო გარეგნობით, სათნო და კეთილშობილური ბუნებით. ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას. დამთავრებული ჰქონდა ,,კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი''

საშენკას და ევგენის სამი შვილი შესძენიათ: ვლადიმერი, გიორგი (ჟორჟიკა) და ნინო (ნუსია).

ევგენი მალე ქუთაისის ოლქის სასამართლოების უფროსად დაუნიშნავთ და ცოლ-შვილიც თან წაუყვანია. ნუსიაც სწორედ იქ დაიბადა (იგი 13 წლით უმცროსი იყო გიორგიზე). დედა მის დაბადებას გადაჰყვა (დედის ბედი მოგვიანებით ნუსიას ცხოვრებაშიც განმეორდა).

ევგენი დილევსკი შემდგომში გადმოიყვანეს თბილისში, სამთავრობო სენატში. უდედოდ დარჩენილ ნუსიას დეიდები ნინო, ოლია და მართა ქართველი შვილები ზრდიდნენ.



ვახუშტი კოტეტიშვილი

ნუსიამ ,,წმინდა ნინოს სასწავლებელი'' დაამთავრა. შემდეგ კი სწავლა გააგრძელა ,,ქალთა უმაღლეს კურსებზე''. იცოდა ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენები. შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე.

იგი საოცრად რომანტიკული, რბილი, დამთმობი, პოეტური და ფაქიზი სულის ადამიანი ყოფილა; არასოდეს ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს, ცდილობდა,

ყველანაირი საქციელი როგორღაც გაემართლებინა. გარეგნობითაც ასეთივე არამიწიერი, ნაზი და ნატიფი, უალრეს პატივისცემასა და მოწიწებას იმსახურებდა.

მისი შვილის, ვახუშტი კოტეტიშვილის მოგონებიდან:

„დედაჩემი უალრესად ღვთისნიერი ქალი ყოფილა, იმდენად კეთილი ბუნებისა, რომ ვერავისზე ოდნავ ცუდსაც ვერ წამოაცდენინებდა კაცი.

ცხონებული დიდედაჩემი (მამის დედა) საკმაოდ ხუმარა ქალი იყო და შინაურობაში უთქვამს, ნუთუ ნუსიას ვინმეზე ვერ ვათქმევინებ საუგო რამესო?! და სიტყვა ჩამოუგდია ერთ საკმაოდ შეუხედავ ქალზე, თან დაუმატებია, ეგ საცოდავი რასა ჰგავსო. დედაჩემი ზრდილობიანად შეეკამათა თურმე დედამთილს, ეგრე რატომ ბრძანებთ, არაჩვეულებრივად სიმპატიური ქალიაო.

- ეხლა არ მითხრა, კუზიც არა აქვსო, - არა ცხრებოდა თურმე დიდედა და თან მამაჩემსა და მამიდაჩემს უკრავდა თვალს, აბა რალას იტყვის, ამის უარყოფა ხომ ალარ შეიძლებაო.

დედაჩემი ოდნავ ჩაფიქრებულა და უთქვამს: პატარა კუზი მართლაც აქვს, მაგრამ უხდება კიდეცო...

დიდედას კოვზი ნაცარში ჩავარდნია საერთო სიცილ-ხარხარში.

მეორედ კი ასეთი რამ მომხდარა: ჩვენს უბანში ცხოვრობდა ერთი მარტოხელა, უშვილძირო მოხუცი დედაკაცი, ჩიხტი-კოპიანი, ოდესლაც ლამაზი და მდიდარი, მაგრამ კომუნისტების ხელში გაუბედურებული და დაბეჩავებული, დიდედაჩემის ძველი და-ქალი. მამაჩემი თურმე ყოველმხრივ ეხმარებოდა ხოლმე: დედაჩემის ხელით ხან რას გაუგზავნიდა და ხან რას. ერთხელაც იმ დედაკაცს, მადლიერების ნიშნად, სალამოს ჩაიზე მიუწვევია ვახტანგი და ნუსია. იქიდან რომ დაბრუნებულან, მამაჩემს დიდედასთვის წაუჩურჩულებია, ერთი ჰკითხე ნუსიას, რითი გაგვიმასპინძლდა თულაშვილის ქალიო. დიდედაჩემს რალა წაქეზება უნდოდა, თანაც ხომ იცოდა თავისი დაბეჩავებული მეგობრის მარიფათი და მაცდური ღიმილით

უკითხავს რძლისათვის: შვილო, ნუსი, როგორი სუფრა გაგიშალათ ჩემმა „პადრუჟკამაო“?

- არაჩვეულებრივი. ისე თბილად მიგვიღო, ისეთი ალალი გულით გვიმასპინძლა...

ეს გასაგებია, მაგრამ შენ ის მითხარი, სუფრაზე რა ჰქონდა, მენიუ როგორი იყოო, - არ ეშვებოდა დედამთილი.

დედაჩემი, როგორც მოგახსენეთ, ღვთისნიერი ქალი გახლდათ და ტყუილს ხომ ვერ იკადრებდა!

ჩაი დაგვალევინა ძალიან გემრიელი, თანაც შაქრით. პური მოგვართვა...

პური შავი იყო თუ თეთრი? ჩაეძია დიდედა, თანაც დედაჩემის პაუზაზე მიხვდა, რომ მენიუ ამით მთავრდებოდა.

არა, პური შავი ჰქონდა, მაგრამ ისე ლამაზად იყო დათლილი...

„ლამაზად იყო დათლილიო“ - ატყდა თურმე ერთი ყიჟინა და ჟრიამული ჩვენს ოჯახში.

- აი, შვილო, ეგეთი ანგელოზი დედა გყავდაო, მეტყოდა ხოლმე დიდედა და გახუნებული თავშლის ბოლოთი ცრემლს მოიწმენდდა.“

შემოქმედებითი ნიჭიც უხვად ჰქონდა ღვთისგან მომადლებული. წერდა ლექსებს რუსულ ენაზე, რადგან რუსული აღზრდა ჰქონდა მიღებული. ლექსების სტილი ახლოს იყო ბლოკის შემოქმედებასთან. შემდეგ ვახტანგი თარგმნიდა მის ლექსებს ქართულად და ეს თარგმანები მაშინდელ გაზეთებში იბეჭდებოდა ფსევდონიმით „ნინო რიონელი“.



ნუსია სტუდენტობისას

ვახტანგ კოტეტიშვილმა ნუსია თავისი მეგობრის, ქრისტეფორე

რაჭველიშვილის ქორწილში გაიცნო, რომელმაც ცოლად შეირთო ნინო ხარატიშვილი (ნუსიას მეგობარი). ვახტანგი და ნუსია ხელისმომკიდეები ყოფილან...

ნუსია გახლდათ საშუალო სიმაღლის, სიფრიფანა და ძალიან თეთრი. ქართველიშვილები შავგვრემანები იყვნენ, მას კი დილევსკების სითეთრე ჰქონდა, ლურჯი თვალები, წაბლისფერი, ხუჭუჭა თმა, ამასთან, მის დახვეწილ სახეს ეტყობოდა განათლება და მაღალი ინტელექტი, ბუნებრივია, რომ ვახტანგი მაშინვე მოიხიბლა. მოგეხსენებათ, იგი სილამაზის დიდი თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ სილამაზე მას შინაარსის გარეშე არ სწამდა.

თავის მხრივ, ვახტანგიც შესანიშნავი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი იყო, მკვრივი აგებულების, საშუალოზე მაღალი, თავზე შავი გრუზა თმა ტალღებად ეყარა, სპილენძისფერ სახეს უმშვენებდა მაღალი შუბლი, სწორი ცხვირი და მშვენიერი მოშავო-მოყავისფრო თვალები, ვაუკაცური შემართებით და თან ალერსით აღსავსე. ყელზე მუდამ ეკეთა შავი ბაფთა, რაც ძლიერ უხდებოდა მის არისტოკრატულ შესახედაობას და რაღაც განსაკუთრებულ, სხვათაგან განსხვავებულ იერს აძლევდა. ასეთად შემორჩა იგი მეგობართა თუ თანამედროვეთა მეხსიერებას. „კაცი უნდა ყოველმხრივ ლამაზი იყოს, კაცის ჩაცმულობა არაიშვიათად მისი სულიერი ცხოვრების რაობის მანიშნებელიაო“, - იტყოდა ხოლმე ვახტანგ კოტეტიშვილი. თვითონ მდიდრულად არასოდეს იცვამდა, მაგრამ ფაქიზად და დიდი გემოვნებით ჩაცმულს კი ყოველთვის ნახავდით.

ამ ქორწილიდან ნუსიაც აღფრთოვანებული დაბრუნდა თურმე და დეიდებს გამოუცხადა, ერთი ყმაწვილი მომეწონაო.

ყველა ღირსებით შემკული ნუსია ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საპატარძლო იყო იმდროინდელ თბილისში. მისმა სიტყვებმა ოჯახში დიდი მღელვარება გამოიწვია. დეიდებმა გადაწყვიტეს ნუსიას ძმა, გიორგი (ჟორჟიკა) გაეგზავნათ სასიძოს სანახავად: შენ დაკვირვებული ხარ, თანაც კრიტიკული

თვალი გაქვს და კარგად შეაფასებო. ნუსია ისე იყო აღზრდილი, რომ ძმის ნებართვის გარეშე, რომელიც მშობლების მაგივრობასაც უწევდა (ამ დროისათვის მამაც გარდაცვლილი ჰყავდა), არ გათხოვდებოდა.



და-ძმანი ჟორჟიკ და ნუსია დილევსკები

ჟორჟიკა ეწვია კოტეტიშვილების ოჯახს მთაწმინდაზე, კოტე მესხის ქუჩაზე. ეს იყო 1919 წელი. ვახტანგი მაშინ სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. 1911 წელს მან დაამთავრა

თბილისის სასულიერო სემინარია. 1911-1914 წლებში სწავლობდა პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში, სწორედ აქ დაიწყო მისი, როგორც ლიტერატურის ჭეშმარიტი მკვლევრის, მოღვაწეობა. ამის შემდეგ, 1918 წელს, დაამთავრა დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, სადაც თავისი ნიჭიერებითა და ერუდიციით დიდ წარმატებას მიაღწია.

საქართველოს გარეთ გატარებული ყოველი დღე, ყოველი საათი, სწავლასა და სამშობლოს მომავალზე ფიქრს ხმარდებოდა.

„უნდა მომშივდეს კიდეც, უნდა შემციოდეს კიდეც, - წერდა მშობლებს წერილში, - და, ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა გადამხდეს, რადგან, როგორც „რკინა ცეცხლში მრობილდების“, ისე ადამიანი გაჭირვებაში უნდა გაკაჟდეს, რომ შესძლოს „ჭირსა შიგან გამაგრება“... ბრძოლაა საჭირო, გმირებს კი ცხოვრება ზრდის“.

რუსეთში ყოფნისას მას დაწინაურება და დიდხელფასიანი სამსახური შესთავაზეს, მაგრამ არ ინდომა, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ეს თანამდებობა ხანგრძლივად ჩამოაშორებდა სწავლას. „წიგნები უფრო მტაცებს თვალს“, - სწერდა დედას წერილში, ფული რაა, ფულს არტემას ბიჭებიც იღებენ ისე, რომ დიდი არაფერი მაზაა ფულიანობა.. ისე კი, ისევ იმ აზრზე ვრჩები, რომ „ჭკვიანი ღარიბი სჯობია უჭკუო მდიდარსო“.

პროფესორი მიხეილ ზანდუკელი ასე ახასიათებს ვახტანგის პიროვნებას: „იგი იყო ძალიან ნიჭიერი, ფრიად განათლებული, მრავალმხრივ ერუდირებული ადამიანი, და რასაც ხელს მოჰკიდებდა, არ მოეშვებოდა მანამ, სანამ ბოლომდე არ მიიყვანდა დაწყებულ საქმეს“.

ვახტანგმა სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტიც დაამთავრა (პირველი გამოშვება, იაკობ ნიკოლაძის ჯგუფი), შემდეგ კი მხატვართა საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე იყო.

ჟორჟიკა მოიხიბლა ვახტანგის პიროვნებით. შინ დაბრუნებულს კი უთქვამს, ისეთი მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს სახლში, ისეთი განათლებულია და თავისი საქმით ისეა გატაცებული, რომ მარტო ამის გამო შეუძლია ნუსიას თვალდახუჭული გაჰყვესო.

შემდეგ ქართველიშვილებმა მოიწვიეს ვახტანგი. საოცრად დახვეწილი და არისტოკრატული ოჯახი ჰქონდათ. განსაკუთრებული იყო მათი ურთიერთობები და ყოველდღიური ცხოვრების წესი. ჩვეულებრივ დღესაც კი, სადილის დროს, მამაკაცები სმოკინგებში იყვნენ გამოწყობილნი, ქალები კი - სამეჯლისო კაბებში. საუბრობდნენ უმეტესად ფრანგულად და გერმანულად. რა თქმა უნდა, ურთიერთდამოკიდებულებაც მათ შორის ასეთივე განსაკუთრებული, დახვეწილი და მეტად თავაზიანი იყო.

ვახტანგი თავის მეგობართან, მიხეილ (მიშა) აბრამიშვილთან ერთად ესტუმრა მათ ოჯახს. სითამამისთვის ცოტა ნასვამები მისულან. ვახტანგი, თუმცა თავს უხერხულად გრძნობდა, მაინც შეეცადა თავი გამოეჩინა,. ზედმეტი ღელვისაგან, უკითხავად მიუჯდა როიალს, დაუკრა და იმღერა. ეს საქციელი, ცოტა არ იყოს, ,,თავხედობად'' ჩაუთვალეს, მაგრამ ისე კარგად უმღერია, რომ საყვედურის ნაცვლად დიდი მოწონება დაუმსახურებია.

შემდეგ ლექსები თქვა, მოილხინა. ძალიან მიმზიდველი ყოფილა (და არა მარტო იმ დღეს), იგი განურჩევლად ხიბლავდა ყველას. თავისი მიდგომით, ბუნებით, ინტელექტითა და კეთილშობილებით ისე მოაჯადოვებდა ხოლმე ადამიანებს, რომ მისი დავიწყება შეუძლებელი ხდებოდა.

1920 წლის 6 ნოემბერს ნუსიამ და ვახტანგმა იქორწინეს. დამოუკიდებელ საქართველოს კიდევ ერთი მშვენიერი ოჯახი შეემატა.

განუმეორებელი ყოფილა ნუსია ჯვრისწერისას. ცისფერ კაბაში, თმებში ცისფერი ყვავილებით; ისეთი ნაზი იყო თურმე და ჰაეროვანი, წმინდანს მოგაგონებდათ. ზამთარი იყო და

მხრებზე თეთრი ყარყუმის ბეწვი ჰქონდა მოსხმული.

ვახტანგს შავი კოსტიუმი ეცვა, თავისი განუშორებელი შავი ბაფთით. ამის გამო ტიციანს უთქვამს მისთვის:

"Вахтанг, твой вечный бант и моя вечная гвозрика".

ისინი ფეხით ავიდნენ მამადავითზე, სადაც ვახტანგის მამა ილია იყო დეკანოზი. მან დასწერა ჯვარი ახალგაზრდებს.

დაიწყო სიყვარულითა და ბედნიერებით სავსე დღეები. ვახტანგმა თბილი დამოკიდებულებით ყველას ძალიან შეაყვარა თავი. ის იყო ყველაფრის სულისჩამდგმელი. აგარაკზე ყოფნისას, კოჯორში ან მანგლისში, სალამოობით, როდესაც მთელი ოჯახი შეიკრიბებოდა, ვახტანგი ლამპის შუქზე უკითხავდა ქართულ წიგნებს. სახელებიც ქართული დაარქვა: ნუსიას ნუცა, ჟორჟიკას გიორგი. ხატავდა მათ პორტრეტებს, ხშირად მეგობრულ შარჟებსაც, მას არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა ჰქონდა.



ვახტანგ კოტეტიშვილი მეულლესთან, ნუსიასთან და შვილებთან - ლეილა და მანანასთან

ვახტანგი დიდ პატივს სცემდა მეულლეს, მისი სულიერი მეგობარი იყო, უაღრესად მოსიყვარულე და თბილი ოჯახი ჰქონდათ. ბედნიერად განვლო მათი შვილების - ლეილასა და მანანას ბავშვობის წლებმა.

ერთ-ერთ სურათზე, რომელიც თვითონ ვახტანგმა დახატა, მთელი ოჯახია გამოსახული. ბაღში სხედან ცოლ-ქმარი, წინ კი ორი ლამაზი გოგონა თამაშობს. სურათი შემორჩა ოჯახს, როგორც წარსულის ტკბილი მოგონება. რა იცოდნენ მაშინ, რას უმზადებდა ბედისწერა, რა მკვეთრად შეიცვლებოდა გოგონების ბედი, როგორი ტრაგიკული დასასრული ექნებოდა მათ იდილიურ აწმყოს...

ვახტანგი მრავალმხრივ და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. დიდი ინტერესითა და ძალისხმევით მუშაობდა ხელოვნების ისტორიაში, ფოლკლორისტიკასა და ლიტერატურის ისტორიაში. თითოეულ ამ დარგში მან თავისი სიტყვა თქვა.

1927 წელს, თბილისის უნივერსიტეტის აუდიტორიაში, იქ, სადაც ახლა მეცნიერ-მუშაკთა სამკითხველო დარბაზია, დაინიშნა ვახტანგ კოტეტიშვილის საცდელ-საჩვენებელი ლექცია ფოლკლორში. ლექციას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ახლველედიანი, აკაკი შანიძე და სხვები. გადმოგვცემენ, რომ ლექციამ საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. იმ დღიდან მოყოლებული, ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ისინი მეტად საინტერესო და თავისებური იყო. ვის არ ნახავდით აქ; ახალგაზრდას თუ ხნიერს, ლიტერატორს თუ ექიმს, ეკონომისტს თუ იურისტს ყველას იზიდავდა, ყველას აინტერესებდა. მისი ლექცია ინიშნებოდა ხოლმე დიდ დარბაზში. მსმენელთა ნაწილი ფეხზე იდგა. კათედრამდე მხოლოდ ლექტორისთვის მისასვლელი გზა რჩებოდა. ვახტანგი ფანდურით, ჩონგურით თუ სტვირით ხელში შედიოდა ლექციაზე და სათანადო საკითხის დამუშავებისას უკრავდა და თანაც დაამღერებდა ხოლმე. პირველყოფილი სინკრეტიზმის განხილვისას ცეკვის ილეთებსაც უჩვენებდა. ერთი სიტყვით, ყველა მისაწვდომ საშუალებას იყენებდა, ოღონდ საკითხი მთელი სიღრმით და



ვახტანგ კოტეტიშვილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან

სისრულით გაეშუქებინა. იგი იწვოდა და სხვასაც სწვავდა, „მსმენელები ვერ დაივიწყებენ კოტეტიშვილის ლექციებს, როგორც ვერ დაივიწყებენ თავიანთ ახალგაზრდობას“. - წერდა ერთ-ერთი მკვლევარი.

ვახტანგ კოტეტიშვილმა სამართლიანად დაიმკვიდრა ქართული ფოლკლორისტიკის მამამთავრის სახელი (სამწუხაროდ, ამ სახელის უკვდავყოფა მხოლოდ ქუჩის სახელწოდებით შემოიფარგლა...).

მუსიკალური სამყაროც არ რჩებოდა კოტეტიშვილის ყურადღების გარეშე... მუსიკის ზოგადთეორიულ საკითხებზეც პროფესიულად მსჯელობდა... განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ეროვნული მუსიკით და სურდა, როგორმე აღეკვეთა უცხოურისადმი ბრმა მიმბაძველობა. ვ.კოტეტიშვილი ამავე დროს ლექციებს კითხულობდა სამხატვრო აკადემიაშიც. იქვე, სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად, ექსპონატებს აქანდაკებდა, ქვას თუ ხეს სულს უდგამდა. მას ეკუთვნის მთელი რიგი ბიუსტებისა და სკულპტურული ნამუშევრებისა, რომელთა რიცხვი დაახლოებით 30-ს აღწევს (მ.გაჩეჩილაძე). შალვა ნუცუბიძეს უთქვამს ვახტანგის შესახებ: „მის განათლებაზე, მის ნიჭზე მეტად ვაფასებ მის ხელოვნებას. თუ ხელოვანი კარგია, ეს ყველა პროფესიაზე მეტია. მისი ერთი კარგი ქანდაკება, ერთი ნახატი გადაფარავს მთელ ჩემს წიგნებსო“.

ვახტანგ კოტეტიშვილის ოჯახში ინახებოდა „ცისფერყანწელების“ ჟურნალის „მეოცნებე ნიამორების“ მთელი კომპლექტი. პირველ ნომერს ჰქონდა ასეთი წარწერა: „საქართველოს გლადიატორს ვახტანგ კოტეტიშვილს ცისფერი ყანწების ორდენი“. წარწერას ხელს აწერდა ტიციან ტაბიძე. სამწუხაროდ, ეს კომპლექტიც ბოლო ხანძარმა შეიწირა...

დიდ მეცნიერსა და ხელოვანს ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი გააჩნდა. მისი ქალიშვილი, აწ განსვენებული ლეილა კოტეტიშვილი, თავისი მამის კეთილშობილურ ბუნებას



ლეილა კოტეტიშვილი

ასე გვიხატავს: „ჩვენი სახლის წინ თავს იყრიდნენ ხოლმე სხვადასხვა ეროვნების მუშები, უმეტესად იეზიდები. ეს იყო იმათი, ასე ვთქვათ, „ბირჟა“, მამაჩემი მოწმე იყო მათი არაადამიანური შრომისა და ცხოვრებისა. არაერთხელ შეგვინიშნავს, რომ სამსახურიდან დაბრუნებული (როცა ხელფასს აიღებდა), სათითაოდ ჩამოუვლიდა ხოლმე ჩვენი კარების წინ მსხდომ მუშტრის მომლოდინე კურტნის მუშებს და თითო-ოროლა მანეთს აჩუქებდა, „მაგათი შრომის საფასურიაო.“ როდესაც სახლში რაიმე დღესასწაული გვქონდა და სტუმრებს ველოდებოდით, მამა ჯერ მუშებს შემოიპატიჟებდა ხოლმე, გაუმასპინძლდებოდა და ოჯახს დაალოცვინებდა. მალე დედამაც შეითვისა მამაჩემის ეს თავისებურება.



ვახტანგ კოტეტიშვილი შვილებთან, ლეილა, მანანა და ვახუშტისთან.

ნუსიას და ვახტანგის ოჯახის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ნუსია მესამე შვილის, ვახუშტის დაბადებას გადაჰყვა, ვახტანგი კი 1937 წლის ავბედითი მოვლე-

ნების მსხვერპლი გახდა.. (იგივე ბედი ეწიათ მისი მეგობრების ოჯახებსაც და მთელი იმ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს). გამორჩეული ნიჭი და უნარი ხშირად ხდება ხოლმე ადამიანის არა მარტო წარმატების, არამედ დაღუპვის მიზეზიც. როდესაც მის წასაყვანად მივიდნენ, ვახტანგმა სთხოვა თურმე, ცოტა დრო მიეცათ, ორი კვირით მაინც დაეტოვებინათ, რადგან მისი უმცროსი ქალიშვილი მანანა მძიმედ იყო ავად და უნდოდა ბოლო წუთებში მომაკვდავი შვილის გვერდით ყოფილიყო, მაგრამ მის თხოვნას ყურადღებაც არ მიაქციეს. მანანა რამდენიმე დღეში გარდაიცვალა... სუსტი აგებულების იყო და დედის სიკვდილი ვერ გადაიტანა. ობლად დარჩენილ 15 წლის ლეილას კი ბედმა არგუნა 2 წლის ძმის აღზრდა. მთელი ცხოვრება თან სდევდა მამის უკანასკნელი სიტყვები: ,,ლეილა, ვახუშტი გამიზარდეო'' მან პირნათლად შეასრულა



მანანა კოტეტიშვილი



ბიძაშვილები ვახუშტი და ნანა კოტეტიშვილები

მამის დანაბარები, დათმო ყოველივე პირადული და ძმაზე ზრუნვას შესწირა მთელი ცხოვრება...

ტრაგიკულად დასრულდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვახტანგ კოტეტიშვილის სიცოცხლე. ვინ იცის, რამდენი ნააზრევი, რამდენი ნაფიქრი დაიკარგა მასთან ერთად. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძველი უნდა წავიდეს, მაგრამ მისი კვალი არ უნდა დავკარგოთ, რადგანაც უიმისოდ ახლის გაგება შეუძლებელი იქნება...“

ვახტანგ კოტეტიშვილის შვილიშვილები



ტატო (ვახტანგ) კოტეტიშვილი



გუგა კოტეტიშვილი

შვილთაშვილი



ტატო (ვახტანგ)
კოტეტიშვილი

...სულიერი სამყაროს მცოდნენი

კოტე მაყაშვილის ცხოვრებიდან...

„აღდგენა ისტორიისა – ერის გამოღვიძებაა, გამომხნევებაა, ანმყოს გაგება და ნარმართვაა. მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან...

ილია ჭავჭავაძე



კოტე ზაქარიას ძე მაყაშვილი

„არიან პიროვნებანი, რომელთა სახელის გახსენებაზე გულზე როგორღაც მოგეშვება ხოლმე, გიქარწყლდება უსასოება და უიმედობა, დარდისაგან მრავალ ნაოჭებით დასერილი შუბლი გეხსნება... ამ სახელებზე მაშვრალ მგზავრივით ისვენებს სული...“ კოტე მაყაშვილის ეს სიტყვები (მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილისადმი) კარგად გამოხატავს მისივე ღირსებით სავსე ბუნებას. მას კარგად იცნობს საზოგადოება, როგორც

დიდებულ ქართველს, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს.

კოტე მაყაშვილი მრავალთაგან გამოირჩეოდა ჯიშიანი გარეგნობით, ღრმა ეროვნული სულიერებით, კეთილშობილებით, დიდი ინტელექტითა და შინაგანი კულტურით. იყო წარმოსადეგი, ლამაზი, არისტოკრატული შესახედაობის. მასში ქართველთა ყველა საუკეთესო თვისება იყო ხორცშესხმული. ასეთი ადამიანები ერის სიამაყეს წარმოადგენენ. შემთხვევითი არ არის, რომ მას „ქართული ლიტერატურის სინდისს“ უწოდებდნენ.

კოტე მაყაშვილი ჩვენი ოჯახის ახლო ნათესავი იყო. ბებიაჩემი (დედაჩემის დედა) ნინო მაყაშვილი, გახლდათ კოტეს უფროსი ძმის, სოლომონ მაყაშვილის (გენერალ-ლეიტენანტის) ასული. ბავშვობიდანვე ბევრი რამ მსმენია უფროსებისაგან კოტე მაყაშვილისა და მისი არაჩვეულებრივი მეულლის შესახებ და იმ თავითვე აღფრთოვანებული ვიყავი ამ ადამიანების დიდი სულიერებითა და გამორჩეული თვისებებით.

კოტე მაყაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვახტანგ და ლადო კოტეტიშვილების და სხვა გამოჩენილ ადამიანთა თანამედროვე და თანამოაზრე იყო, ჭეშმარიტი ქართველი და პატრიოტი.

„მე მიყვარს ჩემი სამშობლო მტკივნეულად, განუსაზღვრელად და მსურს მის სამსახურში დავლიო სული. სამსახური შეიძლება არ იყოს დიდად ნაყოფიერი, მე გენიოსი არა ვარ, მაგრამ მოვალე ვარ მას ვუმსხვერპლო ყველა, რაც მხოლოდ მისი მეოხებით მომეცა“ წერდა კოტე მაყაშვილი. ეს სულისკვეთება მის შემოქმედებაშიც აისახა:

„ჩემს სამშობლოშივე სამშობლო დაკარგულს,
დავეძებ ბედისგან კრულს!
სამშობლოს, ჩვენივე ხელითა დამარხულს,
მის სხეულს და იმის სულს...“

კოტე თავადის ოჯახში დაიბადა და, როგორც თავადიშვილს შეეფერება, თითქოს ბავშვობა ფუფუნებაში უნდა გაეტარებინა. მაგრამ, ამის ნაცვლად, მისი ცხოვრება თავიდანვე მეტად

მძიმედ წარიმართა. ცხრა და-ძმიდან კოტე ყველაზე უმცროსი იყო. უფროსი ძმები, სოლომონი და ილია, სამხედრო პირები, იყვნენ. ისინი ყარსის ოლქში დაბა სარაყამიშში მსახურობდნენ. მამის გარდაცვალების შემდეგ კოტე უფროს ძმებთან გაგზავნეს. კადეტთა კორპუსში სწავლას მათთვის სრულიად გადაეცვიწყებინა მშობლიური ენა. ერთ წელიწადში პატარა კოტესაც დაავიწყდა ქართული, რუსული კი შესანიშნავად შეითვისა.

რვა წლის კოტე კვლავ სამშობლოში დააბრუნეს. ,,არ დამავიწყდება დედაჩემთან შეხვედრის წუთი, წერს პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში, როდესაც სოფელ იყალთოს ჩამიყვანეს, წინ მომეგება დედა, მხრთოლვარე, გახარებული... მაგრად, მაგრად ჩამიკრა გულში. მე გულგრილად დავხვდი ამ ამბავს; შევცქეროდი დედაკაცს, რომელიც დედაჩემი უნდა ყოფილიყო და რომელიც რაღაცას მეუბნებოდა ჩემთვის გაუგებარ ენაზედ. დედაჩემმა იგრძნო ეს, - შვილი გამირუსესო წამოიძახა საწყალმა. ნაწყენი იყო. მით უმეტეს, რომ მე, როგორც ნაბოლარა, ძალიან ვუყვარდი''

რამდენიმე თვის შემდეგ დედამ კოტე თავის ძმასთან გაგზავნა თბილისში, სადაც სათავადაზნაურო სკოლაში მიაბარეს. ორი წლის შემდეგ კი თბილისის მეორე კლასიკური გიმნაზიის მესამე კლასში გადაიყვანეს. ამ ხანებში დაუახლოვდა იგი თავის თანატოლ ვანო ჯავახიშვილს, რომლის მეგობრობა და კეთილი გავლენა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. მალე მას დედაც გარდაეცვალა და უსაყვარლესი დაც. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ კოტე ვერ შეეგუა ბიძას და ცალკე გადავიდა საცხოვრებლად. აქედან დაიწყო, როგორც თვითონ ამბობს, ,,მისი ცხოვრების მწუხარე ფურცელი, - ულმობელი ბრძოლა არსებობისათვის'' კოტე კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს. ,,ნახევრად მშიერი დავიარები გიმნაზიაში'', — წერდა იგი. ოდესღაც ცელქი და მხიარული ბავშვი, ახლა დაფიქრებული და გულჩახვეული გახდა. თავი მედგრად ეჭირა, თუმცა ზოგჯერ უიმედობა და სასოწარკვეთა ეუფლებოდა.

კოტე მაყაშვილის პიროვნება კარგად ჩანს ეკატერინე



კოტე მაყაშვილი და-ძმებთან, სოსო, თამარ და ილიკოსთან

გაბაშვილისადმი მიწერილი წერილიდან: „დიდად პატივცემულო ძვირფასო დედა და ბატონო ჩემო ეკატერინე! მივიღე თქვენი წერილი! ალტაცებით წავიკითხე იგი... თქვენ მწერთ, სილარიბისა ნუ გეშინიაო, სილარიბისა რომ მშინებოდა, მე ახლა კურდღელი ვიქნებოდი. სილარიბემ თუ არ მიშველა, თუ არა მომცა რა, არა წამართვა რა. ვინ იცის, დიდი შეძლება რომ მქონოდა, მე ის ვიქნებოდი, რაცა ვარ? დავინახავდი როდისმე უნივერსი-

ტეტს? ჩავეწერებოდი, ალბათ, ჩვენს მოქეიფე ახალგაზრდათა ჯგუფში და ფიზიკურ ბუმბერაზობაში დავლევდი ღარიბს, უშინაარსო სულს. არა, ბატონო, მე არც ისეთი დიაცი ვარ, რომ სილარიბისა მეშინოდეს; პირიქით, მე სილარიბეს ისე შევეჩვიე, რო ეხლა რომ გავმდიდრდე, ვგონებ, ვინალვლი კიდევაც. ვისაც არ გამოუცდია ბრძოლა არსებობისათვის, ვისაც არ უნახავს ცუდი და მძიმე მხარე ცხოვრებისა, ის ვერ დააფასებს კარგს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩემი აზრით, საცოდავია ის კაცი, რომელსაც თვალი სულ ჯიბისაკენ უჭირავს და თუ იმ კაცს ასულდგმულებს მხოლოდ წუთიერი, მიწიერი რამ, თუ იმ კაცს არა აქვს იდეალი, მეტსაც ვიტყვი, იგი პირუტყვია!“

1895 წელს, კოტე მაყაშვილი სწავლის გასაგრძელებლად რუსეთს გაემგზავრა. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ქართულ ენას რომ საფუძვლიანად დაუფლებოდა, ივანე ჯავახიშვილის რჩევით, სწავლა გააგრძელა აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. როგორც უკვე ითქვა, ოჯახს მოწყვეტილმა კოტემ ბავშვობა რუსულ გარემოში გაატარა და ქართული ცუდად იცოდა. პოეტი ამას მტკივნეულად განიცდიდა. იგი დიდი მონდომებით შეუდგა ქართული ენის შესწავლას: „მე ვანებებ თავს რუსული ლექსების წერას, ენერგიულად ვკიდებ ხელს ქართული ენის შეთვისებას, ვუზივარ „ვისრამიანს“, „ქილილა და დამანას“, „დაბადებას“, ვიზეპირებ „ვეფხის-ტყაოსანს“ და თანდათან ისევ ვქართველდები. ვფიქრობ, თუ დღეს მცირეოდენი წილი მიდევს ქართულ მწერლობაში, ამას უნდა ვუმადლოდე ჩემი სტუდენტობის ხანას, იმ ქართულ წრეს და ვანო ჯავახიშვილსაც, რომლის რჩევით მე ხშირად ვსარგებლობდი“.

კოტე სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს და მეორე ფაკულტეტი ვეღარ დაასრულა. მაგრამ, საბედნიეროდ, ქართული ენა კარგად შეისწავლა. ენის შეთვისებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ზაფხულის არდადეგებს ატარებდა სოფელ ახალქალაქში

(კასპის რაიონი). აქ იკრიბებოდა იმ დროის საუკეთესო ახალგაზრდობა, ხოლედან ჩამოდიოდნენ ივანე ჯავახიშვილი, ივანეს ძმა გიორგი, ერთაწმინდიდან ია კარგარეთელი... დგამდნენ სპექტაკლებს. (ერთხელ „კარმენიც“ წარმოადგინეს, მთავარ როლში - ტასო აბაშიძე), ესწრებოდნენ ღღეობებს - ქვათახევში, ერთაწმინდაში, მეტეხში, დადიოდნენ სტუმრად ერთმანეთის ოჯახებში... ჯერ კიდევ სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიულ წარსულზე, წმინდა ნინოზე, თამარ მეფეზე, დავით აღმაშენებელზე... მას უკვე პროფესორს ეძახდნენ.

ახალქალაქში გატარებული მშვენიერი საღამოები ერთერთ დაუვიწყარ და განსაკუთრებულ მოგონებად დარჩა კოტე მაყაშვილის ცხოვრებაში. აქ გაიცნო მან თავისი ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარული - თამარ გაბაშვილი... „კოტე პირველად მისი დის ნიშნობაში გავიცანი, ახალქალაქში, - იხსენებდა ქალბატონი თამარი, - მე მაშინ გიმნაზიის მეექვსე კლასში ვიყავი, კოტე - მერვეში. კოტეს და გათხოვდა ჩვენს ნათესავ თარხნიშვილზე (დედაჩემი ხომ თარხნიშვილის ქალი იყო). კოტე და მისი ამხანაგები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ორუნჯობდნენ... პირველი შეხვედრისთანავე მომეწონა. აქედან დაიწყო ჩვენი რომანი, ყველასგან შეუმჩნევლად... ამ წელს კოტემ გიმნაზია დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში წავიდა. იგი ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა თავის დასთან ახალქალაქში. ახალგაზრდები მოდიოდნენ სხვადასხვა სოფლიდან, იყო ლოტოს თამაში, ექსკურსიები, ცხენებით ჯირითი... კოტე ძალიან კარგად უკრავდა გიტარაზე, ხიბლავდა ქალებს. ასე, რომ ერთ საზოგადოებაში ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს“.

თამარი, ცნობილი ქართველი მწერალი ქალის - ეკატერინე გაბაშვილის შვილი იყო. ეკატერინეს სამი ქალიშვილი და ორი ვაჟი ჰყავდა. თამარი უფროსი იყო და-ძმებში. ეკატერინეს იგი ყოველთვის თან დაჰყავდა საზოგადოებრივ თავყრილობებზე. ერთხელ თამარის მშვენებით მოხიბლულ აკაკი



თამარ გაბაშვილი-მაყაშვილისა

წერეთელს უთქვამს ეკატერინესთვის: ,,ეს თქვენი საუკეთესო ნაწარმოებიაო''

თამარი მართლაც ულამაზესი ყოფილა, ტანადი, უნაკლო აღნაგობისა, ღრმა, უძირო, შავი თვალებით. მისი ფიზიკური და სულიერი მშვენიერება ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს. ანტიკურ ქანდაკებასავით სრულქმნილი და ნატიფი, სამდვილ ქალღმერთს ჰგავდა თურმე... ეს სილამაზე ღრმა მოხუცებულობამდე შერჩა. გარდა საოცარი სილამაზისა, ღირსებით სავსე ქალი იყო, დარბაისელი, დინჯად და საამო ხმით მოსაუბრე, რითაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანებზე...

თამარი და კოტე რამდენიმე წელი ეტრფოდნენ ერთმანეთს, ყველასგან დაფარულად. ამ ხნის განმავლობაში ჰქონდათ მიწერ-მოწერა. საინტერესოა ერთ-ერთი ფრაგმენტი პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილიდან: ,,...მე სიკვდილის შვილთა რიცხვში უბედნიერესი ვარ, რადგან ვუყვარვარ იმას, ვინც მე თავდავიწყებით მიყვარს. ყოველი სიტყვა შენი წვეთია ნექტარისა, რომლითაც მივსებ გულს. ნუ იცინი, თამრო, ლამაზი ფრაზებისთვის არ ვამბობ ამას. სიყვარული ძველი გრძნობაა, მაგრამ ამასთანავე ყოველთვის ახალი. გრძნობებით ყველანი თანასწორად არ არიან დაჯილდოებულნი, გრძნობის ენა ყოველთვის არა ჰგავს გონების ენას...

მშვიდობით, ჩემო მფარველო ანგელოზო. შენი მონა კოტე

მაყაშვილი“.

პეტერბურგში ყოფნისას კოტემ, თარხნიშვილების ოჯახში შემთხვევით ნახა თამარის სურათი, მეგობართან ერთად გადალებული. შემდეგ კი თამარს სწერდა ამის შესახებ: „ვნახე სურათი, შენ და ნინო ერთად. საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენდა. ნინო მშვენივრად გამოვიდა სურათში. ვგონებ, შენი სილამაზე გადაედო“.

საოცარ სილამაზესთან და ნატიფ გარეგნობასთან ერთად, თამარი განათლებული ქალი გახლდათ; მონაწილეობას იღებდა საქველმოქმედო საღამოებში, ასწავლიდა არითმეტიკასა და რუსულს ეკატერინეს მიერ 1897 წელს თბილისში, თავისსავე სახლში გახსნილ „ქალთა ხელსაქმის სკოლაში“, სადაც, ხელსაქმის დაუფლების გარდა, გოგონები ზოგად განათლებასაც იღებდნენ. თვითონ ეკატერინე ქართულს ასწავლიდა, ცნობილი მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი - ხატვას. სკოლამ 25 წელი იარსება. მის ძირითად ფონდს შემოწირულობები შეადგენდა. პედაგოგები უსასყიდლოდ ჰუშაობდნენ. მის გახსნას თავის დროზე სხვებთან ერთად მხარი ილია ჭავჭავაძემაც დაუჭირა. სკოლის საპატიო თავმჯდომარედ არჩეული იყო ილიას მეუღლე ოლღა გურამიშვილი. ქუჩას, სადაც ეს სკოლა მდებარეობდა, ეკატერინე გაბაშვილის სიცოცხლეშივე მისი სახელი დაერქვა.

თამარისა და კოტეს სიყვარული განვლილი წლების მანძილზე ოდნავადაც არ განელებულა. კოტე ძველებურად გზნებით აღსავსე წერილებს უგზავნიდა, რომელთა უმრავლესობა რუსულ ენაზეა დაწერილი: „ამბობენ, რომ განშორება გულგრილს ხდის ადამიანს, რასაც ვერ ვიტყვი საკუთარი თავის შესახებ. ჩემი შენდამი სიყვარული დღითიდღე ისე ძლიერდება, რომ სულ არ გამიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს, როცა შენ გამახსენდები, აღტაცებისაგან თავდაყირა დავდგე. ეს სასაცილოა, მაგრამ შესაძლებელი, რადგან ამ აღტაცების გამოხატვის სხვა გზას ვერ ვხედავ. ზოგჯერ, საკმარისი იყო მხოლოდ დამენახე ახალქალაქში (რომელიც

გაგიჟებით მიყვარს შენზე მოგონებების წყალობით), შენი თანდასწრებით თავს ვიკავებდი, მაგრამ როგორც კი წახვიდოდი, საშინელი სევდა მიპყრობდა...

ჩემო განუმეორებელო და მშვენიერო".

თამარმა და კოტემ, 1900 წლის 10 ნოემბერს დაიწერეს ჯვარი ქაშვეთის ეკლესიაში. ვინც ესწრებოდა ამ ცერემონიალს, დიდხანს ემახსოვრებოდა ეს შესანიშნავი წყვილი. ქორწილში პატარძლის მდადე იყო ილია ჭავჭავაძის მეუღლე ოლღა გურამიშვილი.

თამარი გათხოვების შემდეგაც ხშირად ჩადიოდა თავის სოფელ ახალქალაქში მეუღლესთან ერთად. ისინი ხშირად იყვნენ სტუმრად გიორგი თარხნიშვილის ოჯახში, რომელსაც შესანიშნავი სახლი ედგა პატარა ფერდობზე, ნუშისა და ალუბლის ხეებში ჩაფლული, დიდი აივნებით დამშვენებული. აქ იკრიბებოდა ბრწყინვალე საზოგადოება, გიორგის ქალიშვილები - ნინო, ვერა და ნადია თამარის ნათესავებიც იყვნენ და სულიერი მეგობრებიც, განათლება პეტერბურგში ჰქონდათ მიღებული. თამარს დიდი მეგობრობა აკავშირებდა აგრეთვე თავის მამიდაშვილებთან - ნინო, ეკატერინე, სოფიო და ანა პოლტარაცკებთან (იმ ივანე პოლტარაცკის ასულებთან, ილია ჭავჭავაძემ „აჩრდილი" რომ მიუძღვნა); მათთან ერთად ხშირად გამოდიოდა საზოგადოებაში. განსაკუთრებით უყვარდათ თურმე ოპერაში სიარული. მათი თანამედროვეები იგონებდნენ: როდესაც საგანგებოდ ერთნაირად ჩაცმული ხუთი ლამაზი ქალიშვილი წინა რიგებში ჯდებოდა, საზოგადოების და ხშირად იტალიელი მომღერლების ყურადღებაც მათკენ იყო მიპყრობილი... ამ დებიდან განსაკუთრებული სიახლოვე თამარს თავის თანატოლ ნინოსთან ჰქონდა, რომელიც შემდგომ ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე გახდა და, მასთან ერთად საფრანგეთში გადახვეწილი, იქიდანაც აწვდენდა ხმას თავის სიყრმის მეგობარს.

ასევე განუყრელი იყო იგი დედის ძმისწულთან - ცნობილ მომღერალ ელენე თარხნიშვილთან, რომელიც ოსტატობის

სრულყოფისათვის იტალიაში გაემგზავრა და საბოლოოდ იქ მოღვაწეობდა. მათი ურთიერთობაც მიწერ-მოწერით გრძელდებოდა. მისი ახლო მეგობარი ელენე წერეთელიც (მწერალ გიორგი წერეთლის ქალიშვილი) პარიზში დასახლდა, სადაც მას სტუმრად ეწვია თამარი თავისი უფროსი ქალვაჟით (რაც ეს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო).

ერთ ზაფხულს გიორგი თარხნიშვილთან ჩამოსულა კოწო ანდრონიკაშვილი (ახალგაზრდა რეჟისორი, შემდგომში თამარის დის, ელენეს ქმარი). მან სახლის ერთ-ერთ აივანზე წარმოადგინა ცოცხალი სურათები ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატიდან“ თამარი ზეინაბს განასახიერებდა, თვითონ კოწო სულეიმანს, ნინო თარხნიშვილი - რუქაიას. ზეინაბი და სულეიმანი ტახტზე ისხდნენ. კიბეზე გაწოლილი რუქაია სულეიმანს თითქოს ზღაპარს უამბობდა, დედოფალი ზეინაბი კი თარს უკრავდა... ამ დროს გაისმა თურმე კოტე მაყაშვილის ექსცენტრული შეძახილი: «Браво, моя жена!» ამ სანახაობას უამრავი ხალხი დასწრებია, თავადიშვილებიც და გლეხობაც. მათ შორის ყოფილან ივანე და გიორგი ჯავახიშვილები. ასეთი საღამოები ხშირად იმართებოდა ახალქალაქში. ცოცხალი სურათების წარმოდგენებს ცეკვა და მხიარულება



მარო მაყაშვილი

მოჰყვებოდა ხოლმე...

თამარს და კოტეს შეხმატკბილებული ოჯახი ჰქონდათ. ,,საოცარი სულიერი სითბო იგრძნობოდა მუდამ პოეტის ოჯახში. ძეტად სათნო, განათლებული და კეთილშობილი იყო მისი მეულლე თამარი. მათ ოჯახში ხშირად ვხვდებოდი ეკატერინე გაბაშვილსაც, რომელიც მუდამ დედაშვილურად მეპყრობოდა, მახალისებდა, მარიგებდა'' იგონებს სანდრო შანშიაშვილი. მათ სუთი შვილი ჰყავდათ: მარო, შალვა, ნუნუ, ეკატერინე (კატუნა) და ნუგეში. შალვა ცნობილი მხატვარი იყო, მარო, ლეგენდად დარჩა ქართველთა ხსოვნაში. 19 წლისა გმირულად დაიღუპა საშშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში (კოკორთან), 1921 წლის თებერვალში, მოწყალების დად წასული. მარო და-ძმებში და თანატოლებში გამოირჩეოდა ღრმა სულიერებითა და ინტელექტით. მწერლური ნიჭით დაჯილდოებული ქალიშვილის მხოლოდ დღიურებია შემორჩენილი... კოტე მაყაშვილის ლექსი ,,ჩემს მაროს'', რომელიც სამშობლოსათვის შეწირულ შვილს მიუძღვნა, კარგად გამოხატავს მისივე ცხოვრების მრწამსს:



ნუგეშა (მარიამ) მაყაშვილი

,,სამშობლო თუ შენ,
- რომელი,
ახ, ვიტირო რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის,
სხვათა ცრემლთა მშრობელი!''

მაროს დაღუპვის შემდეგ კვლავ შეეძინათ პატარა მარიამი და, როგორც

დედ-მამის ნუგეშად მოვლენილს ამ მწუხარებაში, - ნუგეშა დაარქვეს. საზოგადოება მას დღესაც ამ სახელით იცნობს. იგი ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელია. საოცრად გულისხმიერი ადამიანი და მშვენიერი მანდილოსანია. სწორედ მან მოგვაწოდა ცნობები მშობლების შესახებ და მათი წერილები.

აღსანიშნავია, რომ თამარისა და კოტეს ხუთივე შვილს, დედ-მამის უდიდესი მადლი და ხიბლი დაჰყვა - რალაც არაამქვეყნიური. ამაღლებული, პოეტური სული. მათი ღირსეული შთამომავალია ცნობილი პოეტი და მთარგმნელი თამარ ერისთავი ნუნუს ქალიშვილი. მან სახელოვანი დეიდის ხსოვნას მიუძღვნა ლექსი ,,მარო მაყაშვილს - დედის დას ჩემსას'':

,,შენს დაბრუნებას ისე ველოდი,
როგორც იმედის პირველ ენძელას.
ვინ იცის, მტკივან საქართველოთი
მიწის ქვეშ ყოფნა როგორ გეძნელა''...

როდესაც თამარს უცქერით და უსმენთ, თვალწინ წარმოგიდგებათ ადამიანები, რომელთა შესახებაც ამ წერილშია საუბარი. თამარში გაგრძელდა ის დიდი სულიერება და შემოქმედებითი ნიჭი, რომელიც გენეტიკურად მოსდგამდა ამ დიდებულ გვარს...

კოტე მაყაშვილი ცდილობდა, ის სითბო და ალერსი, რაც მას ცხოვრებამ დააკლო, უხვად მიეცა პატარებისათვის. ,,ხმას არ აუწევდა არასდროს, შვილების მიმართ ძალიან რბილი იყო, ამის გამო ვუსაყვედურებდი ზოგჯერ, შვილებთან მეტი სიმკაცრეა საჭირო-მეთქი, ვეტყოდი ხოლმე კოტეს, - იგონებდა თამარ მაყაშვილი.

კოტეს გრძნობა მეულლისადმი ისეთივე ფაქიზი და სათუთი იყო, როგორც მათ შეუღლებამდე. ეს მისი წერილებიდანაც ჩანს: ,,ჩემო მშვენიერო! მემდური, წერილებს არ მწერ, ხომ არ დამივიწყეო და სხვა. ეჰ, ჩემო თამრო, შენი და ჩემი სიცოცხლე ისეა გადახლართული, ისე მჭიდროდ, რომ უერთმანეთოდ, ვგონებ,

ორივეს მოვეწყობოდა წუთისოფელი. რაც უფრო მეტი დრო გადის, თანდათან ვრწმუნდები, რომ შენ ჩემთვის მეტი ხარ, ვიდრე ცოლი, დედაკაცი...

შენ ჩემი სოლეილიგი სარ („პერ გიუნტი“ იბსენი), გამაკეთილშობილებელი, წმინდა და სხივოსანი, როგორც მზე,,, ვემთხვევი შორიდან შენს წმინდა სახეს“

,,ბევრი ტკბილი საღამო მახსოვს ოჯახში ბავშვობის წლებიდან. დედა შესანიშნავად უკრავდა როიალზე, მამა მღეროდა. გავინაბებოდით სავარძელში და ვუსმენდით, ახლაც ყურში ჩამესმის, ის მარილაც არაჩვეულებრივად რბილი, მომაჯადოებელი ხმა. მამა მღეროდა ქართულ და რუსულ რომანსებს. მან თავისი რომანსი ,,იცი რა, მიძირა სიყვარულის ზღვამ,“ შოპენის მუსიკას შეუფარდა და შესანიშნავად ასრულებდა. მეტად სასიამოვნო იყო მისი დრამატული ტენორის მოსმენა“ იგონებდა პოეტის ქალიშვილი ნუნუ მაყაშვილი-ერისთავი. ,,მამის ლექსებზე, დასძენს იგი ,,დავრდომილი, სნეული“, ,,ლალე“, კომპოზიტორებმა ანდრია ყარაშვილმა და კოტე ფოცხვერაშვილმა შექმნეს შესანიშნავი რომანსები.“



ბიძაშვილები ნუნუ და ნინო მაყაშვილები

კოტეს მეგობარი, გიორგი ნათიშვილი იხსენებს, რომ მასთან ოდესაში ჩასული კოტე, როდესაც წაიმღერებდა ხოლმე, თურმე ყველა ფანჯარა გაიღებოდა, ეზოშიც ხალხი გროვდებოდა და სულგანაბული უსმენდა.

პოეტის ასეთი შესანიშნავი ხმა და მუსიკალური სმენა არ იყო შემთხვევითი. როგორც თვითონ აღნიშნავს, მისი მამა, თავადი ზაქარია მაყაშვილი მშვენივრად უკრავდა თარზე,

ხოლო დედა, ნინო აბელიშვილი, საუცხოო, გულშიჩამწვდომი ხმით მღეროდა ქართულ სიმღერებს. „იმისი ბაიათის („სიზმარში ვიყავ, მოფრინდა მტრედი“) მოსმენისას ყოველთვის ტიროდნენ ხოლმე. ვტიროდი მეც, თუმცა არ ვიცოდი რად... სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ მაინც ვტიროდი... დედაჩემის ხმა ეხლაც შორეულ წარსულის გამოძახილივით ხშირად მესმის ხოლმე და გული მევსება უსაზღვრო სევდით“, აღნიშნავს კოტე მაყაშვილი ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში.

„ამხანაგები ურჩევდნენ კოტეს დაემუშავებინა ხმა. - (თამარ მაყაშვილის მოგონებიდან), მათი დაჟინებული თხოვნით, იგი მივიდა იმ დროს განთქმულ სიმღერის მასწავლებელთან, უსატოვთან (შალიაპინის მასწავლებელთან), რომელმაც მოუსმინა და უთხრა: - „დაანებეთ, ყმაწვილო, თავი იურისპრუდენციას, თქვენ დიდი დიაპაზონის ხმა გაქვთ, ტემბრი შესანიშნავი, არანაკლებ პოპულარული იქნებით შალიაპინზეო“. მაგრამ არც მისმა, არც მეგობრების რჩევამ და თხოვნამ არ



კოტე მაყაშვილი პეტერბურგში, მელიტონ ბალანჩივაძის გუნდში

გაჭრა. „მეცნიერებით ისე ვიყავი გატაცებული, რომ სიმღერა და სცენაზე გამოსვლა მაშინ სერიოზულ საქმედ არ მიმაჩნდა. გარდა ამისა, ღარიბი სტუდენტი ვიყავი, ხშირად მშიერი, შეუფერებელი ტანისამოსით და რა მემღერებოდაო“, - ამბობდა ხოლმე კოტე. ამ გარემოებას თან ახლდა მისი სიმორცხვეც. ყოველივე ამან ხელი შეუშალა, გაჰყოლოდა ვოკალურ ხელოვნებას, თუმცა კი ერთ დროს იგი მონაწილეობას იღებდა მელიტონ ბალანჩივაძის გუნდში (ეგრეთწოდებულ - ქოროში), პეტერბურგში. შემორჩენილია ამის ამსახველი ფოტოსურათები.

„ბუნებით მორიდებული კაცი იყო კოტე. დიდი ხვეწნით იტყოდა ლექსს. მაგონდება ასეთი შემთხვევა ქვიშხეთში, ღიმილით იგონებდა პოეტის მეუღლე ტყეში წავედით სასეირნოდ. კოტემ ხე დაინახა. დაბალი ხე იყო, დიდი, გადაშლილი ტოტები ჰქონდა. ძალიან მოეწონა ეს ხე. უეცრად, სრულიად მოულოდნელად, ხეზე შეხტა და იქიდან წაიკითხა თავისი ლექსი „სატანა“. ყველას გაგვიკვირდა მისი ასეთი გათამამება, მაგრამ უმალ მივხვდით, ეს ბუნების მომაჯადოებელი სილამაზით გამოწვეული სითამამე იყო. მას განსაკუთრებულად უყვარდა ბუნება. კარგი მონადირეც იყო. ლექსებს ღამით წერდა. დილით ადრე ადგებოდა, წაიყვანდა შალვას და წავიდოდა სანადიროდ. მოჰქონდათ ნანადირევი: კურდღელი და მწყერი“

„მამას ძალიან სიამოვნებდა ჩემს ამხანაგებთან ყოფნა. დაგვსხამდა და გვიამბობდა საინტერესო ამბებს. ჩემზე უმცროსებთან უფრო კარგად ვგრძნობ თავს, უფრო თავისუფლად ვარო, მეტყოდა ხოლმე“ იგონებს კოტეს შვილი, შალვა მაყაშვილი. - მამა უკვე 50 წლის იყო. როცა სანადიროდ წავიდოდით, გზაში იგი არასოდეს არ იმჩნევდა დაღლას. ახალგაზრდული ენერგიით დადიოდა. მე ვატყობდი მას, კვლავინდებურად აღარ შეეძლო ისე სწრაფი ნაბიჯებით სიარული, მაგრამ არ უნდოდა ეგრძნობინებინა ჩემთვის, რომ დაიღალა. ტოლს არ მიდებდა. მე შემეცოდებოდა და დავჯდებოდი, რომ მამას დაესვენა. იჯდა იგი და სიამოვნებით



შალვა მაყაშვილი

გასცქეროდა ბუნების სიმშვენიერეს, ჩვენს წინ აღმართულ ვეება ნაძვებს, ტყის სიღრმეს... ტკბებოდა მისი ხილვით. მერე ეს ტკბობა თავდავიწყებაში გადადიოდა და ზოგჯერ ნადირობა ავიწყდებოდა კიდეც“

პოეტის ლტოლვას სოფლისაკენ, ბუნებისადმი, კარგად იცნობდნენ მისი ახალგაზრდა მეგობრებიც. ეს ნათლად ჩანს პაოლო იაშვილის ერთ-ერთ წერილში: „იმედი გვაქვს, დაისვენებ სოფლად კარგად და დაგვიბრუნდები, როგორც პოეტი, თავმჯდომარე, ტენორი და მონადირე... იყავი ბედნიერი, მხიარული და შთაგონებული. გელით დატვირთულს ლექსებით, სოფლის სიწმინდით და ენერგიით!“

კოტე მაყაშვილის წერილებში ვხედავთ პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის განცდას: „დრომ და ადამიანებმა დახოცეს ყველა ღმერთები, მხოლოდ ვერა დააკლეს სიცოცხლის სულის ჩამდგმელს, პოეზიას. იგი ასვენია გაზაფხულის ფრთებზე, მეფურად აბრძანდა ღმერთთაღმერთის თავისუფალ ტახტზე. დგება მისი სასუფეველი, იქმნება ახალი რელიგია, რელიგია პოეზიისა! მოვიდრიკოთ მუხლი ახალი ღვთაების წინაშე“. აღსანიშნავია, რომ კოტე მაყაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში სონეტი, დაამკვიდრა რომანსი, როგორც ლექსის ფორმა და სხვა.

პოეტი, რომელიც თავის თავს „გაზაფხულის ღვთა მგოსანს“ უწოდებდა, საზოგადოებრივ სარბიელზეც ასეთივე

სიყვარულითა და თავდადებით იღვწოდა. მუშაობდა ქართულ გიმნაზიაში მასწავლებელ-აღმზრდელად, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა იქ. 1903 წელს იგი ქართულ სათავადაზნაურო ბანკში დამფასებლად, ხოლო 1915 წელს ამავე ბანკის დირექტორად აირჩიეს. 1918 წელს კ.მაყაშვილის თავმჯდომარეობით დაარსდა ხელოვანთა ცენტრი, 1921 წელს იგი არჩეულ იქნა ხელოვანთა კულტურის კომიტეტისა და ხელოვანთა სასახლის თავმჯდომარედ, ამასთანავე, იგი იყო ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების, საისტორიო-საეთნოგრაფიო და დრამატულ საზოგადოებათა წევრი (კ.მაყაშვილის მიერ თარგმნილი ლოპე და ვეგას „ცხვრის წყარო“ 1922 წელს დადგა კ.მარჯანიშვილმა) და სხვ. იგი ერთ-ერთი უშუალო დამაარსებელთაგანი იყო სათავადაზნაურო დაწესებულებასთან არსებული განსაკუთრებული ფონდისა, რომელიც დახმარებას უწევდა ყველა ახალგაზრდას, ვისაც აღმოაჩნდებოდა განსაკუთრებული ნიჭი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, მაგრამ უსახსრობის გამო არ შეეძლო განათლების მიღება. ამაზე მიუთითებს პოეტის პირად არქივში დაცული წერილები: გ.ტაბიძის, ი.გრიშაშვილის, გ.ქიქოძის, ალ.აბაშელის, ს.შანშიაშვილის, შარაგვისპირელის, ზ.ფალიაშვილის და სხვათა. შემოგთავაზებთ მხოლოდ ერთ წერილს. 1915 წლის 25 აპრილს გალაკტიონ ტაბიძე, ქუთაისიდან სწერდა კ.მაყაშვილს:

„დიდად პატივცემულო ბატონო კოტე! ბოდიშს ვიხდი თქვენთან. ვიცი, რომ ისეთი თხოვნისთვის, რომლითაც მე თქვენ მოგმართავთ, პირადად თქვენთან მოლაპარაკება იყო საჭირო, მაგრამ ათასგვარი გარემოება ხელს მიშლის თბილისში ჩამოსვლას. საქმე ის არის, რომ მომავალი ენკენისთვიდან მოსკოვში მსურს წასვლა შანიავსკის კურსებზე. მაგრამ მე უღარიბესი მშობლების შვილი ვარ, ამიტომ მინდა თხოვნა მივცე თბილისის სათავადაზნაურო ბანკს, სტიპენდიის დანიშვნის ან ერთდროული დახმარების შესახებ. მოგმართავთ თქვენ, ბატონო კოტე, უმორჩილესი თხოვნით, შემატყობინოთ

ყოველივე დაწვრილებით - მომეცით რჩევა, თუ როგორ მოვიქცე. იმედია, შეხვალთ ჩემს მდგომარეობაში და წერილს არ დააგვიანებთ. კიდევ ბოდიშს ვიხდი, რომ პირადად ვერ გინახულეთ და გაწუხებთ თქვენთვის სრულიად უცნობი პიროვნება, მაგრამ თქვენი მარადის პატივისმცემელი გ.ტაბიძე."

ცნობილია, რომ გალაკტიონ ტაბიძე მართლაც ჩაირიცხა შანიავსკის კურსებზე...

კოტე ეხმარებოდა მხცოვან მოღვაწეებსაც (მძიმე სენით შეპყრობილთ თუ სხვა გასაჭირში მყოფთ...). როგორც თვითონვე ამბობდა: „ყოველი დიდბუნებოვანი ადამიანი არსებითად ტრაგიკული პიროვნებაა... ქართველ მოღვაწეთა უმეტეს ნაწილს განგებისა და ადამიანთა მიერ მივიწყებულს, ტანჯვით და წამებით, მაგრამ მორჩილად და ამაყად უტარებია თავისი მძიმე ჯვარი... საზოგადოება ვერ შეცვლის, რა თქმა უნდა, ბედით განწირულთა მდგომარეობას, მაგრამ მას შეუძლია თავისი თანაგრძნობით, ალერსით გაუადვილოს მათ სავალი გზა...".

ძალიან დასაფასებელი იქნება, თუ ჩვენს დროშიც გამოჩნდება თუნდაც ერთი მიმბაძველი კოტე მაყაშვილისა ამ საოცრად ადამიანურ წამოწყებაში (რამდენი ხელოვანი და მეცნიერია დღესაც, ჩვენს გარშემო, სრულიად უსახსროდ დარჩენილი, რომელთაც ესაჭიროებათ თანადგომა). ეს დაგვანახებს, რომ უკვალოდ არ დაიკარგა და ამოიძირკვა საქართველოში ის სიკეთე, რომელსაც უხვად გასცემდნენ კოტე მაყაშვილი და მისი თანამოაზრენი.

„პაპაჩემი - კოტე მაყაშვილი, - გვიამბობს მისი შვილიშვილი, თამარ ერისთავი, ბანკის მმართველი იყო და თავისი ოჯახისათვის, რომ იტყვიან, სკამიც არ შეუძენია. დეიდა ნინას (მის ძმისწულს) უთქვამს ხოლმე: რაც ბიძაჩემის ბინაში თითო-ოროლა აუცილებელი ავეჯი იდგა, მგონი, სულ ძალო თამარის ნამზითვი იყოო. ეს სხვებისგანაც გამიგონია.

თამარ მღალაშვილი, ბანკის თანამშრომელი, მისულა არაგვის ქუჩაზე, მძიმედ ავადმყოფი კოტეს სანახავად. თვალში სცემია



თამარ ერისთავი

ბინის სისადავე. კოტეს მისი გაკვირვებული მზერა დაუჭერია და უთქვამს: „ჰო, ჩემო თამარ, ისე მივდივარ ამ ქვეყნიდან, რომ ოჯახი ოდნავადაც ვერ უზრუნველვყავიო.“

კოტე მაყაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე იყო და თითქმის ათი წლის მანძილზე უძღვებოდა ამ მეტად მძიმე და საპატიო საქმეს. თვით ის შენობა, სადაც ახლა მწერალთა კავშირია (დ.სარაჯიშვილის ყოფილი სასახლე), კ.მაყაშვილის შუამდგომლობითა და საფუძვლიანი ახსნა-განმარტების შემდეგ დაუტოვეს მწერლებს.

კოტე მაყაშვილი ყველას სიბლავდა თავისი მიმზიდველი გარეგნობით, გულისხმიერებითა და მოკრძალებით. საოცარი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს ს.ფაშალიშვილი თავის მოგონებებში კოტე მაყაშვილს. „ეს ტანადი, ჰაროლდისებური შავი მოსასხამით ლომისთავიანი ბრინჯაოს ღილებით, შავი ჭკვიანური თვალებით და განუყრელი პენსნეთი, დიდად განათლებული და გულმართალი ადამიანი სიმპათიით და სიყვარულით სარგებლობდა ხალხში... იგი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ახალგაზრდა ინტელიგენტის იდეალური ტიპი იყო, მისი ინტელექტისა და სინდისის საუკეთესო წარმომადგენელი და განმასახიერებელი, რომელიც ჩვენში აღძრავდა ნატვრას ვყოფილიყავით მისი მსგავსნი, მისი თანამოძმეობის ღირსნი!“

„ერთ-ერთ ღია ბარათში ი.გრიშაშვილი ასე მიმართავს

კ.მაყაშვილს: „არც ერთ პოეტს, პოეტთა თავადო, არა ვცემ ისეთ პატივს, როგორც კოტე მაყაშვილს“... იმედი მაქვს, აღდგენილი საქართველო დააფასებს შენს ღვაწლს“...

კოტე მაყაშვილი დასნეულდა მაშინ, როდესაც, ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსეს, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო სამშობლოსათვის, ხალხისათვის:

„...ვწუხვარ, ვერ დავშრიტე სიცოცხლის წყურვილი...
საოცარს ნუ ეძებთ ჩემს ბედისწერაში...
დამწვით მე კოცონზე ზვიად მთათ არეში,
დე, კვამლ;ი ავარდეს ვარსკვლავთა რიდემდე!
აიღეთ ფერფლი და ჩემს ტანჯულ მხარეში
ის მიმოაბნიეთ კიდითი კიდემდე,
რომ ჩემი სამშობლო შევიგრძნო მთლიანად“...

„ანდერძი“

ხანგძლივი ავადმყოფობის შემდეგ 1927 წლის 29 აგვისტოს იგი გარდაცვალა. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. ფრაგმენტი თამარ ერისთავის დღიურიდან: „პაპაჩემი კოტე მაყაშვილი“: „სადად, უბრალოდ იცხოვრეს თამარმა და კოტემ, საფლავიც ასეთი აქვთ, უბრალო, სიფრიფანა ქვა მკრთალი წარწერით „კოტე მაყაშვილი თამარ მაყაშვილი“. როგორ ეტყობათ, რომ შთამომავლებიც თავისი მსგავსი დარჩათ - მატერიალური დოვლათის უქონელნი და პომპეზურობისადმი გულგრილნი. ამ საფლავში მათი ვაჟი, მხატვარი შალვა მაყაშვილიც განისვენებს (ჯერ წარწერა არა აქვს); და შიგ კიდევ მათი უფროსი ქალიშვილის ლეგენდად ქცეული მარო მაყაშვილის თმის ნაწნავია, დედას რომ ჩაატანეს თან მისი ანდერძის თანახმად. 1921 წლის 19 თებერვალს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული მაროს საფლავი დამოუკიდებლობის დაკარგვისთანავე დაიკარგა „გასაბჭოების“ შემდეგ.

„და ორი წელი დაგვრჩა იგავად,

ახლა სხვა დროა და სხვა ტაროსი,
გულიდან გრძნობა კვლავ აღიგავა,
როგორც საფლავი შენი მაროსი“.

კოტე მაყაშვილისადმი მიძღვნილ გრიშაშვილის ამ ლექსში იმდროინდელი საქართველოს ტრაგედიაა ჩატეული... და მე მგონია, რომ ამ საფლავის ქვაზე შალვას სახელთან ერთად მაროს სახელიც დაეწერება. მისი ნაწნავი ვაზის ტოტებივით შეკრავს მაყაშვილთა სამეულს.

„ჩემო გმირო და წმინდანო,
გამამხნევე მშობელი“,
ამ საფლავიდან ახლაც ჩაესმის
დადარაჯებულ სმენას პოეტის ამონაკვნესი“.

როგორც კოტე მაყაშვილი ამბობდა, „ადამიანთა ცხოვრების უსაზღვრო ოკეანეში იბადებიან, იზრდებიან, და ქრებიან ინდივიდები, რომელთა სახელები და მოქმედებანი რჩებიან ხსოვნაში, ან ქრებიან უკვალოდ იმისდა მიხედვით, თუ რა სულიერი ენერგია გამოიჩინეს მათ თავისი ყოფნის სარბიელზე. ცვალებადი და წარმავალია მატერიალური კულტურა ადამიანისა, წუთიერი და მოჩვენებითია ადამიანის ხორციელი ყოფნა ამ ქვეყანაზე, მაგრამ ღვთაებრივია, წარუხოცელია მისი სულიერი შემოქმედება.“

კოტე მაყაშვილი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელნიც წარუშლელ კვალს ტოვებენ ჩვენს ცხოვრებაში... უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ ასეთი ადამიანები. ყველაზე მცირედი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია მათთვის (და ჩვენი სულიერებისათვის), ის არის, რომ გავიხსენოთ ისინი და ამით მაინც მივაგოთ პატივი.

მაყაშვილების ბინაში დღესაც ხალვათად დგას თამარ მაყაშვილის ნამზითვი აეჟის ნაშთები (ზოგი რამ გაჭირვების წლებში გაყიდეს). კედლები სავსეა ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი შალვას ნახატებით საქართველოს პეიზაჟებით. დროდადრო ისმის მაგნიტოფონზე ჩაწერილი გულში

ჩამწვდომი სიმღერები შუათანა დის ნუნუსი, რომელიც კონსერვატორიის სტუდენტი იყო, სოპრანოს პარტიებს ასრულებდა, მაგრამ იმ ავბედით 1937 წელს ქმრის, ლევან ერისთავის, დაღუპვის შემდეგ, სამი მცირეწლოვანი ბავშვით დარჩენილს, მომღერლის კარიერა ოცნებაშიღა თუ გაუელვებდა მხოლოდ.

აქ ჰკიდია პორტრეტები 19 წლის ასაკში წასული მშვენიერი მაროსი, ეკატერინე გაბაშვილის (რომელზეც, სხვათა შორის, ჰყვებიან, რომ მას, 1921 წლის მაისში, ქალთა ერთ-ერთ საზოგადოებაში მიწვეულს, საზეიმოდ უთხრეს თურმე: - სხვა ტიტულებთან ერთად თქვენ კიდევ მეტად საპატიო., მაგრამ მძიმედ სატარებელი ტიტული გარგუნათ ბედმა სამშობლოსათვის თავშეწირული მარო მაყაშვილის ბებიობაო, აქ არის პორტრეტები თვით კოტესი და თამარის, ეკატერინეს უფროსი ვაჟის, ეროვნულ-დემოკრატი რეზო გაბაშვილისა, პარიზში რომ დაასრულა ემიგრანტული ცხოვრება... ყველაფერი მოწმობს, რომ კოტე მაყაშვილის და თამარ გაბაშვილის ოჯახმა და ნათესაობამ თავისი დროის ძნელზე ძნელი, მაგრამ ღირსეული ცხოვრებით იცხოვრა...



ელიზბარ ერისთავი

დღეს ამ ოჯახში ქალბატონი ნუგეშას დიასახლისობით თავს იყრიან მათი შვილიშვილები - მარინე მაყაშვილი, თამარ, გიორგი და ელიზბარ ერისთაები თავიანთი ოჯახებით. შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გადადის სახელები კოტე და თამარი. ცხოვრება გრძელდება. ხორცს ისხამს პოეტის სიტყვები: „მარად ცეცხლი ვარ მე ქართლოსის უკვდავი თესლი... ფესვები მაგარი მაქვს, მიწის



გოგიტა ერისთავი

მკერდს ჩასჭიდეს ბრჭყალი;
სწრაფვა და სიცოცხლე ვარ,
მსოფლიოს ზრახვათა მჩენი;
ბრძოლისთვის მოვედი აქ,
ბრძოლისთვის ხელახლა
მოვალ - უკვდავი, უშრეტი,
ვით ქართველი მზიური
მოდგმა“.

„გადასახლებიდან დაბრუნებული სურათები"

ერთი უნიკალური კოლექციის გაჩო

დადიანის ქუჩაზე, ერთ ძველებურ აივნიან სახლში, ცხოვრობს 90 წელს გადაცილებული მანდილოსანი, ქალბატონი ბაბო დადიანი-მასხარაშვილი, რომელსაც კარგად იცნობს საზოგადოება. განსაკუთრებულად მძიმე ხვედრი არგუნა მას ბედმა: დევნა, გადასახლება, სამჯერ ბინიდან გამოსახლება... ღვთის წყალობით, მაინც გაუძლო დროთა ბრუნვას და დღესაც საკმაოდ მხნედ გამოიყურება. ემიგრაციაშიც ყოფილა, მაგრამ ვერ აუტანია სამშობლოდან მოშორებით ყოფნა და უკანვე დაბრუნებულა.



ქალბატონი ბაბო დადიანი-მასხარაშვილი

როდესაც შედიხართ მის ბინაში, მაშინვე თქვენს ყურადღებას იპყრობს უამრავი ფოტოსურათი. მოულოდნელად ხვდებით სხვა სამყაროში, დღევანდელობიდან გადადიხართ ადრეულ ეპოქაში. ძალაუნებურად თვალი გაგირბით იმ სახეებისაკენ, რომლებიც გიცქერიან სურათებიდან. ესენი არიან საოცარი სილამაზის და ღირსების ადამიანები. თითოეული ფოტო არის განუმეორებელი ბიოგრაფია და განვლილი ცხოვრების გზა მისი წინაპრების, ნათესავების, მეგობრებისა და ახლობლებისა დღესაც ქალბატონი ბაბო ამ მოგონებებით ცხოვრობს და მასთან ურთიერთობაში ეს ადამიანებიც ცოცხლდებიან.



ქალბატონი ბაბო მეუღლესთან და შვილთან გიორგისთან.

მან გვიამბო თავისი სურათების - უნიკალური კოლექციის შესახებ და ამასთან დაკავშირებით, გადასახლების ზოგიერთი ეპიზოდიც გაიხსენა. ეს ფოტოარქივი ქალბატონი ბაბოს უძვირფასესი ოჯახური რელიქვიაა, მისი ცხოვრების ყველაზე უმძიმეს წლებში, როდესაც იგი, დეკაბრისტების ცოლების მსგავსად, თან გაჰყვა თავის მეუღლეს გადასახლებაში

სარატოვის ოლქში და მაშინაც, როცა 1951 წელს შუა აზიაში გადაასახლეს, მისი ძირითადი საზრუნავი ამ სურათების გადარჩენა იყო, რათა შემოენახა შთამომავლობისთვის, როგორც გარდასულ დღეთა მატიანე.

ქალბატონი ბაბო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ჩამომავალია. იმ ღირსეულ მამულიშვილთა წარმომადგენლების მემკვიდრეა, რომლებიც ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერია კავკასიის დაპყრობას ცდილობდა. პატრიოტული სულისკვეთების გამო მეტად ტრაგიკულად წარიმართა მიხეილ შარვაშიძის ბედი. როგორც ცნობილია, მან გადასახლებაში, ვორონეჟში დალია სული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სწორედ მისი საკმაოდ დიდი პორტრეტი,რომელიც ქალბატონ ბაბოს ბარგში დამალული გაუტანია საქართველოდან დანარჩენ 1300 სურათთან ერთად. სწორედ ამან გააძლებინა გადასახლების მძიმე დღეებში.

ყველაფერი კი დეკემბრის ერთ ცივ ღამეს, დაახლოებით სამ საათზე დაიწყო. კარებზე ატყდა კაკუნი. ოთახში შემოვიდა ჩეკისტი, რომელმაც ორი საათი მისცა ბარგის შესაკრელად, ყურადღება არც კი მიაქცია, რომ ქალბატონი ბაბოს ქალიშვილი, თათული, სიცხიანი იწვა ლოგინში. როცა ისინი ემზადებოდნენ, თავიც კი არ მიაბრუნა და თავხედურად ადევნებდა თვალყურს მათ ყოველ მოძრაობას.

ქალბატონი ბაბო, მომხდურის გასაოცრად, პირველად ხატებთან მივიდა და ილოცა. ეს ხომ ბავშვობიდან ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი მისი თაობის ხალხს. გაკვირვებულმა ჩეკისტმა თავისთვის ჩაილაპარაკა თურმე, „ეს ქალი ხომ არ გაგიჟდაო“ შემდეგ ქალბატონმა ბაბომ, პირველ რიგში, ჩააწყო ხატები, შემდეგ კი სურათები და თან წაიღო. დღეს ეს სურათები უდიდესი განძია საქართველოსათვის, ქართველი ერის ისტორიაა. ეს არის XIX ს-ის მეორე ნახევრის და XX საუკუნის ქართული მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა ფოტოები. ქალბატონმა ბაბომ ამით დიდი წვლილი

შეიტანა ქართველი ერის კულტურის ისტორიაში.

მაშინ, როდესაც რუსეთის წითელმა იმპერიამ წითელი დროშების ფრიალით დალაშქრა საქართველო, ერის წამყვან ნაწილს სრული განადგურება ელოდა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო თავადაზნაურობა, ერის შნო და ლაზათი, ერის სილამაზე და გონიერება, გამორჩეული დიდი განსწავლულობით და ევროპაში მიღებული განათლებით. მათ შორის ბევრი ისეთი პიროვნება იყო, ვისაც დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო ქვეყნისთვის. მაგრამ ჩვენ დამპყრობელს სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა, დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები, გადასახლებები. ზოგმა ემიგრაციით უშველა თავს, ისინი კი, ვინც სამშობლოში ყოფნა არჩია, დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. მაგრამ, ღვთის მადლით, მაინც გადარჩა ზოგიერთი მათგანი. მათი შთამომავლები, შვილები და შვილთაშვილები აგრძელებენ ამ ღირსეულ გენს. ბევრისგან გამოარჩევთ თავადის ჩამომავალს, ჯიშიანი გარეგნობით და არისტოკრატული თვისებებით, რაც მეტად სჭირდება ქართველ ერს. თუმცა კი ამ რეპრესიების კვალი დღემდე იგრძნობა და ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ დიდ დანაკლისს განიცდის.

სადგურზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. იყო ყვირილი, ტირილი. არავინ უწყოდა, თუ სად მიჰყავდათ და რამდენი ხნით. გალავანს იქით მსხვერპლად შეწირული ხალხი იდგა, გალავანს აქეთ კი მათი ახლობლები, სახელდახელოდ გროვდებოდა ფული, პროდუქტები. როგორც იქნა, ჩამოდგა გრძელი სატვირთო მატარებელი. ყველანი იქ შერეკეს, მათ შორის იყო ბევრი მოხუცი, სნეული, ფეხმძიმე და პატარა ბავშვი. ბოლოს დაიძრა ეს გლოვის მატარებელი გაურკვეველი მიმართულებით.

სამი წელი დაჰყვეს გადასახლებულებმა ყაზახეთის მიწაზე. ისინი ცალ-ცალკე ჯგუფებად დაასახლეს. ზოგ შემთხვევაში ისე მოხდა, რომ ნათესავები და ახლობლები დააშორეს და ერთმანეთის ნახვის უფლებასაც არ აძლევდნენ. გადასახლებულთა უმრავლესობას ქართველთა რჩეული ფენა

წარმოადგენდა, ის, ვინც გადაურჩა გასაბჭოების ავბედით წლებს, აქ უპირებდნენ განადგურებას. ესენი იყვნენ გაბაშვილები, მიქელაძეები, ჩხარტიშვილები, წერეთლები და სხვანი.

მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ. თავიდან მიწურებში მოათავსეს, შემდეგ კი პატარა სახლები აუშენეს. ყოველ დილით ბამბის პლანტაციებში დაჰყავდათ, სადაც მთელ დღეს აუტანელ სიცხეში უსლებოდათ მუშაობა, დღეში 80 კგ ბამბა უნდა მოეკრიფათ. ეს იყო რაღაც არაადამიანური შრომა, საღამოს კი უკან ბრუნდებოდნენ დასიცხულები, დაკაწრულები, კოღოებისგან დაკბენილები და საშინლად დაქანცულები. ყოველივეს ამის გახსენებისას ქალბატონ ბაბოს ახლაც კი ცრემლი ერევა თვალებზე. სასმელი წყალი შორიდან მოჰქონდათ, ჭიებით სავსე, რომელსაც ბალიშის პირებში წურავდნენ და ისე სვამდნენ. ქალბატონი ბაბო არაერთხელ აღმოჩნდა ასეთ უძნელეს მდგომარეობაში, თუმცა მას ცხოვრების დასაწყისი სულ სხვა მომავალს უქადდა.



კოკი დადიანი

ქალბატონი ბაბო გვაწვდის თავისი მამის, კოკი დადიანის ფოტოსურათს. ყელმოღერებული, ღირსებით აღსავსე კაცისა. მას ისეთი გამორჩეული თვისებები ჰქონია, რომ სრულიად ახალგაზრდა, 16 წლისა მარშლად აურჩევიათ; რამდენიმე წლის შემდეგ კი დაუმტკიცებიათ ამ თანამდებობაზე. დედა იყო ნინო (ღაისო) მიქელაძე. ბედნიერად გან-

ველო ქალბატონ ბაბოს ბავშვობის წლებმა. რვა და-ძმანი ყოფილან, თავადიშვილებს, როგორც წესი, გლეხის ქალები ზრდიდნენ, ის დღესაც საოცარი სითბოთი გვიამბობს თავის ძიძაზე, რომელიც გადასახლებაშიც ხშირად ახსენდებოდა, თანაც დასძენს, რომ ამ ტრადიციას დიდი მიზანი ჰქონდა, რათა გლეხებსა და თავადებს შორის დამკვიდრებულიყო სიყვარული, სითბო და ერთგულება.

ყურადღებას იპყრობს ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი ფოტო მერი შარვაშიძისა. ეს არის ლეგენდად ქცეული ქალი, განთქმული თავისი სილამაზით, პოეტთა და ხელოვანთა შთაგონების წყარო. იგი ფრეილინა ყოფილა ნიკოლოზ II-ს კარზე. მისი გარეგნობით აღტაცებულ მეფეს უთქვამს: «Княжна, грешно быть такой красивой».



მერი შარვაშიძე

საყურადღებოა, რომ მერი შარვაშიძე ბაბო დადიანის მეჯვარე ყოფილა ქორწილში, ხოლო ქალბატონი ბაბოს მამა კი - მერის მეჯვარე, როდესაც ის ცოლად გაჰყვა გიგუშა ერისთავს. ქალბატონი ბაბო გვიჩვენებს ფოტოს, სადაც ნიკოლოზ II-ს გვერდით დგას გიგუშა ერისთავი, არაჩვეულებრივი შესახედაობის ვაჟკაცი.

ერთხელ, იგონებს ქალბატონი ბაბო, - მერი შარვაშიძე სტუმრად ეწვია ჩვენს ოჯახს. ღამე საძინებელ ოთახში ერთად მოგვათავსეს, მერი ისეთი ლამაზი იყო, რომ, როდესაც დასაძინებლად დაწვა, მე ისევ მონუსხულივით შევცქეროდი. ეს რომ დაინახა, გაეცინა და მითხრა, ეხლა დაიძინე და ხვალ რამდენიც

გინდა, მიყურეო. საერთოდ, თავმდაბალი ქალი ყოფილა. როდესაც აღტაცებას გამოთქვამდნენ მისი გარეგნობის გამო, უხერხულობას გრძნობდა. ქალბატონი ბაბოს სიტყვებით, მერი იყო ჭეშმარიტი არისტოკრატი. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დღეს ამ სიტყვამ ზოგიერთისთვის სხვა მნიშვნელობა მიიღო. სინამდვილეში კი ის გულისხმობს თავმდაბლობას, ზრდილობას, დიდბუნებოვნობას, სიკეთეს და იმ დახვეწილ მანერებს, რომელსაც ბავშვობიდანვე სწავლობდნენ მშობლების მაგალითით.



გიორგი შარვაშიძე

უამრავ სურათებს შორის ასევე ყურადღებას იქცევს ვეფხისტყავწამოსხმული, ძალზე წარმოსადეგი მამაკაცი. ეს ცნობილი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ვაჟიშვილი, გიორგი შარვაშიძეა. როდესაც ის მხატვარმა მიხაი ზიჩმა ნახა, მასში ტარიელის ხორცშესხმული სახე დაინახა. გიორგი შარვაშიძეს უარი უთქვამს პოზირებაზე, მაგრამ, როცა აუხსნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისათვის, დათანხმებულა. ეს ფოტოც სწორედ ამის ამსახველია.

აქვეა, ჩვენთვის, ყველასათვის სათაყვანებელი გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტი. ისიც ქალბატონი ბაბოს ოჯახის ახლობელი ყოფილა და მის ქორწილსაც ესწრებოდა. იგი ცნობილი იყო, როგორც ლეკურის შესანიშნავი შემსრულებელი. ფეხს რომ გაუსვამდა თურმე, მის ნახვას არაფერი სჯობდა.

როგორი სიმბოლურია, რომ ქალბატონ ბაბოსთან ერთად, სურათებიც მოხვდნენ გადასახლებაში, ის თითქოს ამ ხალხის მაგივრადაც იხდიდა სასჯელს და თავადის ქალი, ასეთ რაფინირებულ საზოგადოებაში აღზრდილი, შუა აზიის ცხელ ტრამალებში კრეფდა ბამბას. მან რამდენიმე წელი დაჰყო ამ უხეშ და არაადამიანურ გარემოში. მიუხედავად ამისა, ის სულიერად მაინც არ დაეცა და არც მხნეობა დაუკარგავს.

გადასახლებაში ყველაზე ტრაგიკულად ის დღე დაამახსოვრდა, როდესაც შუა აზიაში სამუდამოდ დარჩენის დოკუმენტზე მოაწერინეს ხელი. ამ ფაქტმა ძალიან აღაშფოთა. მაგრამ,მისდა გასაოცრად,ერთ-ერთ ჩეკისტს უთქვამს:«Вечного ничего нет».

მართლაც, მუდმივი არაფერი არ არის. გაქრნენ ის „ადამიანები“, ვინც ეს ჯოჯოხეთი მოუწყო ხალხს. ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, ბევრი რამ გადასხვაფერდა. შეიცვალა დამოკიდებულებები, თანდათან ინგრევა ის სისტემაც, რომელმაც ამდენი მსხვერპლი მოიტანა. თუ შეიძლება რამეზე ითქვას მუდმივი, ეს არის მარადიული ღირებულებები - სიკეთე და სიყვარული, რასაც ეს ფოტოები იმსახურებენ. მიუხედავად

იმისა, რომ დრო გადის, ისინი არ გვინელებენ იმ ემოციას და განცდას, რომელიც ადამიანის სულს ხვდება. მათი შემხედვარე, სიამაყით ივსები და ფიქრობ, მართლაც რა საოცარია ქართული გენი, ძლიერი, სიცოცხლისუნარიანი. საუკუნეების მანძილზე რამდენი ტანჯვა გადაუტანია ჩვენს ერს, მაგრამ ყოველთვის შესძლებია აღმდგარიყო და გაცოცხლებულიყო. ამ ხალხის მხნეობა, სულიერი სიმტკიცე და გამძლეობა სწორედ ამის საუკეთესო მაგალითია. ბევრი მათგანი ზნეობრივ სიმბოლოდაც იქცა.

მაინც რამ გადაატანინათ ამდენი ბედუკულმართობა და მოულოდნელად თავსდატეხილი უბედურება?! დიდმა რწმენამ და სულიერებამ. დღესაც, ჩვენს გაუსაძლის ყოფაში, ისევ სულიერება თუ გადაარჩენს ადამიანს, ყოველივე მატერიალური კი ხორციელი პატივია მხოლოდ. „ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო, უწირო!“ (დ. გურამიშვილი)

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ფოტოების გამოფენამ, რომელიც ორჯერ მოეწყო თბილისში, მოგვიანებით კი პარიზში. ამ სურათებმა, ურთულესი გზის გავლის შემდეგ, ჩააღწიეს და დაიპყრეს მრავლისმნახველ პარიზელთა გულები. კარგი იქნება, თუ ეს შესანიშნავი კოლექცია გამოიცემა ფოტოალბომის სახით და მოეწყობა მუდმივი ექსპოზიცია, რათა ყველამ შეძლოს მათი ნახვა, აქაურმაც და უცხოეთიდან ჩამოსულმა სტუმარმაც. ამ გზით ეს ადამიანები ჩვენს ცხოვრებაშიც შემოვლენ და არა მხოლოდ მათი მფლობელის, არამედ ჩვენი ცხოვრების ნაწილადაც იქცევიან. მით უმეტეს, რომ ამ ფოტოების ნახვა ესთეტურ გრძნობებს იწვევს, ამ ადამიანების სილამაზე და ღირსებით სავსე სახეები - ეროვნულ სიამაყეს, რადგან კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ მართალი იყო ყველა ის მოგზაური, პოეტი, მისიონერი თუ, უბრალოდ, გამვლელი, რომელიც აღნიშნავდა, ქართველი ერი მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესიაო.

1998 წ.



ქალბატონი ბაბო შვილებთან და შვილიშვილებთან

P.S. სამწუხაროდ, ქალბატონი ბაბო დღეს ჩვენს შორის აღარ არის. იგი გარდაიცვალა წერილის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ, 1999 წელს.

შეხვედრა ნოდარ ანდღულაძესთან

HOMO CANTOR



ნოდარ ანდღულაძე

ცნობილ ქართველ მომღერალს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, პროფესორ ნოდარ ანდღულაძეს სულ ახლახანს 70 წელი შეუსრულდა. საზოგადოება მაესტროს კარგად იცნობს, როგორც გამორჩეულ პიროვნებას, დახვეწილ ინტელიგენტს და განათლებულ ადამიანს. იგი ლეგენდად ქცეული მომღერლის დავით ანდღულაძის შვილია, მისი სასიმღერო სკოლის უშუალო მემკვიდრე და ტრადიციების გამგრძელებელი. ბატონმა ნოდარმა ძრაჟალი ითაობა აღზარდა, რომელთაც შორს გაიტანეს ქვეყნის სახელი. ხალოესების გარდა, თავიდანვე გატაცებული იყო ლიტერატურითა და ისტორიით – ამას განაპირობა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე მისი შესვლა. მიუხედავად სამეცნიერო სარბიელზე დიდი წარმატებისა, იგი არ ღალატობს ოჯახის ტრადიციას.

ნოდარ ანდღულაძე ყოველთვის დიდ დროსა და ყურადღებას

უთმობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 30 წელია, ვასო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრაზე მოღვაწეობს, ხოლო გაისად 25 წელი შესრულდება, რაც უშუალოდ ხელმძღვანელობს კათედრის მუშაობას.

ნოდარ ანდღულაძე ერთ-ერთი იმათთაგანია, რომლის მრავალფეროვანმა მოღვაწეობამ ჩვენიეროვნული საოპერო თეატრის სცენასა და საკონცერტო ესტრადაზე, ტიტანურმა შრომამ პედაგოგიურ სარბიელზე საუცხოოდ წარმოაჩინა ამ თაობის მნიშვნელობა ქართული ვოკალური ხელოვნების ისტორიაში.

ბატონი ნოდარი თავად არის ის „ადამიანი მომღერალი", რომლის შესახებაც მალე გამოვა მისი ამავე სახელწოდების მეტად საინტერესო წიგნი.

ნოდარ ანდღულაძე ჩვენი ოჯახის ახლობელია. მამაჩემის - გიგი ხორნაულის დიდი ხნის მეგობარია, სტუდენტობის დროიდან მოყოლებული დღემდე. ჩვენს ოჯახში ინახება უნიკალური სურათების ალბომი ბატონი ნოდარის ხელით გაკეთებული წარწერებით, სადაც აღბეჭდილია მომღერლის ცხოვრების ის პერიოდი, რომელიც მთასთან არის დაკავშირებული და რომელიც, როგორც თვითონვე აღნიშნავს, მისი სულის ნაწილად იქცა.

ყოველივე ამის გამო გადავწყვიტე გავსაუბრებოდი ბატონ ნოდარს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამჟამადაც ძალიან დატვირთულია თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით, მაინც გამონახა დრო, რომ ჩემს რამდენიმე შეკითხვაზე ეპასუხა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

- ბატონო ნოდარ, როგორც გავიგე, მალე გამოვა თქვენი წიგნი, რა თქმა უნდა, მთავარი თემა, ალბათ, მუსიკა, სიმღერა იქნება.

- ეს წიგნი ნარკვევების კრებულია, რომელიც იწერებოდა და, ნაწილობრივ, ქვეყნდებოდა 30 წლის განმავლობაში. ძირითადად, საქართველოში. მათგან ერთი-ორი ნარკვევი რუსულ ჟურნალებშიც დაიბეჭდა. ისინი ერთ გამჭოლ იდეაზეა აგებული. თუმცა, ამავე დროს, მრავალმხრივ არის

განშტოებული. რაღა თქმა უნდა, აქ მთავარი სიმღერაა, მაგრამ თავისებურ ჭრილში.. ეს არის სიმღერა, გააზრებული მის ადამიანურ განზომილებაში და ადამიანი, როგორც მომღერალი არსება. აქ არის ცდა, განსაკუთრებით პირველ ნარკვევში, რომელსაც სწორედ „ადამიანი მომღერალი“ ეწოდება, ლათინური შესატყვისით HOMO CANTOR, ადამიანი წარმოვადგინოთ მომღერალ არსებად, როგორც მას განსაზღვრავდა ვილპელმ ფონ ჰუმბოლდტი. ადამიანს თითქოს არ აკლია განსაზღვრებები, რაც ცნობილია ფილოსოფიური ანთროპოლოგიიდან. მაგრამ კიდევ ერთი დავუმატეთ, როგორც ამბობდა აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი: „მრავალ-სპექტრიანია ადამიანი“. ადამიანის ეს განსაზღვრება უკვე კარგა ხანია გაცხადებული გვქონდა და ერთი სამეცნიერო საკავშირო მასშტაბის სესია თბილისში ამ ნიშნით უკვე გაიმართა. ამ ნარკვევმა მისცა სახელწოდება მთელ კრებულს. მე ის დედ-მამის ხსოვნას მივუძღვენი, რომელთაგანაც ვისწავლე სიმღერა და ადამიანობა. სხვას ამ ნარკვევებზე არაფერს მოგახსენებთ. თუ გამოჩნდა სპონსორი, გადავცემ რომელიმე გამომცემლობას. წიგნი აწყობილია და გამზადებულია გამოსაცემად.

რამდენადაც ვიცი, ასეთი ლიტერატურა თითქმის არ გვაქვს.

- მე რამდენადმე უკვე ვუპასუხე თქვენს მეორე კითხვას. ოღონდ დავამატებდი, რომ, ჩემდა სასიხარულოდ, ეს თემა თითქმის ერთდროულად მუშავდება სხვადასხვა ცენტრში. ძალიან ახლოა ამ წიგნის შინაარსი და შეხედულებები რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ წიგნთან, რომლის სახელწოდებაა „ევფონია, სიცოცხლის ბგერა“. მისი ავტორია არგენტინელი ფილოსოფოსი და მუსიკათმცოდნე დანიელ ლევი, რომელმაც ვენეციაში დააფუძნა „ხელოვნებათა პლანეტარიუმი.“ ასევე ახლოა იდეებთან, რომელიც დეტალური მსჯელობის საგნად არის ქცეული იტალიელი ფილოსოფოსისა და მუსიკათმცოდნის, ჯოვანი პიანას წიგნში „მუსიკის

ფილოსოფია“. სამწუხაროდ, ვერ მოვესწარით ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის ვიტალი კაკაბაძის დიდ გამოკვლევას მუსიკის ფენომენის შესახებ, უდროო გარდაცვალების გამო, თვით აღძვრა ამ ინტერესისა ადამიანური სიმღერის მიმართ მეტად ნიშანდობლივია იმ ანთროპოლოგიური კრიზისის ვითარებაში, რომელსაც განიცდის დღევანდელი კაცობრიობა.

ქართულ ვოკალურ ხელოვნებაში ცნობილია ანდღულაძეების სკოლა, რითია ის გამორჩეული?

- შეიძლება დაიბადოს კითხვა, რა საერთო აქვს ყოველივე ამას ანდღულაძეების სკოლასთან. მოგახსენებთ, ჩვენ ამოვდივართ უძველესი დებულებიდან, რომელიც ამბობს „როგორადაც მღერის ადამიანი და რასაც მღერის ადამიანი, ისეთია თვითონ და ის საზოგადოება, რომელშიც ტრიალებს“ საოცარია, რომ ეს არცთუ ისე პოპულარული მაქსიმა დასტურდება ძველ ინდურ, ძველ ჩინურ და ძველ ბერძნულ ფილოსოფიებში. დავასახელებდი მაგალითად, კონფუციუსს - ჩინელთა შორის, „პანიშადებს ინდურ ფილოსოფიაში; დამონს, პითაგორას და პლატონს ბერძენთა შორის. ეს ცნება სხვადასხვაგვარად წარმოჩენილია ნეტარ ავგუსტინესთან, ბოეთიუსთან, ნიკოლოზ კუზანელთან, მთელი აღორძინების ხანის ფილოსოფიაში და ესთეტიკაში, ფრანგ განმანათლებლებთან (დიდრო, რუსო,



დავით ანდღულაძე

კანდალიაკი), გერმანელ რომანტიკოსებთან, დაბოლოს, შოპენჰაუერსა და ნიცშესთან. ყოველივე ამას მოჰყვება პროფესიული მუსიკის განვითარება, რომლის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი ვოკალური ხელოვნებაა, წარმოდგენილი სხვადასხვა ჟანრში, საკუთრივ - ოპერაში. ბორის ასაფიევს ოპერა მიაჩნდა ,,საზოგადოებრივი ინტონაციის ატმოსფეროს ბარომეტრად.“ რომელშიც მჟღავნდება საზოგადოების სულიერი მდგომარეობა. რუდოლფ შტაინერს აქვს ასეთი გამონათქვამი: ,,ადამიანები რომ მღეროდნენ, მღეროდნენ ბევრს და, განსაკუთრებით, მღეროდნენ კარგად, ქვეყანაზე ნაკლები ბოროტება იქნებოდა.“ ამიტომ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კაცობრიობის კულტურის ამ მონაპოერის გადარჩენა და განვითარება სხვა მონაპოვართან ერთად. ამის გამო ვეფუძნებით როგორც ქართულ სასიმღერო, ისე საერთო-ევროპულ ვოკალურ ტრადიციას, რომლის საფუძველია იტალიური ვოკალური სკოლა. ჩვენში, საქარ-თველოში, იტალიური სკოლა პირველად ფილიმონ ქორიძის, დავით კაკაბაძისა და ვანო სარაჯიშვილის სიმღერებით გავიცანით. ამას ვუწოდებთ პირველ სინთეზს, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ვალერიან ქაშაკაშვილის, სანდრო ინაშვილისა და სხვათა შემოქმედებას, ასევე დავით ანდღულაძის შემოქმედებას, ევგენი ვრონსკის მეშვეობით. ხოლო ამ ურთიერთობის ახალ ეტაპს, რომელიც 60-იან წლებში დაიწყო, ვუწოდებთ ,,ახალ სინთეზს“. ქართული ვოკალური სკოლის ბოლოდროინდელი საერთაშორისო მიღწევები სწორედ ამ ახალი სინთეზის შედეგია. უნდა მოგახსენოთ, რომ ანდღულაძეების სკოლა არ არის ერთადერთი საქართველოში, მაგრამ, შესაძლებელია, მისი მიღწევები უფრო ხელშესახებია. დიდ პატივს ვცემთ ქაშაკაშვილის, სანდრო ინაშვილის, ბახუტაშვილი-შულგინას ტრადიციებსაც. ამასთანავე, ვცდილობთ, რომ თითოეული ეს ნაკადი არ დაშრეს და ყოველნაირად შეემატოს სასიცოცხლო ძალები. ანდღულაძეების სკოლის უპირატესობის საიდუმლოება სწორედ მის არაამპარტავნობაშია. დავით ანდღულაძე თვით იყო უაღრესად

თავმდაბალი და თვითკრიტიკული ადამიანი. სავალალო იქნება, თუ მისი სკოლის წარმომადგენლებს რომელიმე ამ თვისებათაგანი დააკლდებათ.

უფროსი თაობისათვის კარგად არის ცნობილი დავით ანდღულაძე, მაგრამ ახალგაზრდა თაობა ნაკლებად იცნობს მას. თუ შეიძლება, გვითხარით ორიოდე სიტყვა მამის შესახებ.

– ჩვენ ბუნებრივად გადავედით თქვენს მომდევნო კითხვაზე. მართლაც, ჩვენი ახალგაზრდობა არ იცნობს დავით ანდღულაძის სასიმღერო შემოქმედებას. სამწუხაროდ, თავის დროზე რადიოს მუსიკალურმა მესვეურებმა, საერთოდ, კულტურის ხელმძღვანელმა ორგანოებმა არ გამოიჩინეს ჯეროვანი ყურადღება ქართული ვოკალური ოქროს ხანის წარმომადგენლების ფირზე აღბეჭდვის თვალსაზრისით, ამ მხრივ ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა შესანიშნავმა მუსიკოსმა ანზორ ერქომაიშვილმა და გადაარჩინა ნამსხვრევებად ქცეული დოკუმენტაცია, გამოსცა ევგენი მიქელაძის დირიჟორობით „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ ფირფიტები, ამჟამად იგი მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა გააუმჯობესოს ძველი ჩანაწერები და გამოსცეს თანამედროვე ფირფიტებზე.

იმისათვის, რომ სრული შთაბეჭდილება შეექმნას ჩვენს მკითხველს დავით ანდღულაძეზე, ჩვენ, მის მოწაფეებს, ასეთი ხერხი გვაქვს ვაერთიანებთ ზურაბ ანჯაფარიძის სასწაულებრივ მუსიკალობას და არტისტიზმს, ზურაბ სოტკილავას ცეცხლოვან ვოკალურ ტემპერამენტს, ნოდარ ანდღულაძის ხმის ხარისხს და მიახლოებით შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი იყო დავით ანდღულაძე.

ზურაბ ანჯაფარიძე ამბობდა (და ეს ჩაწერილიც არის დოკუმენტურად): „მე თანამედროვე საოპერო სცენაზე კარგ გერმანად ვიყავი მიჩნეული და ვიცი, მთელი წარმოდგენის განმავლობაში რად მიღირდა ამ ეფექტის მიღწევა. რასაც მე მთელი წარმოდგენის განმავლობაში ვაღწევდი, იმას დავით ანდღულაძე აღწევდა პირველივე ფრაზით.“

- დედაშენიც, თუ არ ვცდები, მომღერალი იყო?

- დედაჩემი, ბარბარე მამამთავრიშვილი, ცნობილი გახლდათ, როგორც ქართველ ქალთაგან ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი მომღერალი. დედას სასცენო ფსევდონიმად აღებული ჰქონდა თანავარსკლავედის ქართული სახელწოდება „მრავალი“ თუ გაინტერესებთ, შეიძლია გიამბოთ, როგორ აირჩია მან ეს ფსევდონიმი.

ახალგაზრდობაში, კერძოდ, გიმნაზიის წლებში, დედა ოცნებობდა მომღერლობაზე. ერთხელ, ღამით, როდესაც მთაწმინდიდან ვარსკვლავებს უცქერდნენ, მეგობარმა გოგონამ სთხოვა თურმე, თუ მომღერალი გახდები, სასცენოდ ამ



დავით ანდღულაძე მეუღლესთან ბარბარე მამამთავრიშვილთან („მრავალი“) და შვილთან ნოდართან

თანავარსკლავედის სახელი აიღეო. გოგონა კატასტროფაში დაღუპულა და, როდესაც დედა მომღერალი გახდა, მეგობრის სურვილი შეასრულა. დედას დიდ პატივს სცემდა ვანო სარაჯიშვილი და ჯერ კიდევ სტუდენტი გამოჰყავდა

კონცერტებზე მთელ საქართველოში. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საოპერო დასში. იგი რეპეტიციებს გადიოდა ვანო სარაჯიშვილთან ერთად „დაისის“ მომზადებისას, მაგრამ ვანოს არ დასცალდა მალხაზის სიმღერა. მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, მარჯანიშვილმა დადგა „აბესალომ და ეთერი“ უაბესალომოდ. აბესალომის პარტიას ჩელოზე ორკესტრში უკრავდა კაპელნიცი. იგი ამაღლებულზე იჯდა და განათებული იყო პროჟექტორის სხივით. სცენაზე აბესალომის მაგივრად დადიოდა შუქი. დედა ასრულებდა ეთერის პარტიას ამ სპექტაკლში. ჩვენს სახლში ინახება ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტი კომპოზიტორის ავტოგრაფით: „საუკეთესო ეთერს, ბარბარე მრავალს, ზაქარია ფალიაშვილისაგან“. ჩემი დაბადების შემდეგ დედამ თავი დაანება სასცენო მოღვაწეობას.

- რას გაიხსენებით თქვენი ბიოგრაფიიდან?

- ჩემი ცხოვრების გზა მთლად სწორხაზოვანი არ ყოფილა. ახალგაზრდობაში მინდოდა მწერალი გავმხდარიყავი. მაგრამ ორი რამის გამო ვერ გავბედე. ჯერ ერთი, ალბათ, არც ვიყავი დაბადებული მწერლად, თორემ ვერაფერი შემიშლიდა ხელს. ობიექტური მიზეზი კი ჩემთვის ორი იყო: ერთი ის, რომ კომუნისტური რეჟიმის პირობებში სიმართლის წერა არ შეიძლებოდა, ეს სრულიად გასაგები გახდა ჩემთვის მომწიფების პირველ ეტაპზე. ჩვენი თაობა კარგად გრძნობდა არსებული რეჟიმის სიყალბეს და ამავე სიყალბით არ გვინდოდა გვეცხოვრა და, მით უმეტეს, გვეწერა.

მეორე დაბრკოლება კი ის იყო, რომ აშკარად ვგრძნობდი, ქართული მხატვრული სიტყვა ხელ-არ-მეწიფებოდა. მაშინ მე უნდა დავბადებულიყავი ისეთ ადგილას, სადაც მხოლოდ ქართული სიტყვა ისმოდა, უფრო, რალა თქმა უნდა, აღმოსავლეთ საქართველოში ან მთაში. უამისობას დღემდე განვიცდი. ენის ის მხატვრული გრძნობა, რაც მწერლობას სჭირდება, მე არ გამაჩნია. ამით/იმის თქმა მინდა, რომ მარტო მე არა ვარ ამ დღეში... თეორიულ ენათმეცნიერებაში ცნობილია ასეთი ტერ-

მინი: „sprachgefuhl“ - ენის გრძნობა. ამ პრობლემაზე ჩვენში პროფესორი გურამ რამიშვილი მუშაობს. თუ ეს არ გაგაჩნია, სჯობს, საერთოდ არ მოჰკიდო ხელი მწერლობას. თანამედროვე მწერლებიდან ეს გრძნობა ჰქონდა, მაგალითად, გიორგი ლეონიძეს.

როდესაც ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შევედი, მოხდა ერთი რამ: საუნივერსიტეტო კურსებს შორის უზარმაზარი განსხვავება აღმოჩნდა ოფიციალურ ლიტერატურისმცოდნეობასა და ენათმეცნიერებას შორის. ოფიციალური ლიტერატურისმცოდნეობა დაფუძნებული აღმოჩნდა დოგმატური მარქსიზმის პოსტულატებზე. ნამდვილი მეცნიერული აზრი ცოცხლობდა ენათმეცნიერებასა და ძველი ქართული ლიტერატურის დარგში. ამავე დროს, გრიგოლ კიკნაძის შესანიშნავი შრომა ცენტრალურმა კომიტეტმა გაანადგურა. ეგრეთ წოდებულმა „წითელმა პროფესორებმა“ მათთვის ჩვეული მზაკვრობით, ცეკას ბიუროს დადგენილებით გააუქმებინეს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება გრიგოლ კიკნაძისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ. ამას მოჰყვა ზოშჩენკოს, ახმატოვას დაუნდობელი კრიტიკა.

იდეოლოგიურ ფრონტზე შავი ღრუბლები ჩამოწვა. ფილოლოგიურ დარგებს შორის ნათელი აზრი ტრიალებდა ენათმეცნიერების დარგში. ამიტომ მეც იქ განვაგრძე სწავლა.

მაგრამ, ამავე დროს, არ მასვენებდა ფიქრი სიმღერაზე. ეჭვის შეტანა ჩემს შესაძლებლობებში მაშინ არ შეიძლებოდა. მაგრამ აქ მე მზღუდავდა მამის სახელი და ავტორიტეტი. გავწვდებოდი თუ არა მის საქმეს? ამიტომ სიმღერაზე გადაწყვეტილება ძალიან გვიან მივიღე. თუმცა თანატოლთა შორის ბევრი მომღერალი მეგობარი მყავდა, განსაკუთრებით, ზურაბ ანჯაფარიძე, რომელიც მე მივიყვანე მამაჩემის კლასში. უნდა ითქვას ისიც, რომ თვით საოპერო თეატრალურ ხელოვნებაში ძალიან ბევრი მწვავე პრობლემა იდგა, აქაც სოციალისტური რეალიზმი ასვამდა თავის დაღს ყველაფერს. ჩემი აზრით, ძალზე პრიმიტიული იყო იმდროინდელი

დრამატურგიული აზროვნება. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით მე გავხდი ნატურალიზმისა და პრიმიტიულად გაგებული რეალიზმის შეურიგებელი ოპონენტი. ყველაფერი ეს, ერთ კვანძად შეკრული, მესახება ჩემი ცხოვრების დრამად. თუ ვინმეს სურს გაიგოს ჩემი მხატვრული პოზიცია, ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინოს. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ სტანისლავსკის სისტემა დამახინჯებულად გაიგეს და განავითარეს მისმა უშუალო მემკვიდრეებმა. სტანისლავსკის სისტემას უფრო უკეთესად მისი მოწაფე ოპონენტები ავითარებდნენ, ვიდრე მომხრეები, ვგულისხმობ ვახტანგოვს და მიხაილ ჩეხოვს (ანტონ ჩეხოვის ძმისშვილი, მსახიობი, სტანისლავსკის სისტემის დამფუძნებელი ჰოლივუდში). მით-უმეტეს დამახინჯებულად ეს სისტემა საოპერო თეატრში შემოვიდა. საბედნიეროდ, მამაჩემი სტანისლავსკის უსაყვარლესი მოწაფე გახლდათ, მას იმდენად უყვარდა ახალგაზრდა ქართველი სტუდიელი, რომ მოსკოვში ჩასული დავითი თავის სახლში დააბინავა და საერთო საცხოვრებელს აარიდა. სტანისლავსკიმ პირველი წიგნი მსახიობის ოსტატობის შესახებ 1928 წელს პირველად თავის მოწაფეს დავით ანდღულაძეს წაუკითხა.

ამიტომ მე უშუალოდ მამაჩემისგან ვიცი სტანისლავსკის პოზიცია საოპერო თეატრის მიმართ. ასეთი შემთხვევა „ბოჰემაზე“ მუშაობის დროს მოხდა. სტანისლავსკი ბევრ და ხანგრძლივ რეპეტიციებს გადიოდა ამ სპექტაკლის მომზადებისას და ძალიან ღლიდა მსახიობ-მომღერლებს. ამ რეპეტიციებით აწამებდა მოწაფეებს, მათ შორის მამასაც, რომელიც რუდოლფის როლს ასრულებდა. მათ, ღონემიხდილებს, მიუმართავთ კონსტანტინ სერგეევიჩისთვის, ჩვენ რომ ამდენს გვაწვალებთ მიზანსცენებით, იტალიელები ხომ ამდენს არ თამაშობენ ოპერაშიო. სტანისლავსკი ერთი წამით შეჩერებულა და უთქვამს: იმღერეთ ისე, როგორც მღერიან იტალიელები და მე არც ერთ მიზანსცენას არ გასწავლითო. სამწუხაროდ, ეს გამონათქვამი მხოლოდ ჩვენს

ოჯახში დარჩა და პირველად ახლა ვამბობ, ამ ინტერვიუში. ამასთან დაკავშირებით, უნდა მოგახსენოთ, რომ ერთ-ერთი ღია გაკვეთილის დროს, რომელიც მაშინდელ ლენინგრადში გავმართე სოლო სიმღერის კათედრის მიწვევით, ამ თემაზე მსჯელობისას მე ასეთი მკრეხელური დებულება წამოვაყენე: საერთოდ მიჩნეულია, რომ სტანისლავსკიმ საოპერო თეატრს დაუდო საფუძვლად დრამატული თეატრის პრინციპები. სინამდვილეში კი მოხდა პირიქით. სტანისლავსკიმ დრამატულ თეატრში შეიტანა მუსიკალური თეატრის პრინციპი. მან შექმნა დრამატული წარმოდგენის მუსიკალური პარტიტურა ეგრეთწოდებული მეორე პლანის შემოტანით. ამ სტერეოტიპის დარღვევაც ძალიან ძვირად დამიჯდა ჩემს მოღვაწეობაში საოპერო თეატრში. მაგრამ, ბოლოს, მაინც დავბრუნდი თეატრში, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ის, რაც ჩიქობავას სკოლამ მომცა, როგორც მოაზროვნეს ხელოვნებაში, ვერც ერთი მაშინდელი კონსერვატორია ვერ მომცემდა.

- მამისაგან ვიცი, რომ მთის დიდი ტრფიალი ბრძანდებით. ვინ შეგახვედრათ მთას პირველად, რა მოგცათ მან, რით გიზიდავთ?

- რთული შემოქმედებითი საკითხების გადაწყვეტისას მე გამაკაჟა, ერთი მხრივ, ქართულმა საენათმეცნიერო სკოლამ ჩიქობავას მეთაურობით და, მეორე მხრივ, საქართველოს მთამ. ილიასავით ვერ ვიტყვი, რომ ნადირობის ტრფიალი ვარ, მაგრამ მთის ტრფიალი კი ნამდვილად ვარ. მთა ახლაც რჩება განმწმენდელად საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. ეს არ არის უბრალოდ რომანტიკული გატაცება, გარკვეულ ასაკთან დაკავშირებით. ეს არის ჩემი ღრმა რწმენა, მიუხედავად ყველა იმ უბედურებისა, რაც ქართულ მთას XX საუკუნის II ნახევარში გადახდა. საბედნიეროდ, მე მოვესწარი საქართველოს მთას, როცა კოლმეურნეობა ჯერ კიდევ არ იყო იქ შესული. ეს 1947. 1948. 1949 წლებია. დღემდე მახსოვს ის სიცოცხლის ძალა, რომელიც ჩქეფდა ჩვენს მთაში. ძველი ადათ-წესები ჯერ კიდევ არ დარღვეულიყო. საუკუნეების

მანძილზე გამომუშავებული დისციპლინა და სულის სიმტკიცე იშვიათ სულიერ და პიროვნულ თავისუფლებასთან იყო შერწყმული, საოცარი სიცოცხლისუნარიანობა ურთულეს კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებში, შრომისუნარიანობა, საკვირველი სტოიციზმი ხალხისა, ოჯახისა და გვარის სიმტკიცე, ადამიანთა კოლექტივის თვითორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, მისადაგებული გარემო პირობებისადმი და ისტორიული გზისადმი, და, რაღა თქმა უნდა, ხევსურეთსა და ფშავში საოცარი სიმაღლის ხალხური პოეზია, სვანეთში კი ხალხური მუსიკა, სიმღერა და ცეკვა. ყველაფერმა ამან ძალიან გამამდიდრა სულიერად. თითქოს თავი დავაღწიე იმ ჩარჩოებს, სადაც თანამედროვე ქალაქის ცხოვრება ამწყვდევს ახალგაზრდას: შეიცვალა ძირითადად შეხედულება ადამიანზე. ბუნებაზე. ცხოვრებაზე. ამას წიგნებში ვერ ამოიკითხავ, ეს უშუალოდ შენს ცხოვრებისეულ ბიოგრაფიად უნდა გაიხადო, თავად უნდა განიცადო. ვამაყობ იმით, რომ ახალგაზრდობაში მიღებული ვიყავი არხოტში ოჩიაურების ხატის ყმად. ამას ვუმადლი ჩემს მეგობრობას გოგი, ირაკლი, დედიკა და თინა ოჩიაურებთან, განსაკუთრებით, მათი დიდი მშობლების სიყვარულს და ზრუნვას ჩემდამი. როდესაც მათი დედა, ნათელა ბალიაური გარდაიცვალა, გვირგვინს გავუკეთე წარწერა: „ჩვენი თაობის აღმზრდელ დედას, დაუვიწყარი სიყვარულით.“ ამ წარწერამ მთელი ჩვენი სამეგობროს ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა, რადგან ეს სიტყვები სინამდვილეა.

გოგომ გადამიყვანა პირველად არხოტში 1947 წლის ივლისში, ათენგენობამდე ორი კვირით ადრე. მასთან ერთად შემიშვეს ოჩიაურების ხატში და იქ ვიყავით „მაწმინდრებად“ - (ხატის მსახური). გარდა ასეთი სულიერი ურთიერთობისა, მე საუნივერსიტეტო დავალებასაც ვასრულებდი მთის დარგობრივი ლექსიკის შეგროვების თვალსაზრისით. პირველი ჩემი სამეცნიერო მოხსენება III კურსზე იყო „ქსოვასთან დაკავშირებული ლექსიკა ხევსურეთში“, რასაც მოჰყვა ასევე სტუდენტობისდროინდელი მოხსენება „თხორ“ (ქსელი)



„როცა მთაში მოვზაურობთ, ცხენზე ჯდომა მოგიწევთ“
ნოდარ ანდღულაძე

ტერმინის ეტიმოლოგიისათვის“, სადაც განვიხილე ქსოვისა და მატყლის აღმნიშვნელი ლექსიკა თითქმის ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში. ეს იყო ჩემი პირველი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომა. მთაში მიღებული გამოცდილება ისე მდიდარი და ღრმა აღმოჩნდა, რომ შემდგომ ჩემს არტისტულ შემოქმედებაში ბევრი რამ შევიდა ორგანულად სულიერი საგანძურიდან. ჩემი საოპერო გმირების განსახიერებისას სულისკვეთება ხშირად მთის კაცისა მაქვს. ესენი იქნებიან ქართული ოპერის გმირები: მალხაზი, მინდია, არზაყანი თუ ევროპული რომანტიკული ოპერისა ედგარ რავენსმუდი, მანრიკო. ლოენგრინი; ან ვერისტული პერსონაჟები: ტურიდუ, ხოზე, კანიო, კავარადოსი, განსაკუთრებით აღვნიშნავ მინდიას სახეს, რომელიც, შეიძლება ითქვას, პირდაპირ გადმოვიხატე არხოტის ახალგაზრდა ხევისბერის, ბაიჭაურთ ხვთისოსაგან. მეტსაც გეტყვით, თვით თაქთაქიშვილის ოპერის „მინდიას“



გიგი ხორნაული და ნოდარ ანდღულაძე.
„ხელმოცარული მონადირენი“

შექმნაში მეც მიმიძღვის გარკვეული წვლილი. ოთარ თაქთაქიშვილს უკვე ჰქონდა დაწერილი ვოკალური ციკლი ტენორისათვის ვაჟა-ფშაველას ლექსებზე (ის ციკლი პირველად მე შევასრულე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად) და აპირებდა ოპერის შექმნას. შევთავაზე, წამომყოლოდა ხევსურეთში და ადგილზე ენახა მინდიას ხატი სოფელ ამღაში (არხოტი), რომელსაც საბეგურის კარი ეწოდება, და, ვწუხვარ, რომ ეს მოგზაურობა არ განხორციელდა, რადგან ზოგიერთი უზუსტობა, რაც ოპერა „მინდიას“ ლიბრეტოს აქვს, თავიდან იქნებოდა აცილებული.

ბატონო ნოდარ, ხევსურეთთან დაკავშირებით ერთი უჩვეულო ამბავი გამახსენდა, რომელიც მამაჩემისაგან გამიგონია. ვფიქრობ, სხვებისთვისაც საინტერესო იქნება.

ახალგაზრდობაში გოგი ოჩიაურთან ერთად თქვენ ჯუთიდან არხოტში გადადიოდით, გზაში დაგაღამდათ. შორიდანვე

დაინახეს, რომ სოფელში რაღაც ჩოჩქოლი იყო ატეხილი. მთვარის შუქზე რაღაც ელავდა. თურმე მთვრალი ხევსურები ხმალ-ხანჯლებით დარეოდნენ ერთმანეთს. მათი გაშველება გიცდიათ, მაგრამ ამაოდ. ბარელ და მთიელ ხევსურებს შორის ატეხილ ჩხუბში აღარაფერმა გაჭრა, არც გაშველებამ, არც ქალების კივილმა. უეცრად თქვენ, ეტყობა, ზედმეტი ემოციისაგან მთელი ხმით დასჭექეთ არია ერთ-ერთი ოპერიდან (გამიგონია, თურმე ძველი ბერძნები მოჩხუბარ ხალხს სწორედ სიმღერით აწყნარებდნენ). ხევსურები მოულოდნელობისაგან ადგილზე გაშეშდნენ, ჩხუბიც შეწყდა. ასე გააჩერეთ სიმღერით სამკვდრო-სასიცოცხლოდ მოჩხუბარი ხევსურები. ალბათ, გახსოვთ ეს ამბავი?

პასუხად ბატონმა ნოდარმა ჩაიცინა, არაფერი უთქვამს, სახეზე ეტყობოდა, რომ მოგონებებში ჩაიძირა...

P.S. ამ დღეებში ბატონი ნოდარი პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გახდა.

სულით და გულით ვულოცავთ მაესტროს ამ დიდ აღიარებას. „ქ.კ." ნოდარ ანდღულაძის წიგნი Homo Cantor გამოვიდა ამავე წელს.

1998 წელი

ფრაგმენტები საბერძნეთიდან გამოგზავნილი წერილებიდან...

ქართველების ბედი უცხოეთში...

ქართველი ერის ტრაგედიად იქცა ქართველი ახალგაზრდების, განსაკუთრებით, გოგონების მასიური გასვლა საქართველოდან უცხო ქვეყნებში სამუშაოდ. ისინი მიდიან ოჯახებში მოსამსახურეებად, ძიძებად, მოხუცების მომვლელებად, დამლაგებლებად და... აუხდენელი დარჩა ლამაზი ოცნებები...

ჩემი მეგობრის ოჯახში წავაწყდი საბერძნეთიდან გამოგზავნილ წერილებს, რომლებშიც აღწერილია ახალგაზრდა გოგონას თვალით დანახული ქართველთა ყოფა უცხო მხარეში, მათი სულიერი განცდები...

გადაწყვიტე, გამომექვეყნებინა ფრაგმენტები ამ წერილებიდან, რაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება საზოგადოებისათვის განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც მომავალში თვითონაც აპირებს სამუშაოდ წასვლას.

„მოკითხვა შორეული საბერძნეთიდან... უკვე ძალიან მენატრებით... ჩამოსვლის პირველივე დღიდან ვიგრძენი, რა ძნელი ყოფილა სამშობლოდან შორს ყოფნა. მაგრამ იმის შეგნება, თუ რა მნიშვნელოვანი მისიით ვიმყოფები აქ (დახმარება გავუწიო ჩემს ოჯახს) მაძლიერებს სულიერად.

ავტობუსით მგზავრობა მართლაც დამქანცველი გამოდგა, თუმცა საინტერესოც იყო. ბევრი ლამაზი ქალაქი გავიარეთ ჯერ თურქეთში, შემდეგ კი საბერძნეთში. განსაკუთრებით ლამაზი იყო ღამით, უამრავი მოციმციმე შუქით განათებული და გაბდღვრიალებული ქალაქის ქუჩები, კაფეები... უკან ხომ ჩაბნელებული და წყვდიადით მოცული საქართველო დავტოვე.

როგორც კი ავტობუსი დაიძრა, ყველას ძალიან აგვიჩუყდა გული, დიდი ხნით ვტოვებდით თბილისს და ვინ იცის, რა გველოდა საბერძნეთში...

ოთხი დღე დავყავით გზაში... გულისწასვლამდე მოსაბეზ-


რებელი იყო საბაჟოზე საათობით დგომა და საბუთების შემოწმება. საბერძნეთის საბაჟოზეც დიდხანს გაგვაჩერეს. მგზავრებს სათითაოდ იძახებდნენ უფროსთან და ეკითხებოდნენ, ვისთან მიდიოდნენ და რამდენი ხნით (რაც ძალიან დამთრგუნველი იყო). თურმე მშვენივრად იცოდნენ, რომ ყველა სამუშაოდ მიდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ათენში... მეორე დღეს, დილიდანვე გავედით ქალაქის დასათვალიერებლად. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო საოცარი სითეთრე. საბერძნეთი თეთრი ფერის ქვეყანაა, თეთრია ათენიც... თეთრი ხომ ღვთიური ფერია, რომელიც თითქოს ზეციურ სიწმინდეს აზიარებს ადამიანს და რაღაც არაჩვეულებრივ განწყობას ქმნის. აქ თეთრია შენობები, სადარბაზოები, ოთახები, კიბეები და იატაკი თითქმის ყველგან თეთრი მარმარილოსია... რაც ძალიან შთამბეჭდავია და ძალიან უცხო.

განსაკუთრებული ბრწყინვალებით (არ შემიძლია სხვა სიტყვით გამოვხატო) გამოირჩევა გარეუბნები, სადაც, როგორც წესი, მდიდრები ცხოვრობენ. ძალიან მდიდრული სახლებია აქ, ქუჩები - წყნარი, მწვანეში ჩაფლული, თითქმის არ არის მოძრაობა, მანქანა იშვიათად თუ გაივლის. სახლები თეთრია, სახლების აივნები კი ყვავილებშია ჩაფლული. ზოგიერთი სახლი ანტიკური სასახლის სტილშია აშენებული. ადვილად ვერ გასცდები ასეთ სახლს. გაოგნებული, მოჯადოებული შესცქერი ამ სილამაზეს.

ქალაქის ცენტრში მოსახლეობის ღარიბი და საშუალო ფენა ცხოვრობს. აქ დიდი მოძრაობაა, მტვერი, ხმაური, გარეუბნებთან კონტრასტული სხვაობაა. ამათგან სრულიად განსხვავებულია ქალაქის ძველი უბანი, რომელიც ძალიან ჰგავს ძველი თბილისის ქუჩებს. ერთ-ერთ ქუჩაზე მოკალათებულან ჰიპები, რომლებიც უკრავენ სხვადასხვა საკრავზე, თანაც თავიანთ ნაკეთობებს და მეტად ორიგინალურ სამკაულებს ყიდიან. ძალიან კოლორიტული და საინტერესო ადგილია. აქედან ვიწრო ქუჩებით ადიხარ აკროპოლზე, ათენის ყველაზე ღირშესანიშნავ ადგილზე. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც

შეიძლება ამაღლებული განწყობა შეგექმნას, თავი დააღწიო უმძიმეს ყოფით პრობლემებს და ზევიდან გადმოხედო მთელ „სამყაროს,“ რასაც თანამედროვე საბერძნეთი და იქ მოქცეული უამრავი უსიამოვნება ქმნის.

საოცარ შვებას გრძნობ, როდესაც აკროპოლისისაკენ მიმავალ ქუჩას გაუყვები. მართლაც საოცარი გრძნობაა, როცა ფეხს ადგამ იმ ადგილებში, სადაც ოდესღაც ისეთი ბუმბერაზები დააბიჯებდნენ, როგორებიც იყვნენ სოკრატე, არისტოტელე... არეოპაგის მთიდან გრანდიოზული და უკიდეგანო სივრცე იშლება თვალწინ. მთელი ათენი (ეს უზარმაზარი და თეთრად მოელვარე ქალაქი) ხელისგულზე მოჩანს. აქედან უკვე უმნიშვნელოდ გეჩვენება ქართველების გულისტკივილიც, მათი საყვედურებიც, მოსამსახურის ადგილის შოვნის გაშმაგებული სურვილი და სხვა დანარჩენიც. აქ ადამიანმა შეიძლება იფიქროს მხოლოდ მაღალ იდეალებზე... საოცრებაა, რომ ამ უდიდესი კულტურის მქონე ერიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. არაფრით ჩამოჰგვანან დღევანდელი ბერძნები თავიანთ შორეულ



ათენი. აკროპოლისი.

წინაპრებს. იმ დიდებული წარსულის კვალიც არ ეტყობათ, მაინც სად გაქრა ყველაფერი... რაც უფრო დიდ სიმაღლეზე ადიხარ, ჩამოვარდნის საშიშროებაც მეტია და უფრო მეტადაც დაიმსხვრევი... სწორედ ასეთი გრძნობა მიჩნდება ბერძნების მიმართ.

აქვე მახსენდება კოტე მაყაშვილის არაჩვეულებრივი სიტყვები: ,,არ არსებობს ძველი საბერძნეთი, მაგრამ თქვენ ნათლად ხედავთ ცათამდინ აგრგვინებულს ბრმა მგოსანს, ჰომეროსს, რომელმაც საუკუნეებს უანდერძა ძველ ბერძენთა და მათ ღმერთთა კოლოსალური ფიგურები. რად გვიყვარს საბერძნეთი? რამ აიძულა დიდებული ბაირონი სიცოცხლეც კი შეეწირა მისთვის?... ეს იყო ჰომეროსი, ესენი იყვნენ ფიდიასი, სოფოკლე... ეს იყო საბერძნეთის ხელოვნება“. მათი სული აკროპოლზე ტრიალებს დღესაც, აქ იგრძნობა მხოლოდ საბერძნეთის ძველი დიდება, ამიტომაც მიყვარს აქ სიარული...

დღისით პარკში დავდივართ ხოლმე, იქ შედარებით გრილა, ქალაქის ქუჩები კი ამ დროს იწვის სიცხისაგან. არაჩვეულებრივად მოვლილი პარკია, რამდენიმე ტბა, გამჭირვალე ცისფერი. შიგ იხვები, ზოგან თეთრი გედები დაცურავენ. ტბის გარშემო, ხეების ჩრდილში დგას სკამები, სადაც უცხოელი დამსვენებლები სხედან ხოლმე, უმეტესად ფრანგები და შორიდან ყურტულივით ჩაგესმის მათი ფრანგული საუბარი. ხან მეფის სასახლის ბაღში ვსხედვართ, ენით აუწერელი სილამაზეა. პარალელურად სამსახურსაც ვეძებთ. შედარებით ,,კარგ ადგილს“ ველოდებით, ჯერჯერობით კი სასტუმროში ვცხოვრობ. ახლა ღამის პირველი საათია, თბილისის დროით - სამი საათი, სასტუმროს ნომერში ვარ და ვწერ ამ წერილს. დილით ავტობუსს უნდა გამოვატანო თბილისში. ძალიან დაღლილი ვარ და ვერ ვალაგებ აზრებს. კიდევ ბევრი შეიძლებოდა დამეწერა, მაგრამ დანარჩენი შემდეგ იყოს...“

,,როგორა ხართ? ძალიან მენატრებით. წარმომიდგენია, როგორ მდგომარეობაში იმყოფებით მაგ უმძიმესი პირობების გამო. მაგრამ რას იზამ, ,,ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა

ვით ქვიტკირსა“. არ იფიქროთ, რომ აქ ძალიან დალხენილად ვცხოვრობთ, რა თქმა უნდა, ქართველებს ვგულისხმობ. ყველგან ხელს გკრავენ, არავის სჭირდები. უცხოელებს თან ჰყვებიან. ჩვენ, როგორც მუშა ძალას, ისე გვიყურებენ. „ქართველი“ და „მოსამსახურე“ ეს ორი სიტყვა აქ თითქმის უკვე სინონიმად იქცა.

ქალაქის ცენტრში, ეკლესიასთან, პატარა მოედანია, „ომონია“ ჰქვია. ეს ქართველების თავშეყრის ადგილია. ყოველთვის საშინელი ყაყანია და ხალხმრავლობა, ვის აღარ ნახავ აქ და რას არ გაიგებ...

ქართველთა მეორე თავშეყრის ადგილი არის სასტუმრო „ომონიასთან“ ახლოს, სადაც ძირითადად ქართველები ცხოვრობენ (ეს ყველაზე იაფი სასტუმროა. აქ ისინი ცხოვრობენ, ვინც ახალი ჩამოსულია ან ვისაც ჯერ არ უშოვია სამსახური).

კვირაობით კი ათენში მომუშავე ქართველებიც დადიან აქ და მთელი სასტუმრო მათი შეძახილებით და ხმაურით ივსება. არ შემიძლია ამის შესახებ ორი სიტყვით მაინც არ მოგწეროთ. ძალიან ღარიბი სასტუმროა, ხის ძველი კიბეები საშინლად ჭრიალებს ყოველ ფეხის დადგმაზე. საერთო სამზარეულოში ყოველთვის ხალხმრავლობაა. აქაურობა სიგარეტის კვამლშია გახვეული. ზოგი ყავას ადუღებს, ზოგი საჭმელს ამზადებს, ზოგი ჩხუბობს, ზოგი ჭურჭელს რეცხავს, მოკლედ, ნამდვილი საგიჟეთია.

ყოველივე ამას აგვირგვინებს სასტუმროს დიასახლისი, მოხუცი ქალი, რომელიც თავისი გარეგნობით და ჩაცმულობით „დათა თუთაშხიას“ ასინეთას მოგაგონებთ. ყოველთვის უკმაყოფილოდ ბუზღუნებს, ყველაფერი აღიზიანებს; თუ რაღაც არ მოეწონა, უეცრად მოგვარდება და დაგიწყებს ბერძნულად ჩხუბს, სულაც არ აღელვებს, რომ არაფერი გესმის. შეიძლება ხელიც გკრას, თუ შეეკამათე (მიუხედავად ამისა, იგი ღიმილს უფრო იწვევს, ვიდრე სიბრაზეს). ასეთივე მოხუცი ქმარი ჰყავს, რომელიც ხანდახან არიას შემოსძახებს მთელი ხმით რომელიმე ცნობილი ოპერიდან და ართობს სასტუმროს

ბინადართ. ამ ბერძენ „ასინეთას“ თავისი რეჟიმი აქვს სასტუმროში დაწესებული, რომელსაც ყველა უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს. საღამოს ცხრა საათზე ჩამოივლის ოთახებს და თუ ვინმე დახვდა სხვის ოთახში შესული, ვაი, მისი ბრალი! კომიკურია თავისთავად ის ფაქტიც, რომ ამ სასტუმროს სახელწოდებაა „პარადისოს“, რაც ბერძნულად „სამოთხეს“ ნიშნავს. ხოლო თუ რამდენად ჰგავს ეს სასტუმრო სამოთხეს, ვფიქრობ, ამ მოკლე აღწერიდანაც ნათლად ჩანს. დარწმუნებული ვარ, კინორეჟისორი ფელინი ამ სასტუმროში არაჩვეულებრივ ფილმს გადაიღებდა. უამრავი ისეთი ტიპია აქ, მის ფილმებში რომ მინახავს.

კვირას, როგორც უკვე ვთქვი, უამრავი ხალხი მოდის სასტუმროში. ადგილი არ რჩება, რომ სადმე ჩამოჯდე. ყველა თავის ამბავს ჰყვება, არის ერთი ჟრიამული. საერთო ჯამში, ნერვიულობა მეტია, ვიდრე სიცილი და გართობა. ისე კი, ქართველები ერთმანეთს რომ არ ვაძლებინებდეთ, აუტანელი იქნებოდა აქ ყოფნა. ასე გადის დღეები. ბევრი უსიამოვნო ამბავი ხდება, ზოგჯერ-კარგიც. გაძლებაზე ვართ... მიუხედავად ამისა, ბევრსაც ვიცინით. ხომ იცით ქართული ხასიათი, გაჭირვებაშიც იცინი. ხდება კურიოზები, თანაც ზოგი ისე ჰყვება თავის გაჭირვებას, სიცილით მოკვდები.

ერთ-ორი კურიოზი მინდა მოგწეროთ, რომ ცოტა გამხიარულდეთ. ერთი ქალი ბებიებს უვლიდა, რამდენთანაც მივიდოდა სამუშაოდ, ორ-სამ კვირაში კვდებოდნენ. სამოთხი შემთხვევა ჰქონდა ასეთი.

ერთ-ერთ ბებიასთან მუშაობისას ქალს შეატყობინეს ბებიას სიკვდილის ამბავი (რომელიც საავადმყოფოში იწვა). ქალმა, ეს რომ გაიგო, იფიქრა, პატივს ვცემო და სანამ ოჯახის წევრები მოვიდოდნენ, ქართული წესის მიხედვით, პანაშვიდისთვის მოაწყო ოთახი. ავეჯი და სხვა ნივთები გაიტანა მეორე ოთახში, სკამები კედელთან ჩაამწკრივა, მაგრამ პატივისცემა ძვირად დაუჯდა. თურმე აქ ასეთი წესი არა აქვთ. შინ დაბრუნებული დიასახლისი საშინლად გაუბრაზდა

„მეტიჩარა“ მოსამსახურეს და სახლიდან დაითხოვა.

ერთი ძალიან უბრალო, სოფლელი ქალი მუშაობდა ოჯახში. ბერძნული არ იცოდა. ოჯახში კი ხშირად ეძახდნენ გრიგორა, გრიგორაო („გრიგორა“ ბერძნულად ნიშნავს „ჩქარა“). ქალმა ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა და მერე ქართველებთან დაიჩივლა, ყოველ წუთში ვიღაცა გრიგორით თუ გრიშათი მემუქრებიან, მეხი მაგათ დავაყარეო.

ერთ ოჯახში მომუშავე ქალი თავის მოხუცს ხშირად სწყევლიდა და ლანძღავდა ქართულად. მოხუცი დაინტერესდა, ჩაიწერა ეს სიტყვები ბერძნული ასოებით და შემდეგ სხვა ქართველებისათვის უკითხავს მნიშვნელობა. როდესაც უთხრეს, რასაც ნიშნავდა, მაშინვე სახლიდან გააგდო „უმადური“ მოსამსახურე.

აი, ასე გადის კვირა დღე. მეორე დღიდან კი იწყება კლავ სამუშაოს ძებნა. სპეციალური სამუშაო ფირმები ივსება ხალხით სამსახურის მოლოდინში და ეს მოლოდინი გრძელდება საათობით, დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე და ზოგჯერ თვიდან თვემდეც კი... უმრავლესობას ასე ურთულდება. ხუთ და ხანდახან მეტ ოჯახს იცვლიან, ყველასთან ვერ გაჩერდები და ყველაფერს ვერ აიტან, ფიზიკურად თუ მორალურად.

თქვენ რომ ამ ქართველების სახეები დაგანახათ, იტირებდით: დაქანცული, ფერდაკარგული, ნატანჯი, განერვიულებული. მათ შორის ბევრი ისეთი ქალია, გული მოგიკვდება და გაგიკვირდება - კულტურული, დარბაისელი (სწორედ მაშინ მგონია ხოლმე თავი გადასახლებაში, როცა მათ ვუყურებ).

ერთ-ერთი მათგანი მართლაც ნამყოფია გადასახლებაში, ახლა კი აქ იხდის ნებაყოფლობით „სასჯელს“.

ერთია ძალიან ლამაზი ქალი, ასაკოვანი, პროფესორი, ენების მცოდნე, კულტურული და დახვეწილი. კიდევ რამდენიმე სხვაც და აქ მეტად დამამცირებელ სამუშაოს ასრულებენ, მონურად ემსახურებიან ბერძენთა ოჯახებს რაღაც ორი გროშისათვის. ერის დიდი ნაწილი საბერძნეთშიც, ისევე როგორც ზოგიერთ

სხვა ქვეყანაში, არის უკულტურო, გაუნათლებელი, უხეში, დაუნდობელი, მხოლოდ ჭამა-სმაზე და დროსტარებაზე გადასული, ყოველგვარ ინტერესს მოკლებული და სულიერებისაგან დაცლილი... ეს ყოველივე კი საბერძნეთის ინტელექტუალური და კულტურული ფენის დიდ აღშფოთებას და გულისტკივილს იწვევს (მათი უმრავლესობა სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფება ემიგრაციაში).

ათენის მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენს პროვინციიდან ჩამოსული გამდიდრებული ფენა. ქართველებს ძირითადად მათთან უხდებათ ურთიერთობა, რაც ხდება მიზეზი ამდენი შეურაცხყოფისა და დამცირების. ისინი ქართველებს ნამდვილ ველურებად თვლიან, ისიც კი უკვირთ, რომ ჩვენთანაც არის ხილი, ბოსტნეული, ტელევიზორი, მალაზია და, საერთოდ, ყველაფერი, რაც კი ცივილიზებულ ქვეყანას გააჩნია. ერთი სიტყვით, თითქოს პატივს სცემენ ქართველებს და უთანაგრძნობენ, მაგრამ მაინც არაფრად მიაჩნიათ. ქართველი ყველაზე უუფლებოა აქ, ისევე როგორც ყველგან, საკუთარ სამშობლოშიც კი. ასე რომ, ეს ნაცნობი მდგომარეობაა ჩემთვის, არაფერია ახალი. აქაც უფრო მეტად უფრთხილდებიან რუსს, ამერიკელს, ინგლისელს, ფრანგს...

ამგვარად, ქართველ მოსამსახურეებს აბუჩად იგდებენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე და ისინიც ითმენენ, იმიტომ, რომ სხვა გზა არა აქვთ. აქაურ სიტუაციას მე ზოგადად უფრო განვიცდი, ვიდრე კონკრეტულად ჩემსას. ჩემი გაჭირვება ზღვაში წვეთია.

ამ ქართველების ზღვაში ბევრი ისეთიც არის, რომელიც თითქოს ამ საქმისთვის არის დაბადებული. ისეთი გატაცებით გიამბობენ თავის „ოჯახებზე“ (სადაც მუშაობენ) და დიასახლისებზე ათასგვარ წვრილმანს, რომ გაგიკვირდება. ზოგი ძალიან კმაყოფილია, რომ ამა თუ იმ ოჯახში კარგად ექცევიან, ტანსაცმელსაც ჩუქნიან და სხვა ნივთებსაც. თავს კი სულაც არ გრძნობენ დამცირებულად.

ტყუილად არ უთქვამს გრიბოედოვს: «Глупым счастье от безумья, умным горе от ума».

ამ კატეგორიის ხალხს რაც უნდა უთხრა, ყველაფერს გააკეთებენ ფულის გულისათვის. საქმის არ ეშინიათ, სულიერი განცდები კი ამათ არ აწუხებთ. კარგად მოერგნენ აქაურობას და ყოველ კვირა დღეს უშველებელ ფუთებს გზავნიან საქართველოში, თავის ოჯახებში.

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, უკეთეს სასტუმროში ვარ. ველოდები ახალ სამუშაოს. მირჩევნია ისეთი სამუშაო, დილით მივიდე და საღამოს წამოვიდე. ოჯახში ჩაკეტვას ველარ შევძლებ. საშინელი გრძნობაა, როდესაც გარეთ გასვლის უფლება არა გაქვს მთელი კვირა. მხოლოდ ერთი დღე გაქვს თავისუფალი (კვირა დღე). ამ შემთხვევაში ისე ნელა გადის დრო, ერთი წუთი საუკუნედ გეჩვენება. სტუმრადაც გაგიჭირდება სხვის ოჯახში დიდხანს ყოფნა, არამცთუ მოსამსახურედ. სულ საათს უყურებ. აი, ხუთი წუთი გავიდა, კიდევ ხუთი, კიდევ... და ასე ყოველი დღე, შეიძლება გაგიჟდე. ასეთ დღეშია ყველა, კვირას, საღამოს ტირილით ბრუნდებიან თავ-თავის ოჯახებში.

ისე, მაინც საინტერესოა აქ ცხოვრება. ყოველდღე სიახლე. არ იცი, რა იქნება ხვალ. ადამიანისთვის, ვისაც უყვარს თავგადასავლებით ცხოვრება, მაგალითად ჩემთვის, მიუხედავად სირთულეებისა, აქ ყოფნა სჯობს, ვიდრე მანდ უშფოთველი და მდორე ცხოვრება ნახევრად ჩაბნელებულ ქალაქში. მართალია, ძალიან მიჭირს აქ, ამ უცხო მხარეში, განსაკუთრებით სულიერად, მაგრამ სხვა მხრივ, რაც აქ ჩამოველი, განუწყვეტლივ მოძრაობაში ვარ, სულ რაღაც ხდება, მივდივართ, მოვდივართ, ველაპარაკებით, ვფიქრობთ, ვსწავლობთ ცხოვრებას... მანდ კიდევ ვიჯექი უმოქმედოდ და არ ვიცოდი, რა მეკეთებინა.

საერთოდ, ჩემი ცხოვრება ასე წარმომიდგენია. თითქოს გაუხედნავ, ფაფარაშლილ ცხენზე ვზივარ და დამაქროლებს ალმა-დალმა, მე წინააღმდეგობასაც ვერ ვუწევ, ჩემზე ძლიერია. ამიტომ მივყვები მის ნებას. მხოლოდ თავისით თუ შეჩერდება ხანდახან, როცა დაიღლება. ცოტა ხანს ყველაფერი დაწყნარდება, მერე ისევ ძალას მოიკრებს, გადაირევა და მეც გამაქროლებს.

ასეთი გრძნობა იმიტომ გამიჩნდა, რომ არაფერი ხდება ჩემი გეგმით და ისე, როგორც მგონია, მოვლენები თავისით ვითარდება, ჩემი ყოველგვარი ცდის მიუხედავად. ამიტომ არ ვიცი, რა იქნება ხვალ...“

„როგორა ხართ? როგორც ტელეფონით საუბრისას შეგატყვეთ, არა გიშავთ. მეც არა მიშავს რა. რა თქმა უნდა, ისეთი აღტაცებული აღარა ვარ, როგორც თავიდან და არც ისეთ ლამაზ ფერებში აღარ მეჩვენება ყველაფერი, მაგრამ რას იზამთ. ეს არის ნამდვილი, რეალური ცხოვრება, რომელიც არასოდეს მინდოდა დამენახა. ახლა კი ძალაუნებურად მიწევს ამ ცხოვრებასთან შეგუება. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ვიღაცის მოსამსახურე ვიქნებოდი, მით უმეტეს, რომ ამ „თანამდებობის“ შოვნას პროტექცია, გარკვეული ცოდნა და განათლება დასჭირდებოდა. კარგ ოჯახებში ძალიან მაღალი დონის მოსამსახურეებს ითხოვენ, უცხო ენების კარგ მცოდნეს, ზოგი ითხოვს მუსიკოსს, ზოგი მხატვარს და სხვ. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მაღალი დონის მოსამსახურე შეიძლება არსებობდეს. ბევრი აქაური ქართველი მოსამსახურე ყველაფრით სჯობს იმას, ვისაც ემსახურება, სწორედ ეს არის ტრაგიკომედია.

ბერძნები საკმაოდ ნერვიულები არიან. ასეთ პირობებში რა ანერვიულებთ, გაუგებარია, განსაკუთრებით ქალები. თუმცა ყურადღებიანებიც არიან, ქუჩაში შეკითხვას თუ მისცემ, ათი კაცი ერთად გიპასუხებს.

ეშხიანი და გამომწვევი ქალები ჰყავთ, ძალიან თამამი. ამდენი ხანია აქა ვარ და ჯერ მორიდებული ბერძენი ქალი არ მინახავს. ძალიან მიღებულია მოტოციკლეტით სიარული. ქუჩაზე რომ გადადიხარ შუქნიშანზე (ისეთი ფართო ქუჩებია, როგორც თავისუფლების მოედანი თბილისში), მშიერი მგლებივით ღრინავენ ხოლმე გზაზე. მთელ სიგრძეზე ჩამწკრივებული მოტოციკლეტები, როგორც კი შუქნიშანი აინთება, ელვისებური სისწრაფით იძვრებიან ადგილიდან და ქარივით მიჰქრიან. მეტად უჩვეულო სანახაობაა. გოგონებიც

დაჰქრიან მოტოციკლეტებით, გაშლილი გრძელი თმით, ალებს ჰგვანან.

მე ბერძენს მამსგავსებენ გარეგნობით, ამიტომ ქუჩაში პოლიციას არხეინად და ამაყად ჩავუვლი ხოლმე. მაშინ, როცა სხვა ქართველები აქეთ-იქით იმალებიან (ქართველებს ხომ მოსამსახურედ მუშაობის ოფიციალური უფლებაც არა აქვთ აქ). უამრავი ახალგაზრდა დადის ქუჩაში, თვალშისაცემად ლაღი და ბედნიერი სიცილითა და შეძახილებით. ნეტავ ჩვენ როდის გავიცინებთ ასე ლაღად...

რაც შემეხება მე, ახლა უკვე მაქვს სამუშაო. ნებისმიერზე არ შემეძლო წასვლა. ზოგ ოჯახში ნამდვილი კურტნის მუშა სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია მოსამსახურეობა, განსაკუთრებით ფსიქოლოგიურად, სამაგიეროდ, აქ ჩამოსული ქართველი გოგონები დიდ გამოცდილებას იღებენ. იძულებით ეჩვევიან საქმის კეთებას, მოთმინებას, დამოუკიდებლობას, რაც შემდეგ თავის ოჯახებში გამოადგებათ. ეს მეც მეხება.

ახლა ქუჩებში ყველაფერი მორთულია საშობაოდ. ისეთი სილამაზეა, განსაკუთრებით ღამით, რომ გაოცდები. საზეიმო განწყობილებაა მთელ ქალაქში, ვნახოთ, როგორი გვექნება შობა.

ამას შემდეგ წერილში მოგწერთ... ჩემზე არ ინერვიულოთ. განსაკუთრებით შენ, დედა. გული დამიმძიმდა, როცა მომწერე, ეზივარ და ხმამაღლა გელაპარაკებიო. ოღონდ ნუ ინერვიულებ და როგორმე მოვერევი ჩემს პრობლემებს. რას იზამ, ძნელია ცხოვრება. რომ მეუბნები, ჩამოდიო, მანდაც რას გავაკეთებ. უნდა ვიყო უფულოდ, უსამსახუროდ და კიდევ ზედმეტ ტვირთად დაგაწვეთ კისერზე. ტელეფონით საუბრისას, გული ამიჩუყდა თქვენი ხმა რომ გავიგონე. ძალიან მომენატრეთ, მაგრამ მოვითმენ, ისევე, როგორც სხვები ითმენენ.

ჯერჯერობით ვერ წამოვალ. ასე ადვილად ვერ დავყრი ფარ-ხმალს. არ მინდა ცხოვრებამ დამჯაბნოს. თანაც ხელცარიელი ვერ დავბრუნდები. ისე იმედია, ძალიან არ

დავაგვიანებ ჩამოსვლას.
ვფიქრობ, გაზაფხულზე ჩამოვალ"...
გკოცნით ბევრს.

1995 წელი

მე სამყარო მქონდა

„...ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები,
დამტოვა და ღრუბლებს გაჰყვა ყოდა...
ღრუბლებს გაჰყვა... სად ვეძებო, სადა?!"

ანა კალანდაძე

ერთფეროვანი და ნაცრისფერია ზამთრის დღეები. ჩვენი ცხოვრებაც ამ დღეებს ჰგავს, მდორედ მიედინება. 25 იანვარიც ასეთივე გათენდა. მაგრამ ამ დღეს მომხდარმა ამბავმა შესძრა მთელი ქალაქი და საზოგადოება კიდევ ერთხელ ჩააფიქრა იმაზე, რომ „ამაოება ამოებათა, ყოველივე ამაო." (ეკლესიასტე).

ამ დღეს ტრაგიკული შემთხვევის გამო, ჩვენგან წავიდა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება, შორენა შამათავა. რომელმაც თან წაიყოლა მთელი თავისი სამყარო, შვილები, მათი ბებია და ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მის შემდეგ დარჩენილიყო.

შორენა მზის სხივს მოგაგონებდათ, თეთრი, ლამაზი პირისახის, ოქროსფერი თმით და მუდამ ღიმილიანი, რომელიც ყველას სამყოფ სითბოს და სიყვარულს აფრქვევდა ირგვლივ. სიცოცხლით სავსე, ყოველთვის ხალისიანად გამოიყურებოდა. თუმცა ამის მიღმა მაინც იგრძნობოდა დიდი სულიერება და სიღრმე. მასთან ურთიერთობა ბედნიერება იყო. შორენა ყველას



შორენა შამათავა

განსაკუთრებულად უყვარდა. ის უეცრად, მზის სხივივით გაქრა.

გოგა გოგნიაშვილის ლამაზი ოჯახი, როგორც ბევრი ჩვენგანის, ახალ წელს შეხვდა ახალი სურვილებით, ახალი იმედებით. ვინ იფიქრებდა, რა შემზარავ აღსასრულს უმზადებდა მათ ბედისწერა. ვინ იფიქრებდა, რომ ორი ოქროსფერთმიანი გოგონას, თიკოს და ნინუცას სიცოცხლე სულ მალე დასრულდებოდა, რომ ეს საახალწლო დღეები უკანასკნელი იქნებოდა მათთვის. ცხოვრება თაობათა ცვლაა. ამ შემთხვევაში კი სამი თაობა ერთად წავიდა.

როდესაც ადამიანი მიდის ამ ქვეყნიდან, რჩება მისი პირადი ნივთები, რომლებიც თითქოს მის მაგივრად აგრძელებენ ცხოვრებას, მათ მრავალი მოგონება უკავშირდება და ამდენად ძვირფასი ხდება ახლობლებისათვის. ამ შემთხვევაში კი ასე არ მოხდა. სიკვდილსაც ჰქონია თავისთავადობა. ამ სიკვდილმა ყველაფერი თან წაიღო. მისი ბინისგან მხოლოდ გაშავებული და დამწვარი კედლებიღა დარჩა. მაგრამ შორენა უკვალოდ მაინც არ წასულა. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების მეხსიერებაში, უსაზღვროდ ნიჭიერი, ღიმილიანი გოგონა გამოირჩეოდა თანაკლასელებში კარგი სწავლით და განსხვავებული ბუნებით. ასეთივე იყო მისი სტუდენტობა, ასეთი იყო შინ თუ გარეთ, ოჯახში თუ სამსახურში. ლიტერატურის მუზეუმში მუშაობდა. პროფესიით ხელოვნებათმცოდნე იყო. დიდ მომავალს უქადდა თავისი ერუდიცია, განათლება და ნიჭიერება. დიდი გეგმები ჰქონდა. მაგრამ ოჯახს მოეკიდა და ბავშვებს ზრდიდა, მათი ცხოვრებით ცხოვრობდა. ქუჩაში ხშირად დაინახავდით, როგორ

მიარბენინებდა შვილებს ხან სკოლაში, ხან სად და ხან სად... სულ სადღაც ჩქარობდა... ყველაფრის მოსწრება უნდოდა... თითქოს გრძნობდა, რომ მალე წავიდოდა ჩვენგან.

ჩემო შორენა! ვერც კი წარმოიდგენ, როგორ დამწყვიტე გული შენი წასვლით, ვიცი ძალიან დააკლდები ყველას. უფერული იქნება უშენოდ ჩვენი შეხვედრები, დაბადების დღეები და ყოველდღიური ცხოვრებაც.

შორენა, ჩემთან ინახებოდა შენი ლექსების რვეული, რომელიც მეათე კლასში მოამზადე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციისათვის. თექვსმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სკოლა დავამთავრეთ, თექვსმეტი წლის ვიყავით მაშინ. ბედნიერი ვარ, რომ შენი ხელით გადაწერილი ლექსები დამრჩება სახსოვრად.

გადავწყვიტე გამომექვეყნებინა ეს ლექსები, მინდა სხვებმაც იცოდნენ როგორი პოეტური სულის ადამიანი იყავი.

შუქივით გამოანათა ამ ჩანაწერებმა, რომლებიც აღსავსეა პატარა გოგონას ოცნებებით, სიყვარულით, პატრიოტული გრძნობით, ბუნების სათუთი განცდით. ჩვენ ვხედავთ, რამხელა სამყარო მოჰქონდა მას თავისი მხრებით, როდესაც დიდ ცხოვრებაში შემოაბიჯა...

მისი ოჯახის ეს საზარელი დასასრული ჩვენი სინამდვილის კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელია...

ნაილა ხორნაული
თანაკლასელი

მე მიყვარს...

არ მიყვარს ნაცრისფერი, ბინდს რომ მოგაგონებს,
არც რუხი ფერი - ღამდება თითქოს,
ამ ცის ქვეშ, ამ მზის ქვეშ გულს რა დააღონებს?!
აქ უკვდავებაა და ულევი სითბო,
მე მიყვარს აისი ცეცხლწაკიდებული,
ხურმათა ქარვასლები ქარვად დარხეული,
მწვანე ხეივნებით დაფნარი ქებული
და ბროწეულები ბაგედახეული.
მოქნილი თხილთა ტყის ჩუმი შარიშური,
სადღაც შაშვის სტვენა, დილით ალიონზე,
ტირიფთა დამორცხვება გრძნობაშესაშური,
აბედის დაკვესება ციცქნა ყალიონზე,
ქათმების კრიახი და სოფლის შეძახილი,
ფრთოსანთა სიფხიზლე, დილით ჟრიამული,
ღონიერ წვივებზე შემდგარი ნახირი,
ყველაფერს, რასაც კი დაიტევს მამული,
მიყვარს და ვენთები ალუბლის ფერებად,
ლექსად ვიძირები და ლექსებში ვხმიანობ,
შენ გამრჯე მარჯვენას მზეც კი ეფერება
მზეთა საუკუნის ადამიანო!

ზურაბ შამათავა

* * *

ფეხქვეშ გათელილ ფოთოლთა წყებას
ფეხს დავადგამ და ავიელი ბილიკს,
სადღაცა ჩუმად გულიც დამწყდება
და უცნაურად შეიგრძნობ ტკივილს...
და მაინც მიყვარს ეს ფოთოლცვენა
აჭრელებული ნაირფერებით,
მიწაზე დაყრილ ფოთოლთა გროვას
ზოგჯერ ბავშვივით მოვეფერები...


ჩანახატი სოფლად

იყო დაფნის ტყე... თხმელის ხეზე სურო
გართხმული,
ბალახისფერში ჩაძირული ჩუმი დაისი,
ციცინათელთა მაყრიონის შუქი ართქმული
ატმის ყვავილში ნაჯერები თეთრი აისი...

იყო ბინდი და იყო საღამო,
როგორც სიზმარი ისე საამო,
იყო ვარდების შუკა ხვეულა
ჩემს ოდა-კარს რომ შემოხვეულა.

და იყო ფერთა ხელჩაჭიდება,
სხივებდალვრილი ცეცხლთა კიდება,
მზისა და მთვარის შეტორტმანება,
როგორც ზღაპრული მწვანე ზმანება...

იყო დაფნის ტყე... თხმელის ხეზე სურო
გართხმული
ბალახისფერში ჩაძირული ჩუმი დაისი,



ციცინათელთა მაყრიონის შუქი ართქმული,
ატმის ყვავილში ნაჯერები თეთრი აისი.

* * *

ეს იყო სიზმარი... ვარდებს შლიდა მაისის დილა..
და დედის გულმა უცაბედად შეწყვიტა ფეთქვა...
მივედი მასთან თავდახრილი... ვაკოცე ფრთხილად...
რა უნდა მეთქვა?



გიგი ხორნაული და ნანა კოტეტიშვილი



ლელა ხორნაული და მირიან გიგინეიშვილი



ელისო კოტეტიშვილი და
ალეკო შალუტაშვილი



ნინო ალავიძე და გიორგი შალუტაშვილი

ძაფთა ფერადხატება

ნათია ხორნაულის ფერწერა

ქარგავდა... ქსოვდა... ფარდაგიც სცადა, გაუძნელდა... ხევსურული ჯვრების და ორნამენტების ფერთაშეხამება იზიდავდა... ეძიებდა... ფერად-ფერად ძაფებს აგროვებდა, უხამებდა-ფერები მეტყველებენ, ერთმანეთს ელტვიან... ფერი ფერს გადაესკვნება, ახალ ფერს ქმნის სხვა ელფერს საიდუმლოც თავისი მოაქვს, სიტყვა და განცდა...

ბოლო ათეული წლის უსამართლობა და გაჭირვება, გარშემომყოფთა სევდა მეოცნებე ბუნების, ლაღი სწრაფვის ფრთებს უკვეცავდა. გული ეწურებოდა და შავი ფერით იმოსებოდა სხვაგვარად არ შემიძლიაო...

შავ ძაფს სხვადასხვა ფერი შემოუწყო და საოცრება როგორ არ უნდოდა შავს შაობა, მწუხრი... თავად მიესწრაფა და შეირწყა ფერადი, ნათელი ფერები... ამეტყველდა თითქოს...

ღამეც საიდუმლო სწრაფვაა მთვარის... კანთიელი შუქის ძიება... გახსოვს რუსთაველი? კუპრივით ბნელ ღამეს ნესტანის სილამაზე რომ გაანათებს? ...„უმთენარო ღამე“ ასეთი სწრაფვა მთვარის ნათლისა... მოგონება ცისფერი... ზამბახისფერი... სულაც იისფერი.

„იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ“... ვარდისფერი?...

და უცებ კანთიელად ამოაშუქა ძაფთა ფერადხატებამ „გალაკტიონის სევდას“ დავარქმევ... ასე შეიქმნა პირველი სურათი - შალის ფერად-ფერადი ძაფების და სულის იდუმალი ხმით... მერე დაენანა ფერებში გაცხადებული ხილვის დაკარგვა და ჩარჩოში, მინის ქვეშ საიმედოდ მოათავსა... კედელი დაამშვენა, ოთახში სხვაგვარი სითბო და სიმშვიდე შექმნა. იუკდა და დიდხანს თვალს ვერ აცილებდა...

მეორე დღეს ისევ ფერებმა იხმეს... სხვა ფიქრი და შთაგონება, სხვა განწყობა ფერებმა ახალ მეტყველებად აქციეს.

შენი სევდა რაა?! ვინ არ იტანჯა! ტანჯვაც სხვადასხვა ფერია ალბათ... შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე, დღე ნაღვლიანი, ღონემიხდილი... ყვითელი ფერი... ქარით მიმოფანტული ფოთლები... ქალის ხატება... ოცნება? ცისფერი? ამას „შემოდგომა“ ერქვას... ცოდვაა, სხვამაც არ ნახოს! და მეორე სურათმა ოთახში სხვა მადლი და სითბო მოიყოლა... იპოვა! მაგრამ საოცარია სურვილი!... სულ იხმობს თავისთან, თითქოს ფერებიც ელოდნენ ასე ამეტყველებას... სახლიდან გასვლაც აღარ უნდოდა, მშვენიერების წვდომის ბედნიერება განიცადა!... და დაბადების დღეზე მასთან მისულ მეგობრებს დაგვხვდა თითქოს კედლებს შერჩენილი ზამთრის სუსხი - შესამჩნევი სიცივე და სხვა სითბო რომ სძლევდა იდუმალი ფერთამეტყველებით ხატქმნილი სურათებით გავსებული კედლები...

ნათია ხორნაულის ფერწერული ტილოები რა არის? რა საოცარია! მივდივართ ახლოს, სულ ახლოს, მერე შორს, ისევ ახლოს!... საოცარია! რა არის? - ნაქარგია? ფუნჯით? საღებავით? აკვარელი? ... არა... რაღაც სულ სხვაა! და მერე გვიხსნის - ძაფებია, შალის ფერად-ფერადი ძაფები... ეს ზამთრის განცდა... ეს ძველი სასიყვარულო ბარათის მოგონება, ეს მეგობრის სევდა, ეს ბავშვის თვალებით... გვახარა, რომ ყველას ძალიან მოსწონს... იმათაც, ვისიც ძალიან სჯერა - გოგი ოჩიაური, თენგიზ მირზაშვილი, გია ბულაძე... ნ ა თ ი ა ს პიროვნებითა და ფერწერით აღტაცებულმა მოსწავლემ კი ბევრი რჩევის მიუხედავად ახლობლებისა, უცნაურად დაიჟინა - ფრნგ ქალბატონს მხოლოდ ნათიას სურათს თუ ვაჩუქებო! ასე ესტუმრა ნათია ხორნაულის სურათი პარიზს... იმ ქალბატონმა კი ბარათიც გამოუგზავნა ნათიას: „უღრმესი მადლობა! თქვენი სურათი ჩემს ოფისში, სამუშაო ოთახში მაგიდის მოპირდაპირე კედელზე მიკიდია და ვერ წარმოიდგენთ, რა ძალას მალევს, შევყურებ ხოლმე დაღლილი და მასვენებს, ახალ ენერგიას მმატებს...“ და ა.შ. მოგვითხრობს ამას გაოცებითა და სიხარულით...

მერე ლექსად, ანდა პროზა ასე, ზეპირად, ძვირფასი სახელები... მოვედით, ნათია ხორნულის დაბადების დღეზე, რომ გვეთქვა რა დიდი სიხარული მოგვანიჭა მისმა დიდებულმა წერილებმა კოტე მაყაშვილსა და ბაბო დადიანზე, ვახტანგ და ლადო კოტეტიშვილების ოჯახსა, თუ საბერძნეთში წასულ თანამემამულეებზე... და დაგვხვდა სხვა საოცრება!

ბევრი იწერება, მაგრამ მის ნარკვევს პირველი სიტყვებიდან ბოლო სიტყვის ფრაზამდე გასდევს გულისხმიერი ხმა, გულში გატარებული სიტყვის მადლი და გამორჩეული წერის კულტურა, ნიჭი და პოეტური სულის სუნთქვა!

ერთ-ერთი კუთხიდან ხევსურული ჯვრებით ნაქარგი კაბა და ჯვრებით ასხმული, მძივებით ნაქარგი თათები, მოჩითული ტანსაცმელი, ჭრელი ფარდაგი წარსულიდან გვიყურებდა თითქოს...

და მაინც იმ წინაპართა ხმად ვიგულე ჩემი დაბეჯითებული ნაფიქრი - ფერთამეტყველების, ქმნადობის სულიერი მადლი იმ ხევსურ წინაპართა და აქეთ მაყაშვილთა და კოტეტიშვილთა ნიჭიერების შერწყმაა!

ოთახში მაინც ვერ გამოემწყვდეოდა და ეძიებს ცხოვრებაშიც... არ უყვარს სხვათა გაკვალულ „ნალახ“ გზაზე სიარული და ველოდებით მისგან საოცარ სიახლეს, სხვათათვისაც გადამდებ სიხარულს!

ლია ჭერეთელი

სარჩევი

დე. მწუხარეთმე იმ ოცნებით და გვიანთი
გვერის. ჩიოტრიოლა ალმაზის შაყრეფი. ნათია
თამარ ერისთავი 3

ძველი ოცახებში. ვახტანგ კოტეტიშვილი 5

„ქიშორები ცხენაჩინინი“ – ლელი კოტეტიშვილი
პრიზიორებს და შემოქმედი 10

ფიქრები შორეულზე.
ვახტანგ კოტეტიშვილის ცხოვრება 31
„სულ სხვით მეცხოვრე“ – კოტე მაყაშვილის
ცხოვრებიდან – 50

„ვაჟკაცებიდან დამშვიდებული სიყვარულის“
შემო ლელიანის ცხოვრებიდან

შეხვედრა ნიკოლაი ანდრიაძესთან 83
ტრაგედიებში სამეცნიერთან გამოცდილი
ბუნიერებიდან – 98

მე ღამეში მეცოდინის მყავდა
შორეული შემთხვევა მოგონება 100

ძველთა ტრადიციებში. ნათია ბოლქვაძის ტრიბუნა.
ლილა ბერიტაშვილი 117



ნათია ხორნაული დაიბადა თბილისში. დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, შემდეგ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, ფოლკლორის განყოფილებაში. გამოქვეყნებული აქვს ორი სამეცნიერო სტატია: „ხის კულტი“ და „ალვის ხის სიმბოლიკა“

გარდა ამისა, ეწევა ესეისტურ მოღვაწეობას. აქვეყნებს წერილებს ქართველ მოღვაწეთა ოჯახურ ისტორიებზე.